

გენდერი და თანამედროვეობა ესეების კრებული



გენდერი და თანამედროვეობა
ესეების კრებული

ჰაინრიჰ ბიოლის ფონდის
სამხრეთ კავკასიის რეგიონალური ბიურო
ზოვრეთის ქ., 38
თბილისი
ტელ.: +995 32 38 04 67
ფაქსი: +995 32 91 28 97
ელ-ფოსტა: info@boell.ge

საქართველოს იურისტ სტუდენტთა ასოციაცია
თაყაიშვილის ქ., 4
თბილისი
ტელ.: +995 32 22 51 49
ელ-ფოსტა: glsa.information@gmail.com

© Heinrich Boell Foundation

სარჩევი

| | |
|---|-----------|
| წინათქმა | 5 |
| ქვარა გულადანი გენდერის გავლენა განათლების პროცესზე | 6 |
| გიორგი იოსელიანი კუბერბაგის გავლენა მოსწავლის მიერ საპირისპირო სქენის თანაქლასელების შეგობრად აღქმაზე | 11 |
| ანი ჭანკოტაძე კულტურული სტერეოტიპები ანუ „წმინდა ჭურჭელი“, „ფაიფურის თოჯინა“, „ქარაგელის კანფები“ და „ბოზი“ | 16 |
| გვანცა დათუაშვილი საზოგადოება, გენდერი, სტერეოტიპები (ანუ რელიგია, ოჯახი და საზოგადოება ქალის უფლებების წინააღმდეგ) | 20 |
| ღარეჯან ბახტურიძე თქვენ ბრალი გეღებათ... .. | 24 |
| ილა ბახტურიძე პრობლემა უჩინებრინი?! - შრომის გენდერული პრობლემები საქართველოში | 27 |
| საბია ნადარაია ქალების მარტოხელობა - ხელმომხარულობა თუ არჩევანი? | 32 |
| ნინო კობერიძე ქალის კულტი — ქალთა მდგომარეობა და გენდერული პრობლემები | 36 |
| ნონა სამხარაძე ტრადიციით გამართლებული დისკრიმინაცია აზერბაიჯანელი გოგონას მაგალითზე | 41 |
| თამარ ურუშაძე გენდერული თანასწორობა | 45 |

კონკურსი ჩატარდა თბილისში და მასში მონაწილეობდნენ თბილისში არსებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების სხვადასხვა ფაკულტეტის სტუდენტები. კონკურსი განხორციელდა ჰაინრიჰ ბიოლის ფონდის სამხრეთ კავკასიის რეგიონალური ბიუროსა და საქართველოს იურისტ სტუდენტთა ასოციაციის ერთობლივი პროექტის „გენდერული ცნობიერების ამაღლება უნივერსიტეტებში“ ფარგლებში.

კონკურსში სტუდენტებმა, თავიანთი ინტერესების სფეროს გათვალისწინებით, წარმოადგინეს გენდერის საკითხებზე დამუშავებული სხვადასხვა თემატიკის ესეები. პროექტის შესაბამისად, წარმოდგენილ ესეებს შორის ათი საუკეთესო ნაშრომი წინამდებარე კრებულში დაიბეჭდა. კრებულში ესეები დალაგებულია თანმიმდევრულად, სტუდენტების მიერ კონკურსში მოპოვებული ადგილების მიხედვით.

გენდერული თანასწორობის საკითხის აქტუალობიდან გამომდინარე, მას არაერთი კვლევა, ნაშრომი, ესეი, კონფერენცია მიეძღვნა (ამ მხრივ აღსანიშნავია ჰაინრიჰ ბიოლის ფონდის სამხრეთ კავკასიის რეგიონალური ბიუროს საქმიანობაც, რომლის მნიშვნელოვან პრიორიტეტს სწორედ გენდერული თანასწორობის დაცვისათვის რეალური გარემოს შექმნა წარმოადგენს), ამჯერად კი კრებულის მიზანია, წარმოაჩინოს ახალგაზრდების ხედვა საქართველოში ამ პრობლემატიკასთან დაკავშირებით და ხელი შეუწყოს ამ საკითხებისადმი არსებული დამოკიდებულებების შეცვლას.

ჟიურის აზრით, რომლის შემადგენლობაშიც შედიოდნენ: ნანა სუმბაძე, სოციალურ მეცნიერებათა დოქტორი, თსუ-ს პროფესორი, ა/ო „საზოგადოებრივი პოლიტიკის ინსტიტუტის“ თანადირექტორი, ირინე ჟვანია, ფსიქოლოგიის დოქტორი და ეკატერინე ფირცხალავა, ფსიქოლოგიის დოქტორი, კონკურსმა კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ ინტერესი გენდერული

თანასწორობის საკითხებისადმი საკმაოდ დიდია. თუმცა, ისიც აღნიშნეს, რომ კონკურსანტები არ ფლობდნენ საკითხის სიღრმისეულ ცოდნას და მათი აკადემიური წერის უნარებიც არ არის დამაკმაყოფილებელი. ჟიური თვლის, რომ საჭიროა ამ თვალსაზრისით ახალგაზრდების ცოდნის დონის ამაღლება, განსაკუთრებით კი, არსებული ინტერესის ფონზე. მიუხედავად მთელი რიგი შენიშვნებისა, რომელსაც ჰქონდა ადგილი შეფასების დროს, ჟიურის წევრებმა აღნიშნეს, რომ კონკურსი კარგი ინიციატივაა და ახალგაზრდების წასახალისებლად გამოცემული წინამდებარე კრებული მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს მომავალში მათი მოტივაციის გაზრდას. ჟიურის რეკომენდაციით, აუცილებელია მსგავს კონკურსებს წინ უსწრებდეს საგანმანათლებლო მუშაობა, რაც ამ საკითხებზე სემინარებისა და ტრენინგების ორგანიზებას გულისხმობს.

კრებულში გამოხატული შეხედულებები, მოსაზრებები, დასკვნები, დებულებები ეკუთვნით მათ ავტორებს და ცხადია, არ უნდა იქნეს აღქმული ჰაინრიჰ ბიოლის ფონდის სამხრეთ კავკასიის რეგიონალური ბიუროსა და საქართველოს იურისტ სტუდენტთა ასოციაციის პოზიციად.

ჰაინრიჰ ბიოლის ფონდის სამხრეთ კავკასიის რეგიონალური ბიურო და საქართველოს იურისტ სტუდენტთა ასოციაცია მადლობას უხდის კონკურსში მონაწილე ყველა სტუდენტს ესეების წარმოდგენისათვის, კონკურსის ფარგლებში ჩატარებულ კონფერენციებზე მოხსენებით გამომსვლელებს თავიანთი მოსაზრებების გაზიარებისათვის და, რა თქმა უნდა, გამარჯვებულ სტუდენტებს, რომელთა ნაშრომებიც, იმედს გამოვთქვამთ, მომავალში საინტერესო მსჯელობებისა და დისკუსიების საგნად იქცევა. ასევე, დიდ მადლიერებას გამოვხატავთ კონკურსში მოწვეული ჟიურის წევრების მიმართ, რომლებმაც გულმოდგინედ წაიკითხეს და მოისმინეს ავტორთა მოსაზრებები და რომელთა დახმარებითაც შესაძლებელი გახდა საკონკურსო მასალიდან საუკეთესო ესეების ამორჩევა.

ქპარა გულადანი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ
მეცნიერებათა ფაკულტეტის კულტურის
მეცნიერებათა ინსტიტუტის სტუდენტი

გენდერის გავლენა განათლების პროცესზე

ქალსა და მამაკაცს შორის დუალიზმი ჩვენი არსებობის ფუნდამენტური ფაქტია, რის მიმართაც სხვადასხვა კულტურებში სხვადასხვაგვარი დამოკიდებულება არსებობს. ადამიანთა მოდემის დიფერენცირებას ქალებად და მამაკაცებად განაპირობებს არა მხოლოდ სქესებს შორის ბიოლოგიითა და გენეტიკით განპირობებული სხვაობები, არამედ ის სოციალურად შესწავლადი როლები, ფუნქციები, ნორმები, ქცევითი პატერნები და მოლოდინები, რომლებიც ასოცირებულია ქალობასა და მამაკაცობასთან. ამიტომ სამეცნიერო ლიტერატურაში მკვეთრადაა გამოიჯნული ბიოლოგიური სქესი და გენდერი – ანუ სქესის სოციო-კულტურული მნიშვნელობა.

ქალობისა და მამაკაცობის შეგრძნებას ადამიანი, რომელიც დაბადებიდანვე დეტერმინირებულია ბიოლოგიური სქესით, სწორედ გენდერული იდენტობის ათვისების შემდეგ იძენს. ბავშვი ბიჭად ან გოგონად ყალიბდება სოციალიზაციის – ანუ საკუთარი ჯგუფისთვის დამახასიათებელი ცხოვრების წესის შესწავლის პროცესში. ახალშობილისადმი, მისი სქესიდან გამომდინარე, იმთავითვე ჩნდება გარკვეული მოლოდინები და შეფასებები. სქესისთვის შესაბამისი ქცევის განმტკიცებით უფროსებს ბავშვი მიჰყავთ იმის შეგრძნებამდე, რომ ის გოგონაა ან ბიჭია. სოციალიზაციის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი აგენტი, ოჯახთან ერთად, არის სკოლა და თანატოლები. სკოლაში ხშირად გაუცნობიერებლად მასწავლებლები და ზოგადად სასწავლო გარემო ხელს უწყობს გენდერის ჩამოყალიბებასა და რეპროდუქციას (7:54).

ესეის მიზანია განიხილოს სკოლის და სასწავლო სისტემაში არსებული სტერეოტიპების გავლენა გენდერული როლების ჩამოყალიბებაზე. აგრეთვე ის სხვაობები, რომელიც ვლინდება სკოლასა და საგანმანათლებლო სფეროში მდებარეობითი და მამრობითი სქესის მოსწავლეთა შორის აკადემიური მოსწრების, მათდამი დამოკიდე-

ბულებების და მოლოდინების, მათთვის ნიშანდობლივი ქცევითი პატერნების თვალსაზრისით და გაანალიზოს ამ სხვაობათა ბიოლოგიური თუ სოციალური მიზეზები და საფუძვლები. გარდა ამისა, ნაშრომში მოცემულია ამ მხრივ საქართველოში არსებული მდგომარეობის ანალიზის მცდელობაც.

ერთი შეხედვით, თანამედროვე განათლების სისტემებში არ დგას გენდერული სტრატეგიკაციის¹ პრობლემა. გოგონებსაც და ვაჟებსაც თანაბარი შესაძლებლობები აქვთ განათლების მიღების თვალსაზრისით. განათლების სისტემაში გენდერული თანასწორობის საკითხზე განსაკუთრებულადაა ყურადღება გამახვილებული გაეროს ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციაში, სადაც ხაზგასმითაა აღნიშნული, რომ ყველა ადამიანს მიუხედავად მისი რასისა, სოციალური წარმოშობისა თუ სქესისა თანაბრად აქვს განათლების უფლება (1). ყოველ შემთხვევაში, ქალებისათვის განათლების ხელმისაწვდომობის პრობლემა აღარ დგას მსოფლიოს მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილისთვის მაინც. მდებარეობითი სქესის მოსწავლეებს განათლების დაწყებით და საშუალო საფეხურებზე უკეთესი აკადემიური მოსწრება აქვთ, ვიდრე მამრობითი სქესის მოსწავლეებს და ეს ტენდენცია გრძელდება უმაღლეს სასწავლებლებშიც. მაგრამ მიუხედავად ამ იმედისმომცემი ზედაპირული ფონისა, საგანმანათლებლო სისტემაში მაინც არსებობს გარკვეული გენდერული შინაარსის სტერეოტიპები და მოლოდინები, რომლებიც საბოლოო ჯამში მაინც ახდენენ გავლენას მოსწავლეთა აკადემიურ მოსწრებაზე.

სკოლებში არსებული გენდერული უთანასწორობა ძირითადად ვლინდება იმაში, რომ მკვეთრად იმიჯნება ტრადიციულად მასკულიური და ფემინური საგნები და მოსწავლეთა აკადემიური მოსწრება ამ საგნებში დამოკიდებულია მათ

1. გენდერული სტრატეგიკაცია - აღწერს ქალსა და მამაკაცს შორის არსებულ რესურსთა და შესაძლებლობათა არათანაბარ გადანაწილებას, რომელიც შეესაბამება სოციალურ იერარქიაში მათ განსხვავებულ პოზიციებს.

სქესზე. აღიარებულია, რომ ბიჭებს გოგონებზე მაღალი მაჩვენებლები აქვთ მათემატიკაში, ფიზიკაში, ინფორმატიკაში, ინჟინერიაში, მაშინ როდესაც, გოგონები ვაჟებს სჯობნიან ლიტერატურაში, ენებში, ისტორიასა და ხელოვნებაში. შემდგომ ამ საფუძველზე იგება ისიც, რომ უმაღლეს სასწავლებლებში ვაჟები სწავლას აგრძელებენ ძირითადად საბუნებისმეტყველო და ტექნიკური განხრით, ხოლო გოგონები კი განათლებას ჰუმანიტარულ, პედაგოგიკურ სფეროებსა და ხელოვნების დარგებში იღებენ. რაც შეეხება სოციალურ მეცნიერებებს, აქ არსებობს მონაცემთა მეტნაკლები გათანაბრების ტენდენცია. განათლების სფეროში არსებული ეს პატერნი არის შრომის გენდერულად გადანაწილების ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი. მამაკაცები, რომლებიც კვალიფიკაციას იღებენ ეკონომიკაში, ინჟინერიაში და საინფორმაციო ტექნოლოგიებში, საქმდებიან კარგად ანაზღაურებად და მაღალი სტატუსის სამუშაოზე, მაშინ როდესაც, ქალი, ჰუმანიტარული განათლებით, მხოლოდ დაბალანაზღაურებად და არაპრესტიჟულ – მომსახურებისა და განათლების სფეროში არსებულ – ვაკანსიებს იკავებს (7:52-54).

განათლების სფეროში არსებულ ამ განსხვავებებს ორი სხვადასხვა მიზეზით ხსნიან. როგორც წესი, გენდერთან დაკავშირებული თითქმის ყველა საკითხის ახსნისა და გაანალიზებისას თავს იჩენს ორგვარი მიდგომა – სხვაობების ახსნა ბიოლოგიით ან აღზრდით. ბიოლოგიური არგუმენტი ეყრდნობა შემდეგ ვარაუდს, რომ ადამიანთა წინაპრებიდან მომავალი გენეტიკური მემკვიდრეობა განსაზღვრავს თავის ტვინის სხვადასხვაგვარ სპეციალიზაციას ქალებსა და მამაკაცებში. იქიდან გამომდინარე, რომ მამაკაცების ძირითად ფუნქციას ნადირობა წარმოადგენდა, ფილოგენეტიკური განვითარების შედეგად მოხდა მარჯვენა ჰემისფეროს სპეციალიზაცია. მარჯვენა ჰემისფერო პასუხისმგებელია სივრცით-ვიზუალურ და მათემატიკურ უნარებზე. ქალების შემთხვევაში კი მოხდა მარცხენა ჰემისფეროს სპეციალიზაცია, რომელიც პასუხისმგებელია ვერბალურ და პერცეპტულ უნარებზე. ქალის თავის ტვინის სპეციალიზაცია უკავშირდება მისი, როგორც დედის როლს (7:31-38; 8:30). სწორედ ამით ხსნიან ბიოლოგიური მიდგომის მხარდამჭერები იმ ფაქტს, რომ ბიჭები უფრო მაღალ შეფასებებს იღებენ მათემატიკაში, გეომეტრიაში, ტექნიკურ საგნებში, ხოლო გოგონები კი ენებსა და სხვა ჰუმანიტარულ დარგებში.

მეორე მოსაზრების მიხედვით, გენდერულ

განსხვავებებს განათლების სფეროში ბაღებს ისეთი გარემოსეული პროცესები, როგორიცაა სოციალიზაცია და აღზრდა, განსაკუთრებით სოციალიზაცია, რომელიც მიმდინარეობს სასკოლო გარემოში. სკოლა და მანამდე საბავშვო ბაღი მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც ეს არის გარემო, სადაც ბავშვი პირველად ხვდება თავის ტოლ, არანათესავ ბავშვებს და მათთან ურთიერთობის, თამაშის დროს საკლასო ოთახს იყენებს როგორც გენდერული როლების, მასკულიზაციის და ფემინიზაციის, შესწავლის “ლაბორატორიას”. ამ ახალ გარემოში ისინი მიდრეკილნი არიან ურთიერთობა დაამყარონ მხოლოდ თავისივე სქესის ბავშვებთან. ამასთან, სკოლაში მისვლით სრულიად იცვლება ბავშვის მანამდე სახლზე კონცენტრირებული ცხოვრება სკოლაზე კონცენტრირებული ცხოვრებით (8:35). გარდა თანატოლებთან ურთიერთობისა, მეორე ფაქტორი, რომელიც აყალიბებს გენდერულ იდენტობას არის გოგონებისა და ბიჭებისადმი მასწავლებელთა განსხვავებული დამოკიდებულება და მოლოდინები. ამ შემთხვევაშიც მასწავლებელთა მოლოდინები ემთხვევა ზემოხსენებულ საგანთა გენდერული დაყოფის საზღვრებს. ანუ, თუ მაგალითად, გოგონა მიიღებს მაღალ შედეგს რომელიმე მასკულიზურ საგანში, მის ამ მიღწევას მიაწერენ არა თანდაყოლილ ნიჭს, რაც ასევე სრულიად შესაძლებელია, არამედ მის შრომისმოყვარეობასა და სიბეჯითეს, როდესაც, ბიჭის წარუმატებლობას ამავე საგანში ხსნიან შემდეგი სახის სტერეოტიპული ფრაზით – “ნიჭიერია, მაგრამ ზარმაცი.” სხვადასხვაგვარია წახალისება და დასჯაც, რომელსაც ბიჭები და გოგონები სკოლაში იღებენ. მასწავლებელთა უმრავლესობაში ჯერ კიდევ არსებობს მოსაზრება, რომ ქალის უმთავრესი ფუნქცია ოჯახისა და ბავშვების მოვლაა, რაც აისახება კიდევ მათდამი მოლოდინებსა და მოთხოვნებში. მოსწავლეებიც იღებენ ამ დამოკიდებულებას, როგორც ნორმას და ცდილობენ მასთან ადაპტირებას. ეს უფრო მეტად საგრძნობია მამაკაც მასწავლებლებთან, მით უფრო, რომ მათ თავიანთ მამრობითი სქესის სტრუქტურებთან ერთგვარი მამაკაცურობის “საჯარო კულტურა” აერთიანებთ (7:58-60).

არსებობს ექსპერიმენტული კვლევა, რომელიც ადასტურებს მასწავლებელთა მოლოდინების უდიდეს ზეგავლენას მოსწავლეთა შედეგებზე. როსენთალმა და ჯეიკობსონმა 1968 წელს აშშ-ს ერთ-ერთ კოლეჯში IQ-ს სტანდარტული ტესტით გაზომეს მოსწავლეთა ინტელექტი. მასწავლებლებს კი შემთხვევით შერჩეულ ოც ბავშვზე უთხრეს, რომ ისინი უახლოეს მომავალში დიდ ინტელექტუალურ ნახტომს

გააკეთებდნენ. რვა თვის შემდეგ, განმეორებითი კვლევის შედეგად, ოცივე ბავშვმა დანარჩენებთან შედარებით მნიშვნელოვანი ინტელექტუალური ზრდა აჩვენა, რაც მხოლოდ და მხოლოდ მასწავლებლის მოლოდინის ეფექტის შედეგია (7:60-61). მაშასადამე, მოსწავლის ინტელექტუალურ განვითარებაზე შეუძლია გავლენა მოახდინოს მასწავლებლის იმ მოლოდინმა, რომელიც მოსწავლის გენდერულ სტატუსს უკავშირდება და ამ მხრივ ვითარება არცთუ ისე სახარბიელოა.

გარდა მოლოდინებისა მასწავლებლის ზეგავლენა მულავენდება იმითაც, რომ გაკვეთილის მიმდინარეობის პროცესში მდებრობითი და მამრობითი სქესის მოსწავლეებზე სხვადასხვა სიდიდის დრო და ყურადღება ნაწილდება. ამ შემთხვევაშიც უპირატეს მდგომარეობაში ისევ ბიჭები არიან, მაგრამ ეს პატერნი არ აიხსნება მხოლოდ მასწავლებლის დამოკიდებულებით. გენდერულ უნივერსალიას წარმოადგენს ის, რომ ბიჭები გოგონებთან შედარებით უფრო აგრესიულები და ზმაურიანები არიან, ამიტომ მათ გაკონტროლებას გაცილებით მეტი დრო და ენერგია სჭირდება, მაშინ, როდესაც გოგონები მშვიდად ასრულებენ დავალებას. გარდა ამისა, აღსანიშნავია კიდევ ერთი წერილმანი – ბიჭებს ტენდენცია აქვთ საკლასო ოთახში განთავსდნენ მარჯინალურ ზონებში, ხოლო გოგონებს კი წინ და ცენტრში ჯდომის ჩვევა უწყალიბდებათ. ეს კიდევ უფრო ართულებს ბიჭებისთვის ყურადღების მიქცევის ამოცანას (7:61-63).

გარდა სკოლაში მიმდინარე ინტერპერსონალური ურთიერთობებისა, სტერეოტიპული გენდერული წარმოდგენების ჩამოყალიბებას ხელს უწყობს ის სასწავლო მასალა და კლასგარეშე საკითხავები, რომლებიც სკოლებში გამოიყენება. როგორც წესი, სახელმძღვანელოები კონცენტრირდება მამაკაცის გამოცდილებასა და აქტივობებზე, ქალები კი წარმოდგენილი არიან ან შედარებით მცირე დოზით, ან იმგვარად, რომ ამყარებენ მათ შესახებ არსებულ სტერეოტიპულ რწმენებს. ეს კი განაპირობებს იმას, რომ სკოლის მოსწავლე გოგონებს არ ჰყავთ შესაფერისი როლური მოდელები წარმატებული ქალების სახით (7:55-57). როლურ მოდელებად ნაკლებად შესაფერისნი არიან ქალი-მასწავლებლებიც, ვინაიდან მათ დაბალი ანაზღაურებისა და სტატუსის პოსტები უჭირავთ. მიუხედავად იმისა, რომ სკოლებში დასაქმებულ კადრთა დიდი უმრავლესობა მდებრობითი სქესისაა, მთელი რიგი ფაქტორების გამო (მაგალითად, ქალებს ორსულობის გამო სამსახურის დროებით დატოვება უწევთ, რაც აბრკოლებს მათ კარიერულ წინსვლას) კოლეგა მამაკაცები მათზე მაღალი სტატუსის პოსტებს იკავებენ (7:55). მაშასადამე, მოსწავლე გოგონებში

ყალიბდება რწმენა იმისა, რომ შეუძლებელია აკადემიური კარიერის გაკეთება ტრადიციული ფემინური სტატუსის დაკარგვის გარეშე, ამიტომ ზშირად არჩევანს ამ უკანასკნელის სასარგებლოდ აკეთებენ და ისეთ საგნებს სწავლობენ, რომლებიც შედეგ ოჯახში გამოადგებათ.

საინტერესოა, ეთანხმება თუ არა საქართველოს სკოლებსა და უმაღლეს სასწავლებლებში არსებული სიტუაცია ზემოთმოყვანილ ანალიზს? ჩვენს რეალობაში სამწუხაროდ არ არსებობს გენდერისა და განათლების ურთიერთმიმართების ფართომასშტაბიანი კვლევა, რომელიც მოიცავდა საქართველოში მცხოვრებ ყველა კულტურულ ჯგუფს და მოგვცემდა ერთიან სურათს. ამ სურათზე მკრთალი წარმოდგენის შესაქმნელად ჩავატარეთ კვლევა, რომელიც ეფუძნებოდა 2005-2008 წლებში ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩარიცხულ პირველკურსელთა სიების ანალიზს. ეს ძალიან მცირე და არასრული მონაცემებია იმისთვის, რომ გარკვეული დასკვნები იქნეს გამოტანილი, ვინაიდან მხოლოდ ერთი უნივერსიტეტის მონაცემების და მხოლოდ საუნივერსიტეტო დონის განათლების პატერნების ანალიზი ვერ მოგვცემს სრულ სურათს, თუმცა გარკვეული ტენდენციების დანახვა მაინც შესაძლებელია.

როგორც მოყვანილი ცხრილიდან ჩანს, შედეგებმა გაამყარა საგნების გენდერულად არჩევის პატერნი. ოთხივე წლის მონაცემებით ჰუმანიტარულ ფაკულტეტზე მამრობითი სქესის სტუდენტთა რაოდენობა არასოდეს არ აღემატებოდა 20%-ს, ხოლო მდებრობითი სქესის სტუდენტების რიცხვი კი ყოველთვის 80%-ზე მაღალია. დაახლოებით მსგავსი სიტუაციაა სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა და მედიცინის ფაკულტეტებზე, მაგრამ ამ შემთხვევაში ბოლო ორი წლის მონაცემებით მამრობითი სქესის სტუდენტების რიცხვის მცირედი ზრდის ტენდენცია შეინიშნება. ამის საპირისპირო ტენდენციას აქვს ადგილი ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებებთან დაკავშირებით – მონაცემები ამჟღავნებენ ბიჭების რიცხობრივ უპირატესობას, რომელიც 2007-2008 წლებში 13-17%-ით გაიზარდა. შედარებით თანაბარია ორივე წლის მონაცემები ეკონომიკისა და ბიზნესის და იურიდიულ ფაკულტეტებზე, პირველ შემთხვევაში ბიჭების, ხოლო მეორე შემთხვევაში გოგონების მცირე უპირატესობით (2, 3, 4, 5).

ცხადია, ამ მონაცემებზე დაყრდნობით არ შეგვიძლია მნიშვნელოვანი დასკვნების გაკეთება, მაგრამ სჩანს, რომ ადგილი აქვს სხვადასხვა საგნების გენდერულად არჩევის ტენდენციას.

ცხრილი №1

სქანის მიხედვით სტუდენტთა პროცენტული განაწილება ექვს ფაკულტეტზე

| | კუმანიტარული | | ზუსტი და საზოგადოებრივი მეცნიერება | | ეკონომიკისა და ბიზნესის | | სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა | | მედიცინის | | იურიდიული | |
|------|--------------|------|------------------------------------|------|-------------------------|------|------------------------------------|------|-----------|---|-----------|------|
| | ♂ | ♀ | ♂ | ♀ | ♂ | ♀ | ♂ | ♀ | ♂ | ♀ | ♂ | ♀ |
| 2005 | 11.5 | 88.5 | 5 | 44.6 | 51.5 | 3 | 16 | 87.3 | 0 | 0 | 37.7 | 61.5 |
| 2006 | 12.7 | 2.1 | 55.3 | 44.7 | 51.3 | 41.3 | 18.7 | 76.6 | 8.3 | 5 | 2.7 | 62.9 |
| 2007 | 4.2 | 8 | 0 | 29 | 54.4 | 6 | 23.3 | 76.7 | 3.3 | 7 | 3 | 59.7 |
| 2008 | 7.3 | 7 | 2 | 32.7 | 58.7 | 41.3 | 27.4 | 72.6 | 7.7 | 3 | 37.8 | 63.2 |

ცხრილი №2

2005-2008 წლებში ივ.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩარიცხულ პირველკურსელთა საერთო მონაცემები

| | ♂ | ♀ | სულ | სტუდენტები, რომელთა მონაცემები წარმოდგენილია მხოლოდ გვარებით ² |
|------|---------------|---------------|------|---|
| 2005 | 1005 34.8% | 1935 65.4% | 2960 | 20 0.8% |
| 2006 | 985 33.7% | 1778 60.7% | 2927 | 164 5.6% |
| 2007 | 1176 39.4% | 1806 60.6% | 2982 | — |
| 2008 | 868 41.7% | 1216 58.3% | 2084 | — |

2. 2005 და 2006 წლების მონაცემებში იყო შემთხვევები, როდესაც წარმოდგენილიყო მხოლოდ აბიტურიენტის გვარი, შესაბამისად შეუძლებელი იყო მისი სქესობრივი მიკუთვნებულობის დადგენა. ასეთი მონაცემები დათვლილია ცალკე.

განათლების მიღებისას გენდერული შეზღუდვების თვალსაზრისით არ გვაქვს განსაკუთრებით საგანგაშო მდგომარეობა, მეტიც, შეინიშნება გოგონების მნიშვნელოვანი უპირატესობა. ოთხივე წლის მონაცემებით იმ გოგონათა რიცხვის პროცენტული მაჩვენებელი, რომლებმაც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში განაგრძეს სწავლა დაახლოებით 60-65%, ვაჟებისა კი – 35-40%-ია.

შეიძლება ითქვას, რომ სიტუაცია ერთნაირია მთელი ქვეყნის მასშტაბით, თუ არ გავითვალისწინებთ საქართველოში მცხოვრებ ეროვნულ უმცირესობებს. მართალია, ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს ისეთ პრობლემებთან, რომლებიც არ უკავშირდება გენდერს, მაგრამ საქართველოში მცხოვრები მუსლიმანი აზერბაიჯანელების შემთხვევაში მათ ეთნიკურ მიკუთვნებულობასთან დაკავშირებულ ზოგიერთ ისეთ ფაქტორს, მაგალითად, როგორცაა ენობრივი ბარიერი, ემატება გენდერული უთანასწორობაც. უმრავლეს შემთხვევაში, გოგონებს ოჯახის გადაწყვეტილებით არ ეძლევათ სკოლის დამთავრების საშუალება კი, საუბარი ზედმეტია უმაღლეს სასწავლებელში სწავლის გაგრძელებაზე, ვინაიდან ჯერ კიდევ შენარჩუნებულია ადრეულ ასაკში დაქორწინების ტრადიცია, რის გამოც მშობლებს ქალიშვილები

დაახლოებით 12-13 წლის ასაკიდან სკოლებიდან გამოჰყავთ და ათხოვებენ (6).

მაშასადამე, დასკვნის სახით შეიძლება ვთქვათ, რომ გენდერი არის ფაქტორი, რომელიც მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ადამიანზე მთელი ცხოვრების მანძილზე. ერთის მხრივ, იგი აყალიბებს განათლების გენდერიზებულ პატერნებს, ხოლო მეორეს მხრივ კი სწორედ ეს გენდერიზებული განათლების სისტემები წარმოადგენენ გენდერული როლებისა და სტატუსის შენარჩუნების ერთ-ერთ მექანიზმს. იქმნება ერთგვარი მოჯადოებული წრე, რომლიდან გამოსასვლელადაც სხვადასხვა სტრატეგიებს სახავენ: ერთსქესიანი სკოლები, გოგონათა წამახალისებელი კურიკულუმების შემოღება, მასწავლებელთა და მოსწავლეთა ინფორმირება გენდერთან დაკავშირებული საკითხების შესახებ და ა.შ. დღესდღეობით კი ფაქტია, რომ გენდერი განსაზღვრავს ინდივიდის კარიერული წინსვლის დონეს, გამომდინარე იქიდან, რომ ყველა ჩვენგანს გვიხდება მეტ-ნაკლებად გენდერიზებული განათლების მიღება, რომელიც შეესაბამება ჩვენს ირგვლივ არსებული “მნიშვნელოვანი სხვების” სტერეოტიპულ მოლოდინებსა და დამოკიდებულებებს.

გამოყენებული ლიტერატურა და წყაროები

1. ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია http://www.ohchr.org/EN/UDHR/Documents/UDHR_Translations/geo.pdf
2. საქართველოს აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში აკადემიურ საგანმანათლებლო პროგრამებზე, 2008 წლის ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების მიხედვით ჩარიცხულ აბიტურიენტთა პირველადი სია (საკონკურსო ქულების მიხედვით) http://www.naec.ge/files/954_2008-charicxul-abiturientta-sia.pdf
3. საქართველოს აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში აკადემიურ საგანმანათლებლო პროგრამებზე, 2007 წლის ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების მიხედვით ჩარიცხულ აბიტურიენტთა საბოლოო სია (გვარების მიხედვით) http://www.naec.ge/files/695_admissions_2007_Name.pdf
4. სჭირდებათ თუ არა აზერბაიჯანელ გოგონებს განათლება? http://www.ginsc.net/main.php?option=view_article&mode=0&article=8247&lang=ge
5. ფაკულტეტები და სპეციალობები 001-0101-0505-მდე http://www.naec.ge/files/314_f-spec1.pdf
6. ჩარიცხულ აბიტურიენტთა სია ფაკულტეტებისა და სპეციალობების მიხედვით http://www.naec.ge/files/312_umaglesi-f.pdf
7. Burr, Vivian. Gender and Social Psychology. Routledge. 1999
8. Ember, Carol R., Ember Melvin. eds. Encyclopedia of sex and gender: men and women in world's cultures. Volume II. Kluwer Academic/ Plenum Publisher. 2003

პუბლიკაციის გავლენა მოსწავლის მიერ საპირისპირო სქესის თანაკლასელის მეგობრად აღქმავა

პრობლემის დასახვა

უპირველეს ყოვლისა, მსურს ხაზი გავუსვა იმ აქსიომურ გარემოებას, რომლის თანახმადაც, ჩვეულებრივ, სოციალურ ცხოვრებაში ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ინდივიდუალურ სოციალურ გარემოს – თანატოლ მეგობრებთან ურთიერთობას. ეს კი სასკოლო ასაკში, ძირითადად, თანაკლასელებთან ურთიერთობას გულისხმობს. მაგრამ აქ დაკონკრეტებაა საჭირო, კერძოდ იმისა, თუ ვინ არის ამ ურთიერთობის ობიექტი: იმავე თუ საპირისპირო სქესის თანაკლასელი? საუბარია გენდერის ფაქტორის მნიშვნელობაზე. მოზარდების უმრავლესობას შესაძლოა ეს შეკითხვა მეტად გულუბრყვილოდ მოეჩვენოს, რადგანაც მათი შეხედულება მეგობრობის ცნების შესახებ, როგორც წესი, არ იზღუდება სქესობრივი ნიშნით და მათი მეგობრების სიაში (აქაც და შემდგომაც იგულისხმება მეგობრებად აღქმა) შედიან როგორც მათივე, ასევე საპირისპირო სქესის წარმომადგენლები. მაგრამ ეს ყოველთვის ასეა? როგორც საკუთარ, ასევე სხვათა გამოცდილებაზე დაყრდნობით ამ შეკითხვაზე უარყოფით პასუხს გავცემდი, რადგანაც ნათლად მახსოვს ადრეული სასკოლო პერიოდი, როდესაც ჩემი და ჩემი თანაკლასელების სამეგობრო წრეები, ძირითადად, მხოლოდ იმავე სქესის წარმომადგენლებისაგან შედგებოდა. ხოლო შემდგომ, ნელ-ნელა მეგობართა ჩამონათვალში საპირისპირო სქესის თანაკლასელებიც ხვდებოდნენ. ამავეს თქმა შემიძლია ჩემი არასისტემატიზებული დაკვირვებების შედეგების შესახებაც. შესაბამისად ამისა, გამიჩნდა ეჭვი, რომ თანაკლასელების მეგობრებად არჩევა სქესის გათვალისწინებით დინამიკური ხასიათისაა და გარკვეული ასაკობრივი კატეგორიების მიხედვით იცვლება.

სწორედ ამიტომ, გადავწყვიტე გამეხსენებინა ადამიანები, რომელთაც სხვადასხვა დროს

მეგობრებად ვთვლიდი. სკოლამდელ ასაკში ესენი იყვნენ ჩემი მეზობელი საპირისპირო სქესის მქონე ინდივიდები, გოგონები. თუმცა ეს ინფორმაცია ვერაფერს გვეუბნება ჩვენი პრობლემის შესახებ, რადგანაც ასევე შემიძლია მოვიყვანო ჩემი ძმის მაგალითი, რომელიც იმავე ასაკში, როდესაც მე გოგონებთან ურთიერთობდი, მეგობრობდა მისივე სქესის მეზობლებთან, ბიჭებთან. ამ და სხვა მრავალი ამგვარი ფაქტისა და სალი აზრის გათვალისწინებით ვვარაუდობ, რომ სკოლამდელ ასაკში მეგობრობა გენდერული ნიშნით შემთხვევით ხასიათს ატარებს და განისაზღვრება იმით, თუ ვისთან აქვს ბავშვს ფიზიკური სიახლოვე და ვისთან ერთად ატარებს დროის მნიშვნელოვან მონაკვეთს. ამდენად, ვფიქრობ, რომ არჩევანის გაკეთება სკოლამდელი ასაკის ბავშვის მიერ გაცნობიერებულად არ ხდება. თუმცა, მიმაჩნია, რომ ეს საკითხი შემდგომ მეცნიერულ ანალიზს მოითხოვს.

ჩემი ყურადღება კი მინდა წარვმართო იმ მომენტისაკენ, როდესაც ბავშვი ალტერნატივების წინაშე დგას, აკეთებს არჩევანს: მეგობრებად ჩათვალოს მისივე, საპირისპირო თუ ორივე სქესის თანაკლასელები, ანდა, სულაც არ მიიჩნიოს ისინი მეგობრებად. ამ დროისათვის გენდერს უკვე მნიშვნელობა ენიჭება. საუბარია პერიოდზე, როდესაც ბავშვი სკოლაში შედის. როგორც აღვნიშნე, ჩემი დაკვირვებით ადრეული სასკოლო ასაკის ბავშვთა სამეგობრო წრეებში ძირითადად მისივე სქესის თანაკლასელები ხვდებიან. ხოლო შემდგომ, ამ წრეს საპირისპირო სქესის წარმომადგენლებიც ემატებიან (ქვემოთ ეს ექსპერიმენტულად დასტურდება). სწორედ ამიტომ, სასკოლო პერიოდში გადავწყვიტე იმ ფაქტორის ძიება, რომელიც სავარაუდოდ უზრუნველყოფს, რომ მოწაფე, რომელიც თავდაპირველად მხოლოდ საკუთარი სქესის თანაკლასელებს მიიჩნევს მეგობრებად, შემდგომ

საპირისპირო სქესის თანატოლებსაც ათავსებს ამ წრეში.

კვლევის ჰიპოთეზა და პრობლემა

ყურადღებით დაკვირვებისა და საკითხის გათვალისწინებით, ასეთ ფაქტორად პუბერტატის დადგომა მივიჩნე. ჩავთვალე, რომ გენდერის მნიშვნელობა ამ ასაკიდან მკვეთრად იზრდება და გადავწყვიტე, ექსპერიმენტულად შემემოწმებინა ჰიპოთეზა: პუბერტატი განსაზღვრავს მოწაფის მიერ საპირისპირო სქესის თანაკლასელის მეგობრად აღქმას. აღნიშნულ ჰიპოთეზაში დამოუკიდებელი ცვლადი პუბერტატია, ხოლო დამოკიდებული – მოწაფის მიერ საპირისპირო სქესის თანაკლასელის მეგობრად აღქმა.

ახლა კი ზუსტად განვსაზღვროთ, თუ რა იგულისხმება ხსენებულ ცვლადებში. პუბერტატი ეს არის სქესობრივი მომწიფების მიღწევა. ბავშვობის დასრულების პირველი კონკრეტული მაჩვენებელია პუბერტატის ენერჯის მოზღვაება. გოგონებში დაახლოებით 10 წლიდან და ბიჭებში 12 წლის ასაკისთვის ზრდის ჰორმონები სისხლში გადასვლას იწყებენ. ენერჯის მოზღვაების დაწყებიდან ორი-სამი წლის შემდეგ ღებება პუბერტატი, ანუ სქესობრივი სიმწიფე. ბიჭებისთვის სქესობრივი მომწიფება ცოცხალი სპერმის წარმოებით, ხოლო გოგონებისთვის – მენარქეთი, ანუ მენსტრუაციით იწყება. მენარქეს საშუალო ასაკი 12-13 წელია. ბიჭებში კი ცოცხალი სპერმის წარმოება პირველად, საშუალოდ 14-15 წლის ასაკში ხდება.

სწორედ ამიტომ, საკონტროლო ჯგუფად ავირჩიე 10-11 წლის მოსწავლეებით დაკომპლექტებული V კლასი, რომელთაც პუბერტატი ჯერ არ დასდგომიათ (შეგნებულად არ შევარჩიე უფრო მცირეწლოვანები, რადგანაც ამ დროისათვის მეტნაკლები სიმყარით უკვე ჩამოყალიბებულია მეგობრული ურთიერთობები), ხოლო ექსპერიმენტულად კი 14-15 წლის მოსწავლეთაგან შემდგარი IX კლასი, რადგანაც ამ ასაკის გოგონებში სქესობრივი მომწიფება უკვე დასრულებულია, ხოლო ბიჭებში კი არა. შესაბამისად, თუ გოგონები მეტად ჩათვლიდნენ ბიჭებს მეგობრებად, ვიდრე ბიჭები – გოგონებს, ეს საშუალებას მომცემდა, მეტი დარწმუნებით განმეცხადებინა, რომ სწორედ სქესობრივი მომწიფებაა ის ფაქტორი, რომელსაც ვეძებდი.

დამოკიდებულ ცვლადად კი მოსწავლის მიერ საპირისპირო სქესის თანაკლასელის მეგობრობის შეზღუდულ სიაში მოხვედრა განვსაზღვრე.

გამოვიყენე მორენოს სოციომეტრული მეთოდი. ავირჩიე კონკრეტული 2 კლასი: V კლასი,

დაკომპლექტებული 21 მოსწავლისაგან: 12 გოგონა, 9 ბიჭი და IX კლასი, დაკომპლექტებული 16 მოსწავლისაგან: 7 გოგონა, 9 ვაჟი. მოწაფეებს ვთხოვე, ჩამოეწერათ მაქსიმუმ 3 თანაკლასელი, რომლებიც მეგობრებად მიაჩნდათ. მიღებული მონაცემებით ავაგე მატრიცები და სოციოგრამები საკონტროლო და ექსპერიმენტული ჯგუფებისათვის, რათა თვალნათლივ დამენახა მიღებული შედეგები.

შედეგები

აღნიშნული ჰიპოთეზა დადასტურდა (იხ. სოციოგრამა 1, სოციოგრამა 2). V კლასის მოწაფე გოგონები მხოლოდ გოგონებს აღიქვამდნენ მეგობრებად – 33 ხმა არცერთის საპირისპიროდ. ასევე ბიჭების უმრავლესობა – ბიჭებს – 18 ხმა 4-ის საპირისპიროდ. თუმცა, გამონაკლისის სახით, ამ შემთხვევაში 4 არჩევანი მაინც გაკეთდა, აქედან 3 არჩევანი ერთ გოგონაზე მოდიოდა, ხოლო 1 არჩევანი – ერთზე. მაგრამ გამოკითხვის შემდგომ კლასის დამრიგებელთან გასაუბრებისას გამოირკვა, რომ მასწავლებლის რჩეული მოწაფეები სწორედ აღნიშნული გოგონები იყვნენ. შესაბამისად ამისა, ვივარაუდე, რომ სწორედ მასწავლებლის კეთილგანწყობა აისახა ამ 4 ბიჭის მიერ ამ გოგონების მეგობრებად მიჩნევაზე. რაც შეეხება ექსპერიმენტულ ჯგუფს (IX კლასი), მასში შემავალი გოგონების ხმები თითქმის ორად გაიყო, თუმცა გოგონებზე გაკეთებული არჩევანი ცოტათი მაინც მეტი აღმოჩნდა ბიჭებზე გაკეთებულ არჩევანზე – 14 ხმა 11-ის საპირისპიროდ. ბიჭების შემთხვევაში კი თითქმის ყველამ ბიჭები მიიჩნია მეგობრებად – 25 ხმა 1-ის საპირისპიროდ.

მონაცემების მკვეთრად თვალსაჩინო სხვაობის შესაბამისად, ვფიქრობ, რომ სწორედ პუბერტატი განსაზღვრავს მოწაფის მიერ საპირისპირო სქესის თანაკლასელის მეგობრად აღქმას. ასევე, იმის გათვალისწინებით, რომ გოგონები და ბიჭები სხვადასხვა პერიოდში აღწევენ სქესობრივ სიმწიფეს, შესაბამისი ცვლილებები ასაკში მათ შორის აცდენილია. ინტერესი საწინააღმდეგო სქესის მიმართ მატულობს მომწიფებასთან ერთად და შესაბამისად გოგონების სოციალურ გარემოში მნიშვნელოვან ადამიანებად უფრო ადრე გვევლინებიან ბიჭები, ვიდრე ბიჭებთან – გოგონები. თუმცა, აქვე დავსძენ, რომ საჭიროა იმის ექსპერიმენტული დადასტურებაც, რასაც ჩვენი ჰიპოთეზა მოიაზრებს, რომ დამამთავრებელ კლასებში, როდესაც ორივე სქესის წარმომადგენლები სქესობრივად მომწიფებულნი არიან, სქესის მიხედვით ბიჭების არჩევანის რაოდენობა ისევე გათანაბრებული იქნება, როგორც ეს განხილულ IX კლასში იყო გოგონებში. დაბოლოს, უნდა აღინიშნოს, რომ

დასკვნების გასაკეთებლად ეს მონაცემები არ არის საკმარისად დიდ პოპულაციაზე შეგროვებული, მაგრამ მიღებული შედეგები კარგი მაჩვენებელია იმ განსხვავებისა, რომელიც არსებობს და ამიტომ, ვფიქრობ, ამ მიმართულებით ფართომასშტაბიანი კვლევების წარმოებაა საჭირო. სწორედ ხსენებული მოთხოვნების გამო, ამ ჰიპოთეზის მეცნიერული პრეტენზიები მინიმალურია.

სხვა საკითხები

გარდა განხილული საკითხისა, მსურს ვისაუბრო სხვადასხვა მნიშვნელოვან კანონზომიერებაზე, რომელიც კვლევის შედეგად გამოვლინდა. მეხუთეკლასელთა შემთხვევაში მეგობრებად არჩევა, ხშირ შემთხვევაში, ცალმხრივ ხასიათს ატარებს და გარკვეულწილად ქაოტური ურთიერთობების შთაბეჭდილებას ტოვებს. აღნიშნულ კლასში გამოვლინდა 25 შემთხვევა მეგობრად იმავე სქესის თანაკლასელის ცალმხრივად აღქმისა და 4 შემთხვევა მეგობრად საპირისპირო სქესის თანაკლასელის ცალმხრივად აღქმისა. ასევე, 4 წყვილი ორმხრივი არჩევანისა გოგონებს შორის და 3 წყვილი – ბიჭებს შორის მაშინ, როდესაც IX კლასში უფრო მოწესრიგებული ურთიერთობები შეინიშნება. აქ იმავე სქესის თანაკლასელის ცალმხრივი არჩევანის რაოდენობა 3-ის ტოლია, ხოლო მეგობრად საპირისპირო სქესის თანაკლასელის ცალმხრივად აღქმა კი 12-ის, რომელთაგან უდიდესი ნაწილი გოგონების მიერ ბიჭების არჩევაზე მოდის (თუ რა მიგვაჩნია ამ შედეგის მიზეზად, ამის შესახებ აქ აღარ შევჩერდებით). რაც შეეხება ორმხრივი არჩევანის რაოდენობას ერთ სქესს შორის, გოგონების შემთხვევაში ის უდრის 7 წყვილს, ხოლო ბიჭების შემთხვევაში – 11 წყვილს.

ასევე ქაოტურ და მოწესრიგებულ ურთიერთობათა გამიჯვნაზე შეგვიძლია საუბარი ქვეჯგუფების განხილვისას. V კლასში გამოიყოფა მხოლოდ ერთი სრულფასოვანი 3 გოგონასაგან შემდგარი ქვეჯგუფი, მაშინ, როდესაც IX კლასში – 4

ქვეჯგუფი გამოიკვეთა. აქედან 2 შემდგარი სამსამი გოგონასაგან, ხოლო ბიჭების ქვეჯგუფებიდან ერთი 3 მოსწავლეს მოიცავს, ხოლო მეორე – 4-ს.

საინტერესოდ გამოიყურება ის ფაქტიც, რომ V კლასში ერთმნიშვნელოვანი „ვარსკვლავი“ გოგონაა, ხოლო IX კლასში კი ბიჭი. თუმცა ზემოთ თქმულიდან გამომდინარე ამ კითხვაზე პასუხი, შეიძლება ითქვას, გაცემულია.

რაც შეეხება გარიყულობის საკითხს, ამ შემთხვევაში ინფორმაცია მწირია. ყველა გამოკითხულიდან მხოლოდ ერთადერთი მეხუთეკლასელი ბიჭი აღმოჩნდა, რომელსაც არც ერთი ხმა არ მიუღია.


შენიშვნა

აღნიშვნის ღირსია ის გარემოება, რომ IX კლასში მოსწავლეთა გარკვეულმა ნაწილმა, ძირითადად გოგონებმა, ინსტრუქციის გარკვევით მიწოდების მიუხედავად, მეგობრებად აღნიშნეს სამზე მეტი თანაკლასელი. ეს კი, ვფიქრობ, მიუთითებს მათ მეგობრად აღქმის მდგრადობაზე. ამიტომ დასაშვებად მივიჩნე და აღნიშნულ მოსწავლეთა მონაცემები მაინც გამოვიყენე კვლევაში. V კლასში ასეთი რამ არ დაფიქსირდა, რაც შესაძლოა გამოწვეული იყოს მათი არც თუ ისე სტაბილური აღქმებით მეგობრების შესახებ.

განხილული კლასების მოსწავლეთა რაოდენობები თანაბარი არ არის. თუმცა, ვფიქრობ, განსხვავება საგრძნობი არ უნდა იყოს და ამ გარემოებას რაიმე მნიშვნელობა, ჩვენი კვლევის ინტერესებიდან გამომდინარე, არ უნდა ჰქონოდა.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ფილიპ ზიმბარდო. ფსიქოლოგია და ცხოვრება. 2002.




ბიჭი 9
 სულ 21
 ბომბო 12

- სალმსრივი არჩევანი იმავე სქესზე 25
- ბომბოს მიერ ბიჭის არჩევა 0
- ▣ ბიჭის მიერ ბომბოს არჩევა 4
- ↔ ორმსრივი არჩევანი ბიჭებს შორის 3
- ↔ ორმსრივი არჩევანი ბომბოებს შორის 10

| | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 | 14 | 15 | 16 | 17 | 18 | 19 | 20 | 21 | სულ |
|-----|---|---|---|---|---|---|---|---|---|----|----|----|----|----|----|----|----|----|----|----|----|-----|
| 1 | | | + | | + | | | | | | | + | | | | | | | | | | 3 |
| 2 | | | + | + | | | + | | | | | | | | | | | | | | | 3 |
| 3 | | | | + | | | | | | | + | | | | | | | | | | | 2 |
| 4 | | | + | | | | | | | | | + | | | | | | | | | | 2 |
| 5 | + | | | | | | | | | | | + | | | | | | | | | | 2 |
| 6 | | | | | | | + | | | | | | | | | | | | | | | 1 |
| 7 | | | + | + | | | | | + | | | | | | | | | | | | | 3 |
| 8 | | + | + | + | | | | | | | | | | | | | | | | | | 3 |
| 9 | | + | | | | | | + | + | | | | | | | | | | | | | 3 |
| 10 | | | | | | | | | | | + | + | | | | | + | | | | | 3 |
| 11 | | | | | | | | | | + | | + | | | | | + | | | | | 3 |
| 12 | | | | | | | | | | | + | | + | | | | | | | | + | 3 |
| 13 | | | | | | | | | | | | + | | | | | | | | | | 3 |
| 14 | | | | | | | | | | | | | + | | | | | | | | + | 3 |
| 15 | | | | | | | | | | | | + | | | | | | | + | | | 2 |
| 16 | | | | | | | | | | | | + | | + | | | | | | | + | 3 |
| 17 | | | | | | | | | | | + | + | | | | | | | | | | 2 |
| 18 | | | | | | | | | | | + | + | | | | | | | | | | 2 |
| 19 | | | | | | | | | | | | + | | | + | | | + | | | | 3 |
| 20 | | | | | | | | | | | | | | + | | + | | | | | | 3 |
| 21 | | | | | | | | | | | | + | + | | | | | | | + | | 3 |
| სულ | 1 | 2 | 5 | 4 | 1 | 0 | 3 | 1 | 1 | 1 | 5 | 12 | 3 | 2 | 2 | 1 | 2 | 1 | 1 | 3 | 4 | 55 |

| | | |
|-------------------|----------------------|-----------------|
| ბიჭები ბიჭებს 18 | ბიჭები ბომბოებს 4 | ბიჭები სულ 22 |
| ბომბოები ბიჭებს 0 | ბომბოები ბომბოებს 33 | ბომბოები სულ 33 |
| სულ ბიჭებს 18 | სულ ბომბოებს 37 | სულ 55 |

სოსიოგრაფა 2



გე-9 კლასი

ბიჭი 9
 XY
 სულ 16

გოგო 7
 XX

→ ხალმსრივი არჩევანი იხავე სქესზე 3

••• გოგოს მიერ ბიჭის არჩევა 11

- - - ბიჭის მიერ გოგოს არჩევა 1

↔ ორმსრივი არჩევანი ბიჭებს შორის 11

↔ ორმსრივი არჩევანი გოგოებს შორის 7

| | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 | 14 | 15 | 16 | სულ |
|-----|---|---|---|---|---|---|---|---|---|----|----|----|----|----|----|----|-----|
| 1 | | | | | | + | | + | + | | | | | | | | 3 |
| 2 | | | + | + | | | | | | | | | | | | | 2 |
| 3 | | | | | + | + | + | | | | | | | | | | 3 |
| 4 | | + | | | | + | | | | | | | | | | + | 3 |
| 5 | | | + | | | + | + | | | | | | | | | | 3 |
| 6 | | | + | + | + | | + | | | | | | | | | | 4 |
| 7 | | | + | | + | + | | | | | | | | | | | 3 |
| 8 | + | | | | | | | | + | | | | | | | | 2 |
| 9 | + | | | | | + | | + | | | | | | | | | 3 |
| 10 | | | + | | | + | | | | | + | | | | | + | 4 |
| 11 | | | + | | | + | | | | + | | | | | | + | 4 |
| 12 | | | | | | | | + | + | | | | | | | + | 3 |
| 13 | | | | | | | | + | | | | | | + | + | | 3 |
| 14 | | | | | | | | + | + | | | | + | | + | | 4 |
| 15 | | | | | | | | + | + | | | | + | + | | | 4 |
| 16 | | | | | | | | | | + | + | + | | | | | 3 |
| სულ | 2 | 1 | 6 | 2 | 3 | 8 | 3 | 5 | 6 | 2 | 2 | 1 | 2 | 2 | 2 | 4 | 51 |

| | | |
|-------------------|--------------------|----------------|
| ბიჭები ბიჭებს 25 | ბიჭები გოგოებს 1 | ბიჭები სულ 26 |
| გოგოები ბიჭებს 11 | გოგოები გოგოებს 14 | გოგოები სულ 25 |
| სულ ბიჭებს 36 | სულ გოგოებს 15 | სულ 51 |

ანი ჟანრობა

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და
პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის
სტუდენტი

კულტურული სტერეოტიპები ანუ „წმინდა ჭრჭელი“, „ფაიფურის თოჯინა“, „ქარაგელის ქანთაბი“ და „გოზი“

„თითქოს ის, რასაც ქალში პატიოსნებას ეძახიან
არ გულისხმობდეს ბედის მორჩილებას...“
ანდრა ჟიდი, „ქალბი ფულის მჭრელები“

საქართველოში რომ სრულიად უცხო კულტურის წარმომადგენელი ჩამოვიდეს, ვთქვათ უცხო-პლანეტელი ჩამოფრინდეს ერთ მშვენიერ დღეს და დაესწროს ორიოდე ლხინის და ქელეხის სუფრას, რამდენიმე ლოგიკურ დასკვნას გააკეთებდა (ჩავთვალოთ, რომ ანალიტიკური უნარებით დაჯილდოებულ უცხოპლანეტელზე გვაქვს საუბარი). ამ დასკვნებიდან ერთ-ერთი ქალების შესახებ იქნებოდა და სავარაუდოდ ასეთი ფორმა ექნებოდა:

„ქართველი ქალი“ ადამიანის თვისობრივად განსხვავებული სახეობაა. „ქართველ ქალებს“ სერიული წარმოებით უშვებენ „ქართული ოჯახები“, ხოლო მთელი ამ პროცესის მონიტორინგს ზეციური, მისტიკური და ამავედროულად, დაინტერესებული ძალები ახორციელებენ.

„ქართველი ქალი“ მიწის და ზეცის ერთობლივი პროდუქტია და ამიტომაც არის განსხვავებული მსოფლიოში ყველა სხვა ქალისაგან. უფრო კონკრეტულად კი, ეს სხვაობა მდგომარეობს „ქართველი ქალის“ ფენომენში, როგორც მორალური პროექტის განსხვავებაში სხვა, ბიოლოგიურ-ფსიქიკური პროექტებისგან.

„ქართველი ქალი“, მართალია, ფლობს ბიოლოგიურ სხეულს, მაგრამ ის ვერ ჩაითვლება ბიოლოგიურ არსებად, რაკი მამაკაცებისა და სხვა ეროვნების ქალებისგან, და ზოგადად, ადამიანებისგან განსხვავებით ის არ ექვემდებარება ბიოლოგიურ მოთხოვნილებებს. ამას გარდა, მისი ხორციელება შემოიფარგლება შვილოსნობით, რაც განსაზღვრავს კიდევ „ქართველი ქალის“ არსს – ის არის „წმინდა ჭურჭელი“, რომლის დანიშნულებაცაა დაიცვას თავისი სიწმინდე და რაც შეიძლება პირნათლად

შეასრულოს „ჭურჭლის“ ვალი. ქალის მთავარი ცხოვრებისეული მიზანი უნდა იყოს მოვალეობა მოიხადოს სამშობლოს, ღმერთის, ოჯახის წინაშე დედობით და მთელი თავისი ცხოვრება მიუძღვნას ქმარსა და შვილებს.

არის სხვადასხვა თვისება, რომელთა ქონაც ხელს უშლის ღირსეულ „წმინდა ჭურჭლობას“ – დამოუკიდებლობის სურვილი, სიჯიუტე, შეუპოვრობა, ინტელექტი, ინდივიდუალურობა და ა.შ. მაგრამ რაკი ჭურჭლის ფუნქცია უზენაესია, ეს თვისებები ხდება ქალის მარგინალიზაციის მიზეზი, რადგანაც დომინანტური კულტურული დისკურსის მიხედვით, ის ხელს უშლის ქალს თავისი ნამდვილი რაობის განხორციელებაში და იწვევს „ჭეშმარიტი დანიშნულებისგან“ აცდენას.

ყოველდღიურ ცხოვრებაში ეს დისკურსი ყოველთვის არ არის თვალშისაცემი ან გაცილებით ძნელად შესამჩნევია, მაგრამ სუფრასთან ხილული ხდება. ე. წ. „ქართული სუფრა“ და სადღეგრძელოები წარმოადგენს კულტურაში აღიარებული ღირებულებების იდენტიფიცირების ერთ-ერთ საუკეთესო საშუალებას, რაკი სადღეგრძელოები გულისხმობს ობიექტის გაიდებას, ობიექტის ყველაზე სასურველი მოდელის წარმოჩენას. სადღეგრძელოების მეშვეობით ხდება როგორც კულტურაში აღიარებული ნორმების აფიშირება, ასევე მათი თვითდამკვიდრება და ხელახლა წარმოება.

თანამედროვე საქართველოში ქალების სადღეგრძელო სუფრის პროტოკოლის განუყოფელი ნაწილია, თუნდაც ქალები საერთოდ არ ესწრებოდნენ სუფრას. ცალკეა დიასახლისის სადღეგრძელოები, რომლითაც მამაკაცები თავისებურად აფასებენ დიასახლისის შრომას,

ცალკე კი ქალების, როგორც ასეთის, სადღეგრძელო. ამ სადღეგრძელოში მამაკაცები ლოცავენ თავიანთ დებს, დედებს, ქალიშვილებს და სწორედ აქ იკვეთება გაიდუალებული მოდელი – „ქართველი ქალის“ სახე.

ასეთი სადღეგრძელოებით ქალის ეტალონი წარმოდგენილია როგორც კდემამოსილი, სათნო, კეთილშობილი, ღვთისნიერი, ნაზი, მორჩილი და უპრეტენზიო ცოლი, კარგი დიასახლისი, კარგი დედა, მომთმენი და მზრუნველი, შრომისმოყვარე ადამიანი. საინტერესოა, რომ ამ ეტალონში ვერ ხვდება ისეთი თვისებები, როგორცაა სიმამაცე, დამოუკიდებლობა, ჭკუა, განათლება, შეუპოვრობა, პრინციპულობა... ეს ფაქტი მოულოდნელი და გასაოცარია, თუ დავეყრდნობით აზრს, რომ ქართული სუფრა ტრადიციებისა და ისტორიულობის პრეზენტაციის ადგილია, სადაც ამ ისტორიულობის განსხვავებით მყარდება „ძირძველი ქართული იდენტობა“. თუ მართლაც ასეა, მაშინ ქალის ეტალონი განპირობებული უნდა იყოს საქართველოს ისტორიულ წარსულში გამორჩეული ქალი აქტორებით, მაგ., წმინდანინო, შუმანიკ დედოფალი, თამარ მეფე, მათა წყნეთელი თუ ქეთევან წამებული... ეს ქალები, დღევანდელი პოზიციიდან რომ შევაფასოთ, მასკულიზურ თვისებებს უფრო ფლობენ ვიდრე ფემინურს – არც ერთი მათგანი არ არის მორჩილი, მორცხვი, გამუდმებით შინმოფუფუსე და სუსტი, მამაკაცს მიკედლებული და საკუთარი ინდივიდუალურობის არმქონე, პასიური ადამიანი. პირიქით, ისინი არიან აქტიურები, გაბედულები, უკომპრომისოები, რაც მიჩნეულია მამაკაცურ თვისებებად. ერთის მხრივ, ამ ქალების მნიშვნელობა თითქოს აღიარებულია დღევანდელ კულტურაში – მათი სახელები ყველაზე გავრცელებული სახელებია, რომლებსაც სიამოვნებით არქმევენ თავიანთ ქალიშვილებს თანამედროვე ქართველები, მაგრამ, მეორეს მხრივ, ამ ქალიშვილებს კულტურა უყენებს ისეთ მოთხოვნებს, რომ ისინი უნდა ჩამოყალიბდნენ თავიანთი სეხნიებისგან სრულიად განსხვავებულ ადამიანებად სრულიად განსხვავებული პრიორიტეტებით.

ფაქტიურად, საქმე გვაქვს ისტორიულ წყვეტასთან – ის, რაც გამოცხადებულია ისტორიულ-მემკვიდრეობით სტანდარტად და მოითხოვს მიღებული იყოს საყოველთაოდ სწორედ იმიტომ, რომ ისტორიული მემკვიდრეობაა, სინამდვილეში არ არის ისტორიული სტანდარტი და უფრო მეტიც, არაფერი აქვს საერთო ამ სტანდარტთან (რა თქმა უნდა, ეს შეიძლება ზედმეტად ხმამაღალ განცხადებად მივიჩნიოთ. მით უფრო, რომ ძნელი დასადგენია და ცალკე კვლევას მოითხოვს, რა იყო რეალურად კულტურული სტანდარტი სხვადასხვა დროს, მაგრამ ჩვენამდე მოღწეულ

წყაროებზე დაყრდნობით ასეთი დასკვნა ლოგიკურია). მაგალითად, ერთის მხრივ აბსურდულია წარმოვიდგინოთ შუმანიკ დედოფალი, როგორც მორჩილი და მორიდებული მეუღლე – პირიქით, ეს იყო საკუთარი პოზიციის პრინციპულად დამცველი ქალი, რომელმაც ინდივიდუალური შეხედულების, საკუთარი რწმენის, საკუთარი იდეის გამო უარყო ქმარიც და შვილებიც. მეორეს მხრივ, რთული წარმოსადგენია ასეთი ქალის იდეალის სადღეგრძელო ე.წ. „ქართულ სუფრაზე“. იმის მიუხედავად, რომ შუმანიკის ცხოვრების ამსახველი ლიტერატურული ნაწარმოები ათწლეულების განმავლობაში ისწავლებოდა სკოლებში, მთელი მისი ისტორია წაკითხული და გააზრებული იყო სპეციფიკურად და აპელირება ხდებოდა, რომ ის სამშობლოსა და რწმენისთვის თავდადებული ქალია, ხოლო მისი პიროვნული თავისუფლების ფენომენი, ინდივიდუალურობა, სიმამაცე, დამოუკიდებლობა და პრინციპულობა გაუფასურებული და უგულვებელყოფილი იყო.

ქალის სისუსტის და პასიური როლის აღიარება-განმტკიცებას ეწევა დღევანდელი მართლმადიდებლური ეკლესიაც, რომელიც ძალიან გავლენიანი სოციალური ინსტიტუტია. ის, რომ ქალი ითვლება ევას ცოდვაზე პასუხისმგებლად, ეკლესიის პოზიციით, ქალს აკისრებს მოვალეობას გამოისყიდოს კაცობრიობის წინაშე თავისი შეცოდება ტანჯვით, რთული მშობიარობით, ბავშვების აღზრდით და საკუთარი ცხოვრების სხვათა სამსახურში ჩაყენებით. ამის მიუხედავად, ქალი თავისი არსით უწმინდურია და ეკრძალება საკურთხეველში შესვლა, ღვთისმსახურება (არ არსებობენ მართლმადიდებელი ქალი-მოძღვრები), მენსტრუაციის დროს და მშობიარობის შემდეგ საკრალურ საგნებად აღქმულ ნივთებთან შეხება (სანთელი, ხატი, მირონი... თუმცა ბოლო წლებში პატრიარქმა ქალებს ნაწილობრივ ნება დართო ელოცათ, საყდარში შესულიყვნენ „უწმინდურობის“ დროსაც). ამავე დროს, ეკლესია კაცს მიიჩნევს ქალის „თავად“, მის უფროსად და ამის აღიარება ხდება წყვილების ჯვრისწერის დროსაც.

ეს რელიგიური დისკურსი, რომელიც თავს უაღტერნატივოდ მიიჩნევს, სინამდვილეში არც უძველესია და არც ერთადერთი. ქრისტიანობის ადრინდელ წლებში ქალები ისევე იყვნენ ქრისტეს მოწაფეები, როგორც მამაკაცები (ქრისტეს მიმდევრების უმეტესობა ქრისტიანობის ადრეულ წლებში ქალები იყვნენ), ეწეოდნენ ღვთისმსახურებასაც და არ ითვლებოდა, რომ ქალი მამაკაცზე ცოდვილია და მამაკაცი ქალზე უფრო ახლოსაა ღმერთთან. ქრისტიანული ლოგიკით ისინი აღქმული იყვნენ თანასწორ ინდივიდებად. ქალების მარგინალიზაცია, ღვთისმსახურებას

მათი ჩამოშორება და ცოდვილად გამოცხადება მოგვიანებით მოხდა, როცა ქრისტიანული ეკლესია ჩამოყალიბდა როგორც დომინანტური ეკლესია და ქრისტეს მოძღვრება გარკვეულწილად გააერთიანეს ქრისტემდელ რელიგიურ წარმოდგენებთან. IV-V საუკუნეების ღვთისმეტყველი და ფილოსოფოსი ნეტარი ავგუსტინე წერს: „ღმერთს ქალი მამაკაცის უფროსად რომ დაეწესებინა, მისი თავისაგან შექმნიდა, მონად რომ დაეწესებინა, ფეხისგან, მაგრამ რადგან მის მეგობრად და ცოლად დააწესა, ნეკნისგან შექმნა“.

დაკუბრუნდეთ თანამედროვე ქართულ სტერეოტიპებს ქალურობის შესახებ. დომინანტური კულტურის პოზიციიდან შეგვიძლია გამოვყოთ ქალის ოთხი ტიპი – ოთხი კატეგორია:

- „წმინდა ჭურჭელი“
- „ფაიფურის თოჯინა“
- „კარამელის კანფეტი“
- „ბოზი“

ქართული სოციალური ბაზარი ღიაა მხოლოდ ამ ოთხი ნიშისთვის. ქალი მიკუთვნებული უნდა იყოს ერთ-ერთ ზემოჩამოთვლილ ტიპს და ამის მიხედვით მიენიჭოს სოციალური სტატუსი, რის შესაბამისადაც განესაზღვრება სოციალური როლიც. შესაძლებელია ამ სტატუსებს შორის მობილობაც, მაგრამ არა ნებისმიერი კატეგორიიდან. „ბოზი“ არის სტატუსი, რომელიც ვერასდროს შეიცვლება სხვა სტატუსით (თუმცა სხვა სტატუსის ჩანაცვლება მისით შესაძლებელია).

„წმინდა ჭურჭელზე“ უკვე აღვნიშნეთ, რომ ეს არის სიწმინდისა და მოკრძალებული ხორციელების ტანდემი, ქალი-დედა. დამატებით იმის თქმა შეიძლება, რომ ქართველ დედას მსოფლიოში ყველა სხვა დედაზე მეტად უყვარს შვილი, ამიტომ მსოფლიოში ყველა სხვა დედაზე მეტ პატივისცემას იმსახურებს. ეს სოციალური პოზიცია პატივსაცემი და ყველა სხვა პოზიციაზე აღმატებულია, რომლის დაკავებაც ქალს შეუძლია.

„ფაიფურის თოჯინა“ – ეს არის ლამაზი გარეგნობის მდებარეობითი სქესის არსება („წმინდა ჭურჭელი“ არ არის სავალდებულო, რომ ლამაზი იყოს), რომელსაც მეტი არაფერი მოეთხოვება გარდა იმისა, რომ ლამაზია და ანიჭებს მამაკაცს ესთეტიკურ ტკობას. ასევე, გამოხატავს მამაკაცის პრესტიჟს და ითვლება „კარგ სამკაულად“ საზოგადოებაში. „ფაიფურის თოჯინას“ პოტენციალი აქვს გახდეს „წმინდა ჭურჭელიც“ (თუმცა შესაძლებელია გახდეს „ბოზიც“) „კარამელის კანფეტს“ რაც შეეხება, ეს კატეგორიაც გულისხმობს გარეგნულ

სილამაზეს, მაგრამ, „ფაიფურის თოჯინასგან“ განსხვავებით, აქ ნატიფი სილამაზის ნაცვლად მოითხოვება ვულგარული სექსუალობა. „კარამელის კანფეტი“ უფრო გულახდილი და მხიარულია, ვიდრე „ფაიფურის თოჯინა“, თანაც, ბოლოსდაბოლოს კანფეტია და მისით პირის ჩატკბარუნებაც შეიძლება. „კარამელის კანფეტს“ შანსი აქვს გარდაიქმნას „წმინდა ჭურჭელად“, მაგრამ უფრო მოსალოდნელია, რომ გარდაიქმნას „ბოზად“.

„ბოზი“ არ არის უბრალოდ მეძავი, რომელიც ფულზე ყიდის საკუთარ სხეულს, არც მრუში, რომელიც ქმარს ღალატობს – ეს არის „ბოზი“ და გათავდა. ქალი, რომელიც არაფერში გამოგადგება გარდა სექსუალური ჟინის ერთჯერადად დაკმაყოფილებისა. ამ კატეგორიას მიკუთვნებული ქალები იმსახურებენ მამაკაცების ზიზღს, თუმცა საჭირონი არიან მათთვის.

საბოლოო ჯამში, კულტურულ ალტერნატივათა რიცხვი ქალებისთვის ორამდე დადის, რაკი „კარამელის კანფეტი“ და „ფაიფურის თოჯინა“ უფრო ასაკობრივი პერიოდებია და საბოლოოდ გარდაიქმნება ან პირველ ან მეოთხე კატეგორიად.

მამაკაცებსაც, კულტურის მიერ მათთვის მიწოდებული სამყაროს აღქმის მოდელის მიხედვით, სჭირდებათ 4 სახის ფუნქცია, რომელიც ქალმა მათთვის უნდა შეასრულოს:

- და, დობილი, დედა, ან მათი შვილის დედა – პატივსაცემი ქალი
- ესთეტიკური ტკობის საგანი
- სექსუალური გატაცებისა და ჟინის ობიექტი
- სექსუალური ჟინის დაკმაყოფილების ობიექტი

მოთხოვნებიდან ამოვარდნილია სავსებით ადამიანური და ბუნებრივი მოთხოვნილება, რაც მამაკაცს შესაძლებელია ჰქონდეს ქალის მიმართ – მეგობრობის, შინაგანი სიახლოვის მოთხოვნილება. ამ ფაქტის ლოგიკური ახსნა შეიძლება, თუ გავიხსენებთ, რომ კულტურული სტერეოტიპები ქალს არ აღიარებს მამაკაცის მსგავს სრულფასოვან ინდივიდად, მეგობრობა კი მხოლოდ ტოლძალოვან აქტორებს შორის არის შესაძლებელი. ქალსა და მამაკაცს შორის არსობრივი, საფეხურებრივი განსხვავების აღიარება აბსურდულად აქცევს მათ შორის ისეთ ურთიერთობებს, რომლებიც თანასწორ ადამიანებს შეიძლება ჰქონდეთ და შესაძლებლად ტოვებს მხოლოდ იმ ოთხი სახის ურთიერთობას, რომელიც ზემოთაა ჩამოთვლილი.

საინტერესოა ისიც, რომ ეს ფუნქციები არაბუნებრივად დასახული და დისტანცირებული ერთმანეთისგან – ისინი არ კვეთენ ერთმანეთს, რაც სავსებით ნორმალური იქნებოდა. შვილების დედა, კულტურული ნორმების მიხედვით, ვერ იქნება ვნებიანი საყვარელი. ქალი იძულებულია, ურთიერთგამომრიცხავ ურთიერთობებში ერთ-ერთი აირჩიოს.

ეს თეორიული კონსტრუქტი, რასაკვირველია უხეშია და ზედმიწევნით არ ასახავს ემპირიულ რეალობას, მით უფრო არ გამორიცხავს სხვა პოზიციების და კატეგორიების არსებობას. ეს უბრალოდ, არის ჩემი მცდელობა, აღვწერო გაბატონებული ტენდენცია, რომელიც ძირითადად შეიმჩნევა საშუალო ფენაში, რაც მოსახლეობის უმეტესობას გულისხმობს.

გვანცა ღათუაშვილი

თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის
გიუმნაზიისა და მართვის სკოლის
სტუდენტი

საზოგადოება, გენდერი, სტერეოტიპები

(ანუ რელიგია, ოჯახი და საზოგადოება ქალის უფლებების წინააღმდეგ)

იყო და არა იყო რა (მერე რა, რომ ზოგადად ესეი ასე არ იწყება)...

იყო ერთი გოგონა, რომელიც ერთ მშვენიერ დღეს შინიდან სასეირნოდ გამოვიდა. უცებ, სად იყო და სად არა, თავში შამპანურის ბოთლი ჩაარტყეს (რა მარკის შამპანური იყო ნამდვილად არ ვიცი, და პრინციპში, არც არავითარი მნიშვნელობა აქვს), მერე თავგახეთქილი, სისხლში ამოსვრილი მანქანაში შეტენეს და... ცოლად მოიყვანეს (არც მეტი, არც ნაკლები – ცოლად!). ჰო, სანამ ცოლად მოიყვანდნენ, ერთ ოთახში ჩაკეტეს და ეზოდან მის ე.წ. საქმროს ყიფინით ეძახდნენ – მიდი ბიჭო, მიდი, აბა შენ იცი, დროზე, დროზე! ბოლოს, როცა ის, რაც “დროზე” უნდა მომხდარიყო როგორღაც მოხდა, ფანჯრიდან მისი სისხლით მოსვრილი ზეწარიც გადაფინეს.

მერე ბევრი შვილი გაუჩნდა (ალბათ), კიდევ უფრო ბევრი შვილიშვილი, რეცხავდა სარეცხს, ათუხთუხებდა კერძებს და ცხოვრობდა ტკბილად და ბედნიერად (აქ დიდი კითხვის ნიშანი!) მანამ, სანამ ღმერთმა თავისთან არ წაიყვანა.

ასე დასრულდა ეს ზღაპარი.
ჭირი იქა, ლხინი აქა!

თქვენ უდავოდ მიხვდებოდით, რომ ეს ზღაპარი, სინამდვილეში, სულაც არ არის ზღაპარი და სულაც არ დასრულებულა კონკრეტულ დროსა და სივრცეში.

მერე რა, რომ დიდი ხანია ის დრო გავიდა, როცა შავ მერანზე ამხედრებული, ფაფახიანი, კავკასიელი ვაჟკაცები სასურველ ქალს, ნაბადში გამოხვეულს გადაჰკიდებდნენ ცხენზე და კლდეზე მერცხლის ბუდეებით შეფენილი ციხე-სიმაგრეების გზას გაუყენებდნენ.

მას მერე საუკუნეები გავიდა. მოიგონეს ნათურა, რადიო, ტელევიზორი, მობილური ტელეფონი, სწრაფმავალი მატარებლები, იუთუბი და ფეისბუქი!

ზღაპარს კი ბოლო რატომღაც არ უჩანს.

დღესაც ხშირია (განსაკუთრებით პერიფერიებში) ცოლად მოყვანის მიზნით ქალების მოტაცების და მათზე სექსუალური ძალადობის შემთხვევები, რაც სისხლის სამართლის დანაშაულია და 20 წლამდე თავისუფლების აღკვეთით ისჯება. სინამდვილეში, გამტაცებლების 99%-ს სულაც არ სჯიან, რადგან, როგორც წესი, ნამუსაყრილ ქალს ერცხვინება ოჯახში დაბრუნება. საზოგადოება მას გაკიცხავს და გარიყავს, მეორედ ოჯახის შექმნის შანსი შეიძლება სულაც აღარ მიეცეს, ოჯახის ავტორიტეტს შეებღავს და ა.შ. ამიტომ, ბედს ემორჩილება და მთელ თავის უფლისაგან ერთხელ ბოძებულ სიცოცხლეს მოძალადე მეუღლესთან ატარებს.

მოდი, დავიწყეთ სულ თავიდან.

ანუ იმ დროიდან, როცა ქართველებმა პირველად აიღეს ენა, სიტყვა თქვეს და ეს სიტყვა ერთმანეთს გაუზიარეს. დედა, დედაენა, დედამიწა, დედაბოძი, დედაფუძე, დედანი, დედული.. დედას გეფიცებო, ახლაც ასე ვარწმუნებთ ქართველები ერთმანეთს სიმართლესა და სიცხადეში.

მარტო ენა როდი ადასტურებს, რომ საქართველოში ქალს და დედას განსაკუთრებული ადგილი ეჭირა ოჯახსა და საზოგადოებაში, ქართული ცეკვები გავიხსენოთ თუნდაც – მუდმივი დისტანცია ქალსა და მამაკაცს შორის, მამაკაცის კრძალვა ქალის მიმართ, ვერმიკარება, თუმცა მის კვალდაკვალ სიარული და მუდმივი მცდელობა მიახლებიას; ეს ყველაფერი ნამდვილი გამოცდაა მისი ნებისყოფისთვის – როგორია სასურველ ქალს გამუდმებით უკან სდით და თითიც არ ახლო? მაგრამ ცეკვის დროს თუ ქართველი მამაკაცი ამ გამოცდას კარგად აბარებს, რეალობაში ეს ამბავი მხოლოდ ფოლკლორში რჩება.

მხოლოდ ფოლკლორს შემორჩა ის ჩვეულებაც, როცა სამკვდრო-სასიცოცხლო ორთაბრძოლაში,

გამეხებულ მასვილთა ნაპერწკლების წვიმაში, ქალის ჩაგდებული სიფრიფანა მანდილი საკმარისი იყო, რომ ბრძოლა შეწყვეტილიყო და ხმალი დროებით მაინც, ქარქაშში ჩაგებულიყო.

ქართველებს თამარ მეფეც გვყავდა. ქალი-მეფე. თან როდის?! თან როგორი? დღემდე რომ მივსტირით!

ლადოს ლექსიც გემახსოვრებათ:

”ძველად თურმე, როცა მტრების უთვალავი ჯარები მოდიოდნენ, რომ გაეღოთ საქართველოს კარები, მამაკაცებს გვერდით ჰყავდათ, ვით ფოლადის ფარები, და მტრებს მათთან ერთად სცემდნენ საქართველოს ქალები. ისე მტკიცე იყვნენ თურმე, ვით მეტეხის კედელი, გმირი თამარ ვაშლოვნელი და მაია წყნეთელი.”

ბევრ ეკონომიკურ, სოციალურ, კულტურულ და ა. შ. კონტრასტს ვხვდებით ჩვენს ”ცა-ფირუზ-ხმელეთ-ზურმუხტ” საქართველოში (მაგ.: ეკონომიური შეჭირვება და რესტორნების აყვავებული ბიზნესი; ეკლესიების სიმრავლე და არატოლერანტული საზოგადოება; სტუმრის დაფასება და შინაურის არად ჩაგდება; უძველესი კულტურა და უკულტურო თანამედროვეობა და ა.შ.). ჰოდა, ამ კონტრასტების ციკლის ნაწილია ის, რომ დედისა და ქალის ისტორიული კულტის მიუხედავად, ზოგიერთ მხარეში ადამიანები შვილების რაოდენობას იმის მიხედვით ითვლიან, თუ რამდენი ვაჟი ჰყავთ (თუ ოჯახში სამი ქალიშვილია და ორი ვაჟი, ამბობენ ორი შვილი გვყავსო). ვაჟი, როგორც წესი, მემკვიდრეობის გამგრძელებლად ითვლება, ხოლო ქალიშვილი დღემდე ”დროებით სტუმრად” მოიაზრება. მაგალითისთვის – თუ ოჯახში სამი ვაჟია, ქონება აუცილებლად სამ თანაბარ ნაწილად გაიყოფა, ხოლო თუ ქალი და ვაჟია, ქონება მთლიანად ვაჟს დარჩება.

ხშირად, მეუღლე და მეუღლის ნათესავეები აიძულებენ ქალს დაუსრულებლად აჩინოს შვილები სანამ ვაჟს არ შობს. ასევე ხშირია შემთხვევები, როდესაც ქალიშვილს ”აიძულებენ” გათხოვდეს იმიტომ, რომ ვაჟს დაოჯახებაში ხელი არ შეეშალოს(?).

სირცხვილი ისეთ მშობლებს, რომლებიც უპირველესნი დებენ კოდს შვილების მსოფლმხედველობაში, რომ ვაჟი გაიზარდოს ოჯახის უფროსად, ხშირად პატარა დიქტატორად, ხოლო ქალებს შთააგონებენ, რომ დაიბადნენ მამაკაცების მსახურად და ამ მისიას პირნათლად ასრულებინებენ სიცოცხლის ბოლომდე.

ხშირად, ლექსიკაც კი ასახავს დიფერენცირებას ქალსა და მამაკაცს შორის. ხშირად გსმენიათ

ალბათ, ქალზე – ”პატიოსანიაო”, ან პირიქით – ”არ არისო პატიოსანი”. სიტყვა ”პატიოსანი” ქართულ ლექსიკაში მამაკაცთან მიმართებაში სულ სხვა მნიშვნელობას იძენს, ნიშნავს კეთილსინდისიერ ადამიანს, ვინც არ ქურდობს, არ იპარავს, არ ცრუობს, მოქალაქეობრივ მოვალეობებს პირნათლად ასრულებს. ”პატიოსანი” ქალი კი უბიწო ქალია, კაცთან გაუკარები და შეუხები (არ იგულისხმება მეუღლე).

დღეს ავტომანქანის მართვის მასწავლებელი ნახევარი საათი მიმტკიცებდა, ღმერთს ქალი მანქანის სამართავად არ შეუქმნიაო – მამრს მიანიჭაო ამის უნარი. ღმერთმა რომ ადამიანები შექმნა, მანქანები მაშინ განა არსებობდა-მეთქი – ვუთხარი, მაგრამ იხტიბარი არ გაიტეხა. იქნებ იმიტომ, რომ ღმერთმა მამრებს იხტიბარის არგატეხვის უნარიც საკმაოდ მიანიჭა მანქანის მართვის უნართან ერთად. მაგრამ ავტომანქანის მართვის მასწავლებელს თავი დავანებოთ; ის რომ ერთადერთი იყოს ამქვეყნად, ვინც ასე მარტივად ავლებს ზღვარს ქალისა და კაცის შესაძლებლობებს, უნარებსა და უფლებებს შორის, დარწმუნებული ვარ, ამ ესეის დასაწერად არც კი დაეშვებოდი.

რამდენიმე კვირის წინ საჩხერის რაიონში, სოფელ კაცხში გადაღებული ფოტოები ვნახე, რომელზეც ჩამონგრეული კლდისაგან სასწაულებრივად გადარჩენილ უცნაურ სვეტზე აგებული პატარა ეკლესიაა აღბეჭდილი. იქ მხოლოდ დაკიდული კიბით შეიძლება მოხვედრა. ნახვის სურვილი გამოვთქვი, მაგრამ აღმოჩნდა, რომ ქალებს იქ არ უშვებენ!

ჯერ გამიკვირდა. მერე მეწყინა. როგორ? რატომ? თან სად? ეკლესიაში?

და როცა ხმამაღლა გავაპროტესტე, საკმაოდ უცნაური რეაქცია მივიღე პასუხად. აქეთ გამაკრიტიკეს, აქეთ გამაქილიკეს და გამომლანძღეს! არადა, როგორ დავიჯერო, ღმერთმა ბრძანა კაცხის სვეტზე რომ ეკლესიაა, იქ ქალები არ შეუშვათო!

ქალი, იგივე დედაკაცი, სუსტი სქესის წარმომადგენელი დღეს უმეტესწილად ძიძასთან, დამლაგებელსა და მზარეულთან ასოცირდება საქართველოში.

მართალია, ბევრი აზიური ქვეყნისაგან განსხვავებით, ჩვენთან აუცილებელი არაა ჩადრის ტარება, მუყაოს ამოდება შავი კაბების ქვეშ სხეულის სიმრგვალების დასამალად და არც ზღურბლს გადაბიჯება ეკრძალებათ ქალებს, მაგრამ, სამაგიეროდ, ქალისაგან სექსუალური

ინიციატივის გამჟღავნება ამორალობად ითვლება და ხშირად გაკიცხვისა და სამწუსნარო გაუგებრობების მიზეზიც ხდება. ასევე ხშირია ადრეულ ასაკში შეუღლებულთა ოჯახების რღვევა. ადრეულ ასაკში შეუღლებას კი ქალიშვილობის უასაკო და უცნაური ინსტიტუტი იწვევს. საზოგადოება კი ამ ინსტიტუტს მრავალათასიანი დანგრეული ოჯახის საფასურად არ ეღევა, რადგან ქართველი მამაკაცები პირველი ღამის უფლებას ვერა და ვერ თმობენ.

ქალიშვილობის ინსტიტუტის დაცვა ბევრ აზიურ ქვეყანაში მამაკაცისთვისაც ისეთივე სავალდებულოა, როგორც ქალისთვის. საქართველოში ქალები ამ მხრივაც დაინაგრნენ. ოჯახის შექმნის შემდეგაც საზოგადოება მხოლოდ მოღალატე ქალებს კიცხავს, მამაკაცებს კი, რატომღაც, ხელს აფარებს. მეტიც, არათუ აფარებს – უბიძგებს კიდევ მათ ამისკენ. მექალთანეობა მამაკაცებისთვის ხშირად სიამაყის და თავმომწონეობის საფუძველია.

ბევრჯერ მომსვლია კამათი და ჩხუბი მეგობარ ბიჭებთან იმის გამო, რომ უთქვამთ – ერთ ქალთან როგორ ვიცხოვროთო მთელი ცხოვრება! ამის წარმოდგენაც არ უნდათ, არათუ ქცევაში გადატანა. იქნებ არც ქალებს უნდათ-მეთქი მუდამ ერთ მამაკაცთან ცხოვრება. ამაზე ხვალი ლომივით ფაფარი ემაგრებათ, მზად არიან სიცოცხლით აგებინონ ქალს პასუხი იმაზე, რაც მათთვის ჩვეულებრივ მოვლენად ითვლება. ამ დროს ხდება რელიგიის იგნორირებაც, რომელიც თანაბრად მოითხოვს ქალისა და მამაკაცისგან უბიწოების შენახვას ოჯახის შექმნამდე. როცა, სხვა დროს იგივე რელიგიას იშველიებენ ქალებისთვის ზოგიერთი კონსტიტუციური და ბუნებით მინიჭებული უფლების ასაყრელად. ეს კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ ხშირად რელიგია საოცრად ემსგავსება და ეთვისება იმ საზოგადოებას, რომელიც მას მისდევს და ხშირად ამ საზოგადოების სურვილების თუ ინტერესების დამცველად გვევლინება და არა პირიქით.

საქართველოში მკაცრად არის გავლებული ზღვარი ქალის უფლებებსა და მოვალეობებს შორის. ასევე, თითქოს წინასწარ განსაზღვრულია ქალის შესაძლებლობების არეალიც.

ჩვენთან ვერ ნახავთ ტაქსის მძღოლს, ბენზინგასამართ სადგურებზე მომუშავე ქალებს. საკმაოდ იშვიათია ქალი-პოლიციელი. ბევრ ახალბედა მსახიობს თუ მომღერალს ჩაეშალა კარიერა ოჯახის შექმნის შემდეგ. ითვლება, რომ რესტორნებსა და ბარებში მომუშავე ქალები აუცილებლად მსუბუქი ყოფაქცევისა არიან და ა.შ. სამაგიეროდ, საბუშაოს ძებნისას ყველგან, სადაც

ქალისთვის შესაფერისი ვაკანსიაა გამოცხადებული, შავით თეთრზე წაიკითხავთ, რომ კანდიდატი ქალი აუცილებლად სასიამოვნო გარეგნობის უნდა იყოს.

”ქალის ჭკუა თხამ შეჭამაო” – უყვართ კაცებს თქმა. ამაზე პასუხად ქალები ამბობენ: ქალის იმიტომ შეჭამა, კაცის ვერ უპოვნიაო. კაცი ოჯახის თავიაო – დაუყენიათ კაცებს, ქალი კი კისერიო – არ ცხრებიან ქალები – თავს საითაც უნდა იქით მიატრიალებსო.

ქართველი მამაკაცების უმეტესობისათვის იდეალური ცოლი დიდძკერდიანი და გრძელფეხებაა, მუნჯი, რომ კაცს ვერ შეესიტყვოს, ბრმა, რომ ქმრის ღალატი ვერ დაინახოს, მაგრამ არავითარ შემთხვევაში ყრუ, რათა ბრძანებები კარგად გაიგონოს და შეასრულოს!

ყური უგდე რას ამბობს ქალი და გააკეთე საპირისპირო – ეს მამაკაცების დევიზია. რადგან:

- ქალი მშიშარაა,
- ქალი ნაზია,
- ქალს არ შეუძლია სწრაფი რეაგირების მოხდენა,
- ქალი ზედმეტად ემოციურია,
- ქალი ზედმეტად რომანტიულია,
- ქალი ზედმეტად სენტემენტალურია,
- ქალი სპონტანურია,
- ქალი ინტუიტიურია,
- ქალი სუსტია,
- ქალი ჭკუასუსტია,
- ქალი დედაა,
- ქალი უბრალოდ ქალია!

ჰოდა, შინ უნდა იჯდეს, კეროს, ჭრას, გემრიელი კერძები ამზადოს, ბავშვები ზარდოს, სარეცხი რეცხოს და საპნის ოპერებს უყუროს. არ არის აუცილებელი განათლებული იყოს. საქართველოში ხშირია შემთხვევები, განსაკუთრებით ადრეულ ასაკში ოჯახის შექმნისას, როცა ქალები საერთოდ წყვეტენ განათლების მიღებას. სასურველია ქმარზე არც წარმატებული იყოს და არც მეტი ანაზღაურება ჰქონდეს, რომ ოჯახურ პოლიტიკას არ მართავდეს.

წარმოსახვის თვალთ პრეისტორიულ ხანას თუ დაუბრუნდებით და ნეანდარტალელების გამოქვაბულში შევიხედავთ, დავინახავთ, რომ მღედრები საჭმელს ამზადებენ, ტყავს ამუშავებენ, მოხუცებს და ავადმყოფებს უვლიან, ბავშვებს ძუძუს აწოვებენ... მამრებს ნანადირევი მოაქვთ, ხელცულებსა და შუბებს ამზადებენ. გამოქვაბულს მტაცებელი ნადირისგან და მეზობელი ტომების თავდასხმისაგან იცავენ.

არაფერია სასაცილო და მით უფრო გასაოცარი

იმაში, რომ ქალი ნაზი და სუსტი არსებაა. ის ბიოლოგიურად, ანატომიურად არის ასეთი აგებულების. არც მამაკაცის მონადირეობა და ის, რომ ძალა ერჩის და ფიზიკურად უდავოდ ქალზე ღონიერია, არის გასაკვირი (იშვიათი გამონაკლისების გარდა).

დღეს, როცა არც ბიზონების ჭერა და არც ფოცხვერებთან ჭიდილია საჭირო, როცა ერთსა და იმავე გონებრივ საქმეს ქალიც და მამაკაციც სქესის მიუხედავად (მხოლოდ უნარებისა და განათლების გათვალისწინებით) წარმატებით ართმევენ თავს, ჩემი აზრით, ბევრ მამაკაცს ვერ გაუგია, ან არ უნდა გაეგოს, რომ მამონტებზე ნადირობის დრო დიდი ხანია წარსულს ჩაბარდა და სრულიად ზედმეტი ძალის დემონსტრირებით ახდენს საკუთარი ღირსების აფიშირებას და თავმოყვარეობის რეალიზებას.

თუმცა, არა მარტო ამით აიხსნება XXI საუკუნეში ქალის, როგორც უსულო ნივთის, მოტაცების ტრადიციის ჯერ კიდევ არსებობა, ერთი მხრივ ადამიანის უფლებებისა და მეორე მხრივ, მისი როგორც პიროვნების უგულვებელყოფა, უარის თქმა ოჯახში ფუნქციების თანაბრად გადანაწილებაზე (მაგალითად, საჭმელი კაცმა არ უნდა აკეთოს, ჭურჭელი მხოლოდ ქალმა უნდა რეცხოს და ა.შ). ჯერ კიდევ ხშირია მემკვიდრეობის გადაცემისას ქალიშვილის უფლებების იგნორირება, ერთსა და იმავე სამასახურეობრივ პოზიციაზე მუშაობისას ანაზღაურების განსხვავებულობა, ტენდენცია ქალების არდანიშენისა საპასუხისმგებლო პოსტებზე და ა.შ..

ოჯახს, აღზრდას და საზოგადოებას ლომის წილი აქვს ამ ყველაფერში.

საბედნიეროდ, ბოლო ათწლეულების მანძილზე ბევრი რამ გაკეთდა გენდერული ბალანსის გასაუმჯობესებლად არა მარტო საქართველოში, არამედ მთლიანად მსოფლიოში – ქალებს მიენიჭათ არჩევნებში ხმის მიცემის, მოგვიანებით კი მონაწილეობის მიღების უფლება. შეიქმნა და ლამის ყოველდღიურად იქმნება ასეულობით ქალთა ორგანიზაცია, რომლებიც აქტიურ მონაწილეობას იღებენ საზოგადოებრივ ცხოვრებაში. დღეს უკვე ქალები მართავენ

ფირმებს, ორგანიზაციებს, ქვეყნებსაც კი! თუმცა, ამით თემა ნაკლებად აქტუალური არ გამხდარა, პირიქით, დღესდღეობით უკვე არსებული შედეგების პროცენტული მაჩვენებლის ზრდაზეა საუბარი და არა ფუნდამენტურ ცვლილებებზე (თუმცა, რიგ ქვეყნებში ეს უკანასკნელიც სანატრელია – ცოტა ხნის წინ მაჰმადიანი 16 გოგონა ჩაქოლეს მხოლოდ იმის გამო, რომ საპირისპირო სქესის წარმომადგენელს გაესაუბრა).

ზოგადად, კი, გამოსავალი მხოლოდ მენტალობის ცვლასა და განათლებაშია. ამ ორიდან პირველს ასწლეულები სჭირდება, მეორეს კი მონდომებული ადამიანი რამდენიმე წელიწადს აკმარებს. ამბობენ, სამყაროს შეცვლა უფრო სწრაფად შეიძლება, ვიდრე ერთი ადამიანის მენტალობისო. ასე რომ, ამ მხრივ გასაკეთებელი ჯერ კიდევ ბევრია.

თუმცა, თუ ქართული რეალობიდან გამოდინარე ვიმსჯელებთ, ქალს სათანადო განათლება თუ ექნება და ის საკმარის შემოსავალს გაიჩენს, საკუთარ თავსა და შვილებზე ზრუნვას დამოუკიდებლად შეძლებს, ალბათ მორჩილებით აღარ აიტანს ღალატს, ჩხუბს, აყალმაყალს თუ ყოველდღიურ ლოთი-შფოთობას... წარმატებული ადამიანი, სულ ერთია ქალია თუ კაცი, ადვილად ახერხებს საკუთარი ინტერესების გატარებას საზოგადოებაში. თუ წარმატებული ქალების რიცხვი გაიზრდება, ისინი შეძლებენ რეალობა და საზოგადოების დამოკიდებულება შეცვალონ მათ სასარგებლოდ.

დაბოლოს, თუ ქალს საკუთარი თავის დაცვა არ შეუძლია, ის ვერც სხვა ადამიანების და მით უმეტეს, ვერც ქვეყნის დაცვას შეძლებს. ამ შემთხვევაში, ის როგორც მოქალაქეც უმოქმედო და პასიურია.

უფლებათაყრილი და გაუნათლებელი ქალი უფლებათაყრილ შთამომავლობას შობს და გაუნათლებელ თაობას აღზრდის (რა რეალობის წინაშეც უკვე დგას ჩვენი ერი). გენდერული უთანასწორობის წყალობით მხოლოდ "ვიღაც ქალები" და რიგითი ადამიანები კი არა, პირველ რიგში ჩვენი სამშობლო, ჩვენი ქვეყანა ზარალდება.

დარჯან ბახტურიძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ მეცნიერებათა
ცენტრის გენდერის სამაგისტრო პროგრამის
სტუდენტი

თქვენ ბრალი გეღებათ...

გერმანიაში ნაცისტები რომ კომუნისტებს მიაღგნენ ხმა არ ამოვიღია, რადგან კომუნისტი არ ვყოფილვარ. ებრაელებს მიაღგნენ და ხმა არ ამოვიღია, რადგან ებრაელი არ ვყოფილვარ. პროფკავშირებს მიაღგნენ და ხმა არ ამოვიღია, რადგან პროფკავშირელი არ ვყოფილვარ. კათოლიკეებზე გადავიღენ და ხმა არ ამოვიღია, რადგან კათოლიკე არ ვყოფილვარ. შემდეგ მე მომადგნენ და აღარავინ იყო დარჩენილი, რომ ხმა ამოვიღო...

მარტინ ნიშიოლარი, პასტორი,
გერმანიის ევანგელურ-ლუთერული ეკლესია.

ჩემი ესეი ეხება გენდერული თანასწორობის, როგორც სოციალური მოვლენის აღიარების საკითხს და ამ თემისადმი საზოგადოების აქტიურობის და სოციალური პასუხისმგებლობის პრობლემას.

საზოგადოების აქტიურობის პრობლემა ყოველთვის და ყველგან იდგა, მაგრამ ეს განსაკუთრებულად ეხება გენდერულ საკითხებს, რადგან აღიარებულია, რომ გენდერული დისკრიმინაცია და ძალადობის საკითხები ყველაზე რთულად დასაწახი და აღიარებადი პრობლემებია.

გენდერული დისკრიმინაციის უხილავობაზე საუბრობენ ანა კუდი და ლესლი ჯონსი თავის ესეიში “სექსიზმი”, რასაც ისინი “გაუცნობიერებელ სექსიზმს” უწოდებენ და აღნიშნავენ, რომ “გაუცნობიერებელი სექსიზმი ხშირად უხილავია, რადგან ის რწმენები და დამოკიდებულებები, რომლებიც ხელს უწყობენ ამ პრობლემის უხილავობას, ხშირად გახმავანებული არ არის და საზოგადოდ გავრცელებულ სტერეოტიპებს ემყარება” (კუდი, ჯონსი, 2003:80). მერლინ ფრაი 1983 წელს გამოქვეყნებულ ესეიში “ჩავგრა” აგრეთვე აღნიშნავს, რომ ერთ-ერთი მთავარი მიზეზი, რატომაც რთულია დაინახო ქალის ჩავგრა არის ის, რომ ამ თემებზე საუბარი ინდივიდის პრობლემად ან ინდივიდუალური შემთხვევების განხილვამდე დადის (ფრაი, 1983:85) და არ ხდება მისი, როგორც სოციალურ მოვლენად, სოციალურ პრობლემად აღიარება, რომელთანაც მართო ინდივიდი ვერაფერს გახდება და რომელსაც საზოგადოებამ უნდა უწამლოს. ისევე, როგორც

ინდივიდი ვერაფერს გახდება რასიზმის, ანტისემიტიზმის, ნარკომანიის და სხვა სოციალური მოვლენების წინააღმდეგ.

ამ ესეიში შევეცდები გენდერულ სტერეოტიპებზე და ამ სტერეოტიპებით გამოწვეული გენდერული უთანასწორობის მიმართ ქართული საზოგადოების დამოკიდებულების ჩემეული დაკვირვების შედეგები გაგაცნოთ და ასევე გადმოგცეთ ამ საკითხზე ჩემი რეფლექსია.

როდესაც ქართულ საზოგადოებაში გენდერულ თანასწორობაზე ან გენდერულ დისკრიმინაციაზე იწყებ საუბარს, ან უბრალოდ არ გისმენენ, ან დაცინვისა და ხუმრობის ობიექტი ხდები. ამის კარგი მაგალითია ის, რომ მარტში მიღებული კანონი გენდერული თანასწორობის შესახებ მხოლოდ იუმორისტული გადაცემის “ვანოს შოუს” ყურადღების ცენტრში მოხვდა, რადგან წამყვანმა გადაწყვიტა, რომ ეს კარგი სახუმარო თემა იყო. სხვა შემთხვევაში, “უფრო განათლებული” საქართველოს ისტორიის მცოდნე რიტორიკულად მოიტანს არგუმენტებს, თუ როგორ შეიძლება არსებობდეს გენდერული თანასწორობის პრობლემა ქართულ საზოგადოებაში, რომელსაც ჯერ კიდევ მეთორმეტე საუკუნეში ჰყავდა უძლიერესი თამარ მეფე და სადაც ქართლის დედის ძეგლი არსებობს.

ცოტა განსხვავებულ პასუხებს გაიგონებთ “საკითხში უფრო მეტად ჩახედული ადამიანებისაგან”. ვგულისხმობ იმ კატეგორიას, რომელმაც მეტნაკლებად ისწავლა გენდერისა და სქესის გარჩევა. კითხვაზე – არსებობს თუ არა გენდერული თანასწორობის პრობლემა? –

ადამიანთა ერთი ნაწილი ვიპასუხებთ, რომ მათთვის არ წარმოადგენს ეს პრობლემას და ის მდგომარეობა, რაც შექმნილია (ერთადერთი მინისტრი ქალი; ქალების 4% პარლამენტში; ქალთა ბიზნესში წარმომადგენლობის დაბალი მაჩვენებელი, რომლის სტატისტიკური მონაცემიც კი არ არსებობს; ვერტიკალური და ჰორიზონტალური გენდერიზებული შრომის ბაზარი; ოჯახში ძალადობის პრობლემა¹; მადისკრიმინირებული სტერეოტიპები) არის კანონზომიერება და ყველას თავისი ადგილი უნდა ჰქონდეს საზოგადოებაში – “ქალს ქალის” და “კაცს კაცის”, სხვანაირად წესრიგი ვერ დამყარდება. მეორე ნაწილი ამ კითხვაზე ვიპასუხებთ, რომ მას პირადად არ შეეხება გენდერული პრობლემები თუ დაბრკოლებები რაიმე სფეროში და მეტი დამაჯერებლობისათვის თავისი “მეზობლის დეიდაშვილის მეგობარი გოგონას” ამბავიც შეიძლება მოყვეს, თუ როგორ მიაღწია მან მაღალ თანამდებობას და სტატუსს საზოგადოებაში. თუკი ვინმეს წინააღმდეგობები ექმნება, ეს მხოლოდ ამ ინდივიდის პრობლემა შეიძლება იყოს და არა საზოგადოების. ამ შემთხვევაში, ამ კატეგორიის ადამიანებს ავიწყლებათ ერთი რამ, რომ მაღალი სტატუსის მიღწევისათვის ქალებს არ უნდა სჭირდებოდეთ განსაკუთრებული გმირობა ისევე, როგორც ეს არ სჭირდებათ მამაკაცებს. საზოგადოება არ უნდა იყოს დამყარებული ინდივიდების გმირობის იმედზე, არამედ უნდა არსებობდეს თანაბარი შესაძლებლობები და მხოლოდ ასეთ შემთხვევაში შეიძლება წარუმატებლობა ინდივიდს დაეპარალოთ. მესამე ნაწილი ამ კითხვაზე პასუხობს, რომ არსებობს გენდერული უთანასწორობა საზოგადოებაში, მაგრამ უბრალოდ ვერ ხვდება, რა შუაშია ის ამ ყველაფერთან და რატომ შეიძლება გრძნობდეს ამის გამო პასუხისმგებლობას, ანუ ამ შემთხვევაშიც, ადგილი აქვს ეგრეთწოდებულ “მსხვერპლის დადა-ნაშაულების” პრობლემას.

ძირითადად, ამ პასუხებს გაიგონებთ ქართული საზოგადოებისგან და თუ კარგად დავაკვირდებით დავინახავთ, რომ მთავარი პრობლემა სწორედ ის არის, რაზეც ამ ესეის დასაწყისში მოგახსენეთ – გენდერული თანასწორობის საკითხები და ქალის დაბალი სტატუსი საზოგადოებაში არ აღიქმება როგორც საზოგადოებრივი პრობლემა. ერთი ნაწილისათვის ეს ბუნებრივი კანონზომიერებაა, რომელიც საზოგადოებრივ ჰარმონიას უზრუნველყოფს, მეორე ნაწილისთვის კი ეს მხოლოდ ინდივიდის პრობლემამდე დადის, ისე, თითქოს ქალი ინდივიდულურად ირჩევს დაბალ სტატუსს საზოგადოებაში. განა შეიძლება ამას არჩევანი დაარქვა, როდესაც რეალურად მხოლოდ

ერთი ასარჩევი ალტერნატივა არსებობს: ქალისათვის – კარგად გათხოვების და მამაკაცისათვის – წარმატებული კარიერის და კარგი ოჯახის (ოღონდ, ეს ორივე ერთად). თუ ქალმა კარიერაში წარმატებას ვერ მიაღწია, მაგრამ გათხოვდა და შვილები გააჩინა, ითვლება, რომ მან საკუთარი ამქვეყნიური მისია შეასრულა, მაშინ როდესაც, მამაკაცების შემთხვევაში, სულ სხვა მოტივები მუშაობს – მამაკაცმა თუ იყოლია შვილები, მაგრამ არ ჰქონდა წარმატებული კარიერა, ითვლება, რომ მან თავისი მისია ბოლომდე ვერ შეასრულა. საზოგადოებაში დამკვიდრებული მსგავსი და სხვა ტიპის სტერეოტიპების გამყარება ხდება მუდმივად – სკოლებში, ტელევიზიებით და სხვა საშუალებებით. ამასთან მიმართებით ერთი ფაქტი მახსენდება: ქალებისათვის გაკეთებულ ერთ-ერთ გადაცემაში „სამოთხის ვაშლები“, რომელიც საზოგადოებრივ არხზე გადის, ნახევარი საათის განმავლობაში ხუთი ქალი მსჯელობდა იმაზე, თუ სად დადიან მილიონერი მამაკაცები და რა არის მათი “გამოჭერის” რეცეპტი. მაგრამ არც ერთს არ მოსვლია აზრად, დაესვა კითხვა, თუ რატომ უნდა ეძებოს ქალმა მილიონერი მამაკაცი და რატომ არ შეიძლება ქალმა თავად იშოვოს მილიონი?! კიდევ ერთი საინტერესო ფაქტი მოვისმინე, თუ როგორ დაიბარა სკოლაში კლასის დამრიგებელმა იმ ბიჭის მშობელი, რომელიც გოგონებს კლასის დალაგებაში ეხმარებოდა და გააფრთხილა, რომ მისი შვილი “ქალაქუნასავით” იქცეოდა, ამასთანავე სთხოვა მშობელს რაიმე ღონე ეხმარა ამის აღსაკვეთად. როგორც აღმოჩნდა, “პრობლემა მოგვარდა” – ბიჭი აღარ ალაგებდა და მასწავლებელიც კმაყოფილი იყო იმით, რომ ის “გზიდან აცდენას” გადაარჩინა. იმის მაგივრად, რომ მასწავლებელს დაებარებინა იმ ბიჭების მშობლები, რომლებიც გოგონებთან ერთად არ მონაწილეობდნენ საკლასო ოთახის დალაგებაში და აეხსნა, რომ კლასს ბიჭებიც ისევე მოიხმარენ, როგორც გოგონები და შესაბამისად, დალაგებაც ყველას მოვალეობაა, იგი საპირისპიროდ მოიქცა. ალბათ, ასეთ შემთხვევაში არ უნდა გაგვიკვირდეს ის ფაქტი, რომ ამ ბიჭმა აღარასოდეს მიიღოს მონაწილეობა ოჯახში მოვალეობების გადანაწილებაში – ცოლთან, დასთან, დედასთან, რომ მერე “ქალაქუნა” არ დაუძახონ. მსგავსი ფაქტებიდან გამომდინარე, თუ სკოლა, მედია და სხვა მნიშვნელოვანი ინსტიტუტები არ იქნება განთავისუფლებული ასეთი სტერეოტიპული დამოკიდებულებებისაგან, გენდერული თანასწორობის პრობლემები ყოველთვის რთულად აღსაქმელი და გასაანალიზებელი იქნება.

დღეს ქართულ საზოგადოებაში არსებობს ისეთი პრობლემები, როგორიცაა – “მეორადი

1. ეროვნული კვლევა საქართველოში ოჯახში ძალადობის შესახებ, თბილისი, 2009, ამ კვლევის თანახმად ქალების 6,9%-ს განუცდია ფიზიკური ძალადობა.

ქალიშვილობა”, არის უამრავი მარტოხელა დედა, რომელმაც არაოფიციალურ ქორწინებაში გააჩინა შვილი და ამის გამო ოჯახმა მიუკეტა სახლის კარი. ამავე პრობლემის გამო ბავშვთა სახლებში მიტოვებულია ბევრი ბავშვი. ტელევიზიით ხშირად გვეხსიან, როგორ შეეწირა ქალის სიცოცხლე სახლის პირობებში გაკეთებულ აბორტს, რათა ოჯახს არ გაეგო მისი ფეხმძიმობის ამბავი და ჩემთვის პირადად, კიდევ უფრო მტკივნეული იყო იმის გაგება, რომ ერთ-ერთი ასეთი აბორტის გამო გარდაცვლილი ქალის ცხედარი ოჯახმა სახლშიც კი არ მიასვენა. დიდია ოჯახში ძალადობის მსხვერპლ ქალთა რიცხვიც.

ასევე არსებობს პოლიტიკაში და საზოგადოების სხვა სფეროში ქალთა წარმომადგენლობის პრობლემა. რაც შეეხება პოლიტიკურ წარმომადგენლობას, აქ ქალები არ არიან აღიარებული როგორც მარგინალური ჯგუფი, რომელსაც უჭირს ამ სფეროში შეღწევა. მაგრამ, როდესაც ლაპარაკია პოლიტიკაში ქალთა წარმომადგენლობის გაზრდაზე, საუბარი მიდის იმ მიმართულებით, თითქოს ქალები ჯერ მზად არ არიან პოლიტიკაში წასვლისათვის და საჭიროა მათი მომზადება, რომ მნიშვნელოვანია არა რაოდენობა, არამედ ხარისხი, რაც გაუგებარია, რადგან პოლიტიკაში წასვლის მსურველ მამაკაცებს ეს ხარისხი არ მოეთხოვებათ. ასევე გაუგებარია, რა ხარისხი გააჩნიათ ამჟამად ქართულ პოლიტიკაში მოღვაწე მამაკაცებს.

როდესაც საუბარია გენდერული პრობლემების, როგორც სოციალურ მოვლენებად აღიარებისა და მათზე საზოგადოების პასუხისმგებლობის გაზიარებაზე, ამასთან მიმართებაში მნიშვნელოვანია ნარკომანიის პრობლემა და მასთან დაკავშირებული დისკურსის ცვლილება. სულ რამდენიმე წლის წინ, ნარკომანია აღიქმებოდა დანაშაულად და მხოლოდ ნარკომანიის პრობლემად. დღეს ეს დისკურსი შეიცვალა და ყველა აღიარებს, რომ ნარკომანია არის სოციალური მოვლენა და შესაბამისად, სოციალური პრობლემა, რაზეც საზოგადოებამ გაიზიარა პასუხისმგებლობა და დაიწყო მის წინააღმდეგ საზოგადოებრივი აქტიურობა. სწორედ ამ დისკურსის ცვლილების აუცილებლობას მინდა ხაზი გავუსვა გენდერული თანასწორობის შემთხვევაშიც და აღვნიშნო, რომ დღეს, გენდერული საკითხები – თანასწორობა იქნება ეს, დისკრიმინაცია, თუ ძალადობა გენდერის ნიშნით, არ არის ინდივიდუალური პრობლემა, არამედ საზოგადოებაში არსებული სტერეოტიპების შედეგია, რაზეც საზოგადოების თითოეულმა წევრმა უნდა აიღოს პასუხისმგებლობა და მას ბრძოლა გამოუცხადოს.

ესეის დასასრულს მინდა ვთქვა, რომ ჩემი

საუბარი არსებული პრობლემების მიმართ საზოგადოებრივ პასუხისმგებლობაზე, არ მინდა იყოს აღქმული ისე, თითქოს ინდივიდს არანაირი პასუხისმგებლობა არ ეკისრება საკუთარი ქმედების გამო და მხოლოდ ცალკე საზოგადოება ანგარიშვალდებული ამ ინდივიდის წინაშე. მიმაჩნია, რომ ქალი, რომელიც ბავშვს აჩენს არაოფიციალურ ქორწინებაში და შემდგომ პასუხისმგებლობას გაურბის, ტოვებს ბავშვთა სახლში, ისეთივე დამნაშავეა ამ ბავშვის წინაშე, როგორც ცალკე აღებული საზოგადოების თითოეული წევრი, რომელმაც არ გააპროტესტა აღნიშნული ფაქტი ან ხელი შეუწყო ოჯახის ინსტიტუტის ფუნდამენტალიზაციას. მიმაჩნია, რომ საზოგადოების თითოეულ წევრს უნდა რცხვენოდეს “მეორადი ქალიშვილობის”, რადგან ეს მხოლოდ ინდივიდის პრობლემა არ არის, არამედ იმის შედეგია, რომ საქართველოში არსებობს ქალიშვილობის ინსტიტუტი. ასევე უნდა რცხვენოდეს “მეორად ქალიშვილსაც”, რადგან მან ვერ შეძლო და პასუხისმგებლობა ვერ აიღო საკუთარ ქმედებაზე და ხელი შეუწყო ამ ინსტიტუტის კიდევ უფრო გამყარებას. მიმაჩნია, რომ საზოგადოება იმ დონითაა დამნაშავე ინდივიდის წინაშე, რა დონითაც თავად ინდივიდი საზოგადოების წინაშე, რადგან საზოგადოება არ არის აბსტრაქტული ცნება და ის თითოეული ჩვენგანის ერთობლიობაა. საზოგადოების თითოეულმა წევრმა უნდა გააცნობიეროს, რა შედეგები მოჰყვება მათ უმოქმედობას ან იმ სტერეოტიპების გამყარების ხელშეწყობას, რომელიც ტკივილს აყენებს საზოგადოების ცალკეულ წევრს.

იმათვის, ვინც კიდევ ვერ მიხვდა, თუ რა შუაშია ამ ყველაფერთან ესეის სათაური და ვის რაში ედება ბრალი, ვინც კიდევ ვერ გააცნობიერა საკუთარი პასუხისმგებლობის სიმწვავე, შევეცდები კიდევ ერთხელ ჩამოვაცალიბო ჩემი მთავარი სათქმელი და ესეი მოკლე ჩანართით დავასრულო:

შენ (იგულისხმება საზოგადოების თითოეული წევრი) ბრალი გედება: ბავშვების უპატრონოდ მიტოვებაში, ადამიანებისათვის ტკივილის, ტანჯვისა და მორალური ზიანის მიყენებაში, ქალების ტანჯვით სიკვდილში და მარტოხელა დედების ჩაგვრაში. ამიტომ, შენ მოგესაჯა წლით თავისუფლების აღკვეთა მკაცრი მორალის კოლონიაში. განაჩენი არ არის საბოლოო და გასაჩივრებას ექვემდებარება!

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Cudd, A., E., Jones, L., E., *Sexism*, Oxford: Blackwell. 2003, pp.73-83
2. Marilyn, F., *Oppression*, Ten Speed Press, Berkeley. 1983
3. ეროვნული კვლევა საქართველოში ქალთა მიმართ ოჯახში ძალადობის შესახებ, წინასწარი ანგარიში, თბილისი, 2009, UNFPA.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის
განდარის სამაგისტრო პროგრამის
სტუდენტი

პრობლემა “უჩინაჩინი?” - შრომის განდარული პრობლემათა სარტოველოში

ქალაქო, გამოიღვიქათ: ქათილგონიარების
ხმა უნდა გაისმას მთელს სამყაროში:
სანით თქვენი უფლებათა
ოლიმპია და გუმი

უჩინაჩინი ერთ სქესს ყველაფერი უქონდეს,
გოგონას კი არაფერი?
მადამ ბ.ბ.

“...რომ გადახედო მაღალი პოზიციის მენეჯერებს ბიზნესისა თუ სამთავრობო შეხვედრებზე, ძალიან გაგიჭირდება ქალის მოძებნა და ეს ისეთი თვალში საცემია... და თუ დაინახავ სადმე ქალს, ის ან მარკეტინგის სამსახურის წარმომადგენელია, ან პიარის...” – ეს ერთ-ერთი ეკონომიკური ინფორმაციის სააგენტოს იმ ჟურნალისტის სიტყვებია, რომელსაც ხშირად უწევს მსგავს შეხვედრებზე სიარული და სიტყვები, რომელმაც კიდევ ერთხელ დამაფიქრა იმ პრობლემებზე, რაც ქალს ექმნება შრომის ბაზარზე საქართველოში.

მსგავსს სურათს არაერთ ორგანიზაციაში წააწყდებით და შესაძლოა, ვინმეს გაუკვირდეს, რა იყო ასეთი განსაკუთრებული ამ ჟურნალისტის განცხადებაში. მაგრამ ეს აზრი საკვირველი და სასიამოვნოდ მოსასმენი ნამდვილად იყო ჩემთვის. დიან, “სასიამოვნო”, რადგან ეს ამბავი (ის რომ ქალები გადაწყვეტილების მიმღებ პოზიციებზე არ არიან) ერთმა რიგითმა ადამიანმა დაინახა, აღიქვა როგორც პრობლემა და სწორედ ეს აღმოჩნდა “საამოდ სასმენი” ჩემთვის, როგორც ამ თემებით დაინტერესებული ადამიანისთვის, რომელსაც ძალიან ხშირად ხმის ჩახლეჩვამდე უწევს ქალის შრომითი პრობლემების არსებობის მტკიცება ქართული საზოგადოების დიდი ნაწილისთვის, რომელიც ამბობს, რომ საქართველოში ისევე, როგორც სხვა პოსტ-საბჭოთა ქვეყნებში, ქალსა და მამაკაცს შორის სოციალური უთანასწორობის პრობლემა, უბრალოდ, არ არსებობს.

დღეს, გენდერული თანასწორობის პრობლემებზე საუბრისას, ძირითადად, ოჯახურ ძალადობაზე

აკეთებენ აქცენტს, რაც ნამდვილად არის ქართული საზოგადოების სერიოზული პრობლემა, რადგან მას არ აქვს კულტურული, ეკონომიკური და კლასობრივი საზღვრები, მაგრამ მიმაჩნია, რომ ქართულ სამუშაო ბაზარზე არსებული გენდერული პრობლემები, რომელსაც მე “უჩინაჩინი” ვუწოდებ, ისეთივე მწვავე და სერიოზულია, როგორც ძალადობა ოჯახში.

პრობლემის “უჩინაჩინობა” კი იმაში მდგომარეობს, რომ ის რეალურად არსებობს, მაგრამ ვერ ამჩნევენ. ქართული საზოგადოებისთვის ეს უხილავია იმდენად, რომ სამუშაოზე გენდერული ნიშნით ჩავვრას და უფლებების შელახვას ვერც უფლებების დამრღვევი ანუ დამქირავებელი და ვერც უფლებამოსილი ანუ დაქირავებული ამჩნევს (თუ რას ვგულისხმობ დეტალურად ქვემოთ ვისაუბრებ), რაც კიდევ უფრო რთულად მოსაგვარებელს ხდის მას.

და სწორედ ამიტომ, ჩემი ესეის თემაც ის უხილავი თუ ხილული პრობლემებია, რაც ქალს ექმნება შრომით ბაზარზე. პრობლემათა ჩამონათვალი რომ არც ისე ცოტაა, კვლევები და ექსპერტთა მოსაზრებებიც ადასტურებს, რაც ასე გამოიყურება: ქალების დისკრიმინაცია შრომითი დასაქმების ხელმისაწვდომობის თვალსაზრისით; ფენძიმე და ჩვილბავშვიან ქალთა დისკრიმინაცია; ოფიციალურ განცხადებებში ასაკობრივი, გარეგნული და სქესობრივი ნიშნით დისკრიმინაცია; უთანასწორობა თანამდებობაზე დანიშნვისა და სამსახურებრივი დაწინაურებისას; დასაოჯახებელ ქალთა დისკრიმინაციის

შემთხვევები¹; სამუშაო ადგილებზე ქალთა მიმართ სექსუალური ხასიათის იძულება და ზეწოლა; ასევე, შრომისა და ანაზღაურების კორიზონტალური² და ვერტიკალური³ გენდერული დიფერენციაცია (ქალი და ბიზნესი, 2009:20). მაგრამ მე უფრო დეტალურად ქალის ორმაგი ჩაგვრისა და ე.წ. “შუშის ჭერის” არსებობაზე ვისაუბრებ, რადგან ერთი ესეის ფარგლებში ყველა ზემოთ ჩამოთვლილ თემაზე რეფლექსია შეუძლებელია.

რაც შეეხება ზოგადად შრომის ბაზრის ისტორიულ მიმოხილვას:

“თუმცა მამაკაცის საქმეს ქალიც შეასრულებს, ყველა ამ საქმეში იგი მამაკაცთან შედარებით არასრულყოფილი იქნება” (რესპუბლიკა, V:455) – პლატონის ეს სიტყვები ამტკიცებს, რომ ამაზე ჯერ კიდევ ჩვენს წელთაღრიცხვამდე მსჯელობდნენ. ასე რომ, ქალისა და მამაკაცის თანაბარ შესაძლებლობებზე დისკურსს მრავალსაუკუნოვანი ისტორია აქვს.

მას შემდეგ რომ ბევრი არაფერი შეცვლილა (ყოველ შემთხვევაში ქართულ ცნობიერებაში), ამასაც ვხედავთ, მაგრამ ისტორიკოსების მტკიცებით, ინდუსტრიალურ ევროპაში ქალისა და მამაკაცის საქმიანობის განსხვავებული სფეროების არსებობის მიუხედავად, არც ერთი მათგანი არ იმყოფებოდა დაქვემდებარებულ მდგომარეობაში (პადევიჩი, რესკინი. 2007:29). სამუშაოსთან დაკავშირებული პრობლემები ინდუსტრიალიზაციის შემდეგ დაიწყო, როდესაც ანაზღაურებადი სამუშაოს და ხელფასის ფენომენი გაჩნდა (England, 1992:1), რამაც ქალისა და მამაკაცის სამუშაო როლებს შორის ორი ახალი გამიჯვნა წარმოშვა: ერთი ქალისთვის ანაზღაურების გარეშე საშინაო საქმეების მიხედვაში, ხოლო მამაკაცისთვის ანაზღაურებადი შრომის მიკუთვნებაში მდგომარეობს, ხოლო მეორე – სქესების მიხედვით სხვადასხვა სამუშაოზე სეგრეგირებაში (პადევიჩი, რესკინი 2002:50).

იქიდან გამომდინარე, რომ ქალები ფაქტიურად ანაზღაურებადი სამუშაოების მიღმა დარჩნენ და

შინასაქმიანობას შორის ამაგვარმა სხვაობამ მნიშვნელოვანი გავლენა იქონია გენდერულ უთანასწორობაზე, ადრეულ ფემინისტთა წრეებში გააქტიურდა ქალთა დასაქმების და ანაზღაურების პრობლემების წინააღმდეგ ბრძოლა (ამ მოძრაობის მედროშეები იყვნენ ელიზაბედ ქეიდი სტენტონი, სუზან ბი ენტონი), რომელიც დღემდე გრძელდება და ბევრმა ქვეყანამ ამ კუთხით სერიოზულ წარმატებებსაც მიაღწია (განსაკუთრებით გამოყოფენ სკანდინავიის ქვეყნებს), მაგრამ საქართველოში...

ოპონენტები, რომლებიც შრომით ბაზარზე გენდერულ უთანასწორობას ვერ თუ არ ხედავენ, იშველიებენ არგუმენტს, რომ საქართველოში ქალებს დიდი ხანია არც განათლების მიღების და არც სამუშაოზე გასვლის პრობლემა ექმნებათ.

განათლებას რაც შეეხება, ვეთანხმები მათ, რადგან არსებული მონაცემებით განათლებას კაცზე მეტი ქალი იღებს საქართველოში⁴. მაგრამ, მე ვეკითხები ჩემს ოპონენტებს: რატომ ხდება, რომ მიუხედავად შესაბამისი განათლებისა და ერთი შეხედვით თანაბარი სასტარტო პირობებისა (განათლება და ცოდნა მაქვს მხედველობაში), რატომ ვერ ვხვდებით ქალებს მაღალ პოზიებზე საქართველოში⁵ და რატომ წარმოადგენენ ისინი სოციალურად დაუცველების უმრავლესობასაც?⁶

“...გენდერული თანასწორობა?! ჩვენთან ამ მხრივ ყველაფერი წესრიგშია. დიახ, ჩვენი ათი თანამშრომლიდან მე ერთადერთი კაცი ვარ...” – თავდაჯერებულად მიხსნის ერთ-ერთი სამსახურის უფროსი, რადგან ის გულწრფელად დარწმუნებულია, რომ მის სამსახურში გენდერული თანასწორობა დაცულია.

მაგრამ, უნდა გაგაწბილოთ “ბატონო” და გითხრათ, რომ თქვენს სამსახურშიც, ისევე როგორც ბევრგან, გენდერული დისბალანსია. რატომ? იმიტომ “ჩემო ბატონო”, რომ სამსახურში ცხრა ქალია და მანც ერთადერთი მამაკაცის გადაწყვეტილებებს ასრულებს. ქალი, როგორც ყველგან, თქვენს სამსახურშიც დაქვემდებარებულ როლშია და კიდევ იმიტომ,

1. აქ იგულისხმება, სამსახურში მისაღებ პირობად სიტყვიერი დათქმა, ხელშეკრულების პერიოდში დაოჯახებაზე უარის თქმასთან დაკავშირებით.
2. სფეროების სქესობრივი სეგრეგაცია.
3. ქალი კი შედის ორგანიზაციულ სტრუქტურაში, მაგრამ ის დაბალ ანაზღაურებად დადაბალ პრესტიჟულ პოზიციაზეა.
4. 2007 წელს უმაღლეს სასწავლებლებში ჩარიცხული სტუდენტების 55.5% ქალები წარმოადგენენ და ამავე წლის მონაცემებით, მეცნიერი ქალების რაოდენობა შეადგენს 471-ს, ხოლო მამაკაცების 315-ს (ქალი და კაცი საქართველოში. 2008:25)
5. დღევანდელი მდგომარეობით საქართველოს პარლამენტში მხოლოდ 6 ქალია (4%), ხოლო საქართველოს მთავრობის შემადგენლობაში ერთი ქალი მინისტრია.
6. 2009 წლის პირველი თვეების მონაცემებით, სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი მოსახლეობის ერთიან მონაცემთა ბაზაში რეგისტრირებულია 905 575 ქალი და 742 099 კაცი (ქალი და ბიზნესი. 2009:21)

რომ როგორც ბევრ ადამიანს ამ ქვეყანაში, თქვენც არასწორი წარმოდგენა გაქვთ გენდერულ თანასწორობაზე და ის რიცხობრივი ბალანსის დაცვით წარმოგიდგენიათ, და იმიტომაც, რომ განათლების მიუხედავად, ქალის წარმატებული კარიერა თავიდანვე კითხვის ნიშნის ქვეშ დგება, დიდი კითხვის ნიშნის ქვეშ, რადგან ეს ქალისგან მნიშვნელოვანი მსხვერპლის გაღებას მოითხოვს და ეს მსხვერპლი პირადი ცხოვრება ან ორმაგი ჩაგვრის ტვირთის ზიდვაა ხოლმე, რაც გათხოვების შემდეგ იწყება ქალის ცხოვრებაში. რატომ?

საქართველოში ქალის გათხოვების საშუალო ასაკი 23-25 წელს შეადგენს, მამაკაცის დაოჯახებისა კი – 28-30-ს (ქალი და კაცი საქართველოში, 2008:13). ქალის გათხოვების ასაკი მისი კარიერის დასაწყისს ემთხვევა (საქართველოში უმაღლეს სასწავლებელს 22-23 წლის ასაკში ამთავრებენ) და შესაბამისად, ის ვერც მაღალი პოზიციისა და ხელფასის მფლობელი იქნება. კვლევების მიხედვით კი, როდესაც ქალი ქორწინდება ან წყვილი იწყებს ერთად ცხოვრებას, ქალს კაცთან შედარებით სამუშაო საათები ემატება⁷, რადგან დღესდღეობით დაქორწინებულ ქალთა დაახლოებით 60% ინაწილებს ოჯახის მარჩენალის როლს, მაგრამ კაცები, როგორც წესი, ნაკლებად კისრულობენ საოჯახო ვალდებულებებს (პადევიჩი, რესკინი. 2002:267), რადგან მათივე სიტყვებით – “ეს (ანუ საოჯახო საქმიანობასა და ბავშვების გაზრდაში მონაწილეობა) კაცის გენეტიკაში არ დევს”. მაგრამ, რატომღაც, “სინდისი არ ქენჯნის” ამავე სიტყვების ავტორს, როცა ქალი იტვირთება ხოლმე “მამაკაცის ფუნქციებს” (ანუ მარჩენალის როლს, რაც ბოლო დროის ტენდენციაა საქართველოში და მიგრაციის ფემინიზაცია ამისი დასტურია), რომელიც იმავე ლოგიკით არ არის “ქალის გენეტიკაში”. საჭმლის მომზადება გენეტიკასთან რომ არაფერ კავშირშია, ამის ტრივიალური მაგალითია რესტორნებში მამაკაცი “წინსაფარიანი შეფ-მზარეულების” სიმრავლე.

დაუბრუნდეთ ისევ ქალის გათხოვებას. ამ ამბავს შვილიანობა მოჰყვება ხოლმე და დიღემაც ამ დროს წარმოიშობა, რაც, ხშირ შემთხვევაში, ქალის სახლში დარჩენით იჭრება. რატომ ხდება ასე?

მიუხედავად იმისა, რომ ყველა ქალისგან ქმარი მკაცრად არ მოითხოვს შვილის გაჩენის შემდეგ სახლში დაჯდომას (ასეთი შემთხვევებიც ხდება და არცთუ იშვიათად), მისგან მკაცრად მოითხოვენ, რომ შვილს და ოჯახს ყურადღება

არ მოაკლდეს; ანუ თუ ქალი სამსახურში შენიშვნას დირექტორისგან ან მენეჯერისგან იღებს, სახლში მას “ოჯახის უფროსისგან” არ ასცდება მკაცრი საყვედური მისი “მთავარი მოვალეობების” ვერ შესრულების გამო. და თუ ქმრისგან გადარჩა, დედამთილის ან ოჯახის სხვა წევრების უნდა “ეშინოდეს”. მაგრამ ამათაც თუ გადაურჩა, მეზობლებისგან და სანათესაოსაგან არ ასცდება ამრეზით ყურება, დამღლევი სამუშაო დღის შემდეგ ავეჯის გაპრიალება და ჭურჭლის გარეცხვა რომ ვეღარ მოასწრო.

ეს ყველაფერი ქალის ფსიქოლოგიურ სტრესს და ფიზიკურ გადაღლას იწვევს, რასაც ყველა ქალი ვერ უძლებს. ამგვარად, როდესაც შვილი ჩნდება, სამსახურში კი არც ანაზღაურება და თანამდებობაა მაღალი (ზემოთ ნახსენები გარემოებებიდან გამომდინარე), ხოლო შვილის აღზრდა სტერეოტიპულმა გარემომ “ერთპიროვნულად მას ჩააბარა”, დედა, რა თქმა უნდა, შვილის კეთილდღეობას და მის აღზრდას ირჩევს. პირველ შვილს “ბარემ” მეორეც მოჰყვება და ამ ამბავს, სულ ცოტა, 4-5 წელი შეეწირება.

ჩემი ოპონენტი კი მეტყვის, რომ ეს ხომ მან არჩია? ხომ მან გადაწყვიტა გათხოვება, შვილის გაზრდა და მერე მუშაობა?

კითხვას კი კითხვითვე ვუპასუხებ: რატომ უხდება ქალს არჩევანის გაკეთება – ოჯახი თუ კარიერა? და რატომ ირჩევს, ხშირ შემთხვევაში, პირველს?

ქალის არჩევანი (ანუ სახლში ჯდომა და შვილებისთვის მთელი დროის დათმობა), გარდა ზემოთ აღწერილი გარემო პირობებისა, მისი აღზრდითაცაა განპირობებული, რადგან დაბადებიდანვე მამაკაცს “მაღაუფლებას ასწავლიან”, ხოლო ქალი სწავლობს, როგორ უნდა იყოს მორჩილი და პასიური (Beauvoir, 1949). აღზრდის გამოა, რომ ქალს თავში აზრადაც არ მოუვა კაცისაგან იმის მოთხოვნა, რომ საოჯახო საქმეებისა და შვილის აღზრდის პასუხისმგებლობა თანაბრად გადაინაწილოს. ქმრისადმი მსგავსი მოთხოვნის სურვილი ისეთივე წარმოუდგენელია ქალისთვის, როგორც არ მოუნდება მაგალითად, თავდაყირა სიარულის სწავლა მოითხოვოს მისგან.

“ქართველმა ერმა ვერ მაჰატია, რომ შვილები არ მყავს” – განაცხადა ერთ-ერთ სატელევიზიო გადაცემაში ცნობილმა ქართველმა ჯაზ-მომღერალმა მათა ბარათაშვილმა, რაც ზუსტად ასახავს საზოგადოებრივ სტიგმას და იმას, რატომაც ირჩევს დიღემის წინაშე მდგარი ქალი

7. ქალი კვირაში, საშუალოდ, 4.2 საათით მეტს ხარჯავს საოჯახო სამუშაოების შესრულებაზე, მაშინ, როცა კაცის მიერ იგივე სახის ამოცანების შესრულებაზე დახარჯული დრო კვირაში საშუალოდ 3.6 საათით იკლებს (პადევიჩი, რესკინი. 2002:268).

ოჯახს. ქალს არწმუნებენ, რომ მისი “მთავარი ფუნქცია” დედობა და ოჯახის მოვლაა, რომ სრულფასოვანი ბედნიერება ამის გარეშე მიუღწეველია და რაღაც გასაკვირია, რომ “სრულფასოვანი ბედნიერებისთვის” ერთი ჩვეულებრივი სამსახურის შეწირვა “არ არის მოსაზრებელი”.

დავუბრუნდეთ ისევ იმ ქალს, რომელმაც შვილების გამო სამსახური რამდენიმე წლით მიატოვა.

რა ხდება ამ დროს სამსახურში? მისი კოლეგა მამაკაცი, ერთ დროს ერთ პოზიციაზე რომ მუშაობდნენ და რომელმაც ამ 4-5 წლის მანძილზე სათანადო გამოცდილება დააგროვა, უკვე პოზიციურადაც დაწინაურდა. ქალმა კი, ხუთი წელი “დიდ” საქმეს რომ შეაღწია და კარიერის დასაწყისშივე მიატოვა სამსახური, ამ დასაწყისიდან უნდა განაგრძოს, რაც ნიშნავს, რომ კოლეგა მამაკაცის ახალ პოზიციებამდე მიღწევას თითქმის 5 წელი უნდა მოანდომოს (თუ კიდევ არ “მოუწია” შვილის გაჩენა და ჯერ არდაწყებული ისევ მიტოვება). ამ ხუთი წლის შემდეგ კი კოლეგა მამაკაცმა კიდევ უფრო მეტი გამოცდილება და სტაჟი დააგროვა, რაც წარმატებისა და წინსვლის ერთ-ერთი მთავარი გარანტიაა. ასე რომ, კოლეგა მამაკაცს აშკარად მეტი შანსი აქვს ქალთან შედარებით, მით უმეტეს, რომ არც უფროსს ნიბლავს მანინცდამინც, საპასუხისმგებლო თანამდებობაზე არასტაბილური კადრის დანიშვნა. არასტაბილური კადრი კი ქალია, მისი ორმაგი ტვირთისა და, აი უკვე მერამდენე, ორსულობის გამო.

ქალის კარიერულ წინსვლას კი, დაკარგულ დროსთან ერთად, “შუშის ჭერის” არსებობაც ქმნის, რასაც იმ წინააღმდეგობათა ერთობლიობა ქმნის, როგორცაა: სრულიად დაუსაბუთებელი აზრი იმის თაობაზე, რომ ქალს მამაკაცთან შედარებით ნაკლებად რაციონალურად შეუძლია სამუშაო დროის განაწილება, რომ გადაწყვეტილების მიღების დროს ქალები მეტად ემოციურები არიან, მათი ტვინის მუშაობის ხარისხი კაცისაზე დაბალია და სხვა.

ქალისთვის “შუშის ჭერის” არსებობას ქართული კულტურის დიფუზურობაც უწყობს ხელს, რადგან სამსახურში, როგორც წესი, მამაკაცების სოციალური წრე იქმნება, რომელთა შორის ხშირად სამსახურის უფროსიცაა ხოლმე და ის, უმრავლეს შემთხვევაში, მამაკაცია. განსხვავებული გართობისა და ინტერესის სფეროებიდან გამომდინარე ამ წრეში ქალის შეღწევა შეუძლებელი ხდება (გამომდინარე იქიდან, რომ ქალი მამაკაცებს ვერ გაყვება დასალევად, მეგობარ გოგონებთან, ფეხბურთის საყურებლად თუ სხვა), რაც მის კარიერაზე

პირდაპირ აისახება, რადგან ქართული კულტურის დიფუზურობიდან გამომდინარე, მეგობრული ურთიერთობები სამსახურებრივი დაწინაურების დროს გადამწყვეტ როლს თამაშობს და უფროსთან დამეგობრებული მამაკაცი კოლეგისათვის პოზიციური დაწინაურებაც უფრო ადვილად მისაღწევია ქალთან შედარებით.

შრომის ბაზრის გენდერული პრობლემების და მიზეზების ჩამონათვალი უსასრულოდ შემიძლია გავავრძელო, მაგრამ ჩემი მიზანი შრომით ბაზარზე ქალის ჩაგვრის არსებობის არგუმენტირებული დასაბუთება იყო და არა ყველა პრობლემის დეტალური აღწერა.

დასკვნის სახით კი შეიძლება ითქვას, რომ ქალი, როგორც აქტორი, მეათეწარისხოვანია ქართულ შრომით ბაზარზე მიუხედავად იმისა, რომ ქვეყანა დემოკრატიული განვითარების გზაზე დგას და ის საერთაშორისო დოკუმენტებიც აღიარებული და რატიფიცირებულია საქართველოს მთავრობის მიერ, რომლებიც პირდაპირ ავალდებულებს სახელმწიფოს ქალის შრომითი პირობების გაუმჯობესებას და შრომითი უფლებების დაცვას, რაც, სამწუხაროდ, ჩვენს ქვეყანაში მხოლოდ ქალაღმდეგადაა დაცული. ამის დასტური კი საქართველოს კონსტიტუცია და შრომის კოდექსია, რომლის მიხედვითაც, ქალისა და მამაკაცის თანაბარ უფლებიანობა აღიარებულია, მაგრამ რეალური სურათი, როგორც ვნახეთ, სულ სხვაგვარია.

დროა, სახელმწიფომ კანონების წერასთან ერთად დაიწყოს ისეთი მექანიზმების შექმნა, რაც კანონების პრაქტიკაში განხორციელებას და ქალის ეკონომიკურ გაძლიერებას უზრუნველყოფს, რადგან შრომის ბაზრის გენდერული დისბალანსი პირდაპირ აისახება ქვეყნის ეკონომიკურ მდგომარეობაზე. როგორ?

თუ გავითვალისწინებთ, რომ ყველა გათხოვილი ქალი პოტენციური მარტოხელაა (გაყრისა და მეუღლის გარდაცვალებისგან არავინაა დაზღვეული), და თუ მას არასოდეს უმუშავია, არასოდეს ჰქონია პირადი ეკონომიკური შემოსავლის წყარო, უქმროდ ან ოჯახის სხვა წევრის დახმარების გარეშე დარჩენის შემთხვევაში, ის სოციალური გაჭირვებისთვისაა განწირული.

ასე რომ, ამ პრობლემებზე დაფიქრების აუცილებლობა ნამდვილად არის და XXI საუკუნეში იმაზე ზრუნვის დროცაა, რომ ქალმა ისეთ სოციალურ ინსტიტუტში, როგორცაა სამსახური, იგრძნოს, რომ არა მხოლოდ ქალი, არამედ ადამიანიცაა.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ი. პადევიჩი, ბ. რესკინი. ქალი და მამაკაცი სამუშაოზე. 2002.
2. ქალი და კაცი საქართველოში. საქსტატი, თბილისი, 2008.
3. ქალი და ბიზნესი. ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაცია, თბილისი, 2009.
4. ეროვნული კვლევა საქართველოში ქალთა მიმართ ოჯახში ძალადობის შესახებ. წინასწარი ანგარიში. თბილისი, 2009, UNFPA.
5. კონვენცია ქალთა მიმართ ყველა ფორმის დისკრიმინაციის აღმოფხვრის შესახებ. 1979, CEDAW.
6. პეკინის დეკლარაცია და მოქმედებათა პლატფორმა თანასწორობის, განვითარებისა და მშვიდობისათვის. 1995.
7. №111 კონვენცია შრომისა და დასაქმების სფეროში დისკრიმინაციის დაუშვებლობის შესახებ. 1958, შსო.
8. №100 მამაკაცისა და ქალის თანაბარი ღირებულებების შრომის თანაბარი ანაზღაურების შესახებ, (შსო) 1951
9. Beauvoir, S. (1949) *The Second Sex*, Cudd and Andreasen
10. England, P., (1992) *Comparable Worth: Theories and Evidence*. Hawthorn, NY: Aldine DeGruyter . pp. 1-45
11. Trompenaars, F., Hampden-Turner, C., (1998) *Riding the Waves of Culture* (2nd ed.). NY: McGraw-Hill. Gender, Ethnicity and Function Diversity, pp. 227-249.

ხაზია ნაღარაია

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალური და
პოლიტიკური მეცნიერებათა ფაკულტეტის
სტუდენტი

ქალების მარტოხელობა — ხელმოსაჩულობა თუ არჩევანი?

ქალები ხშირად არიან სტერეოტიპების ობიექტები. ისიც ფაქტია, რომ ჩვეულებრივ, სტერეოტიპები, რომლებიც ქალებს ეხება თავისი შინაარსით უფრო ნეგატიურია, რასაც ვერ ვიტყვით მამაკაცების მიმართ სტერეოტიპებზე. მრავალ კულტურაში დაშვებულია, რომ მამაკაცისათვის დამახასიათებელია ისეთი თვისებები, როგორებიცაა სიმტკიცე, ამბიციურობა, დომინანტურობა, გადაწყვეტილების მიღების უნარი. მაშინ, როცა ქალებს მიეწერება ისეთი მახასიათებლები, როგორებიცაა პასიურობა, სხვებზე ზრუნვა და სხვა.

მარტოხელა ქალების სტიგმატიზაციის ფენომენი ერთერთი მწვავე და აქტუალური საკითხია. ეს მოვლენა გენდერულად ნეიტრალური არ არის, ვინაიდან საზოგადოებრივი აზრი, ქალებისა და მამაკაცების მარტოხელობის შემთხვევაში რადიკალურად განსხვავდება ერთმანეთისგან. მამაკაცის შემთხვევაში მარტოხელობა უფრო არჩევანია, ქალის შემთხვევაში კი უფრო ხელმოცარულობა. ჩვენი ცოდნა გარესამყაროს შესახებ, რომელიც უნივერსალურად და აბსოლუტურად მიგვაჩნია, სინამდვილეში, საზოგადოების იმ ნაწილის კონსტრუირებულია, რომელიც ძალაუფლებას ფლობს, ანუ მისი “ბატონების” — მამაკაცების. სწორედ, ამ დომინანტური დისკურსის შედეგია, რომ ქართულ საზოგადოებაში ქალების მარტოხელობას ნეგატიურად აღიქვამენ, მაშინ როცა, მამაკაცების მარტოხელობას ჩვეულებრივ მოვლენად მიიჩნევენ. ქალების ძირითადი ადგილი, ქართული ტრადიციული გაგებით, ესაა სახლი, ოჯახი. ამ წარმოდგენის გამო მარტოხელა ქალი არასრულფასოვან ქალად მიიჩნევა. განსაკუთრებით სტიგმატიზებული პარტნიორისა და შვილის გარეშე მცხოვრები ქალები არიან — როგორც ნაკლოვანი არსებები. ქართველი ქალი საზოგადოების მიერ, პირველ რიგში, დედად მოიაზრება. იმისათვის რომ, “ქალი ქალობდეს” აუცილებელია, რომ ის დედა იყოს. ფაქტობრივად, დღემდე ეკრძალება ქალს ოჯახის შექმნამდე სექსუალური ურთიერთობა. შვილის გაჩენის შემდეგ კი ქალი მხოლოდ დედაა, რომელმაც მთელი ენერგია შვილის აღზრდას უნდა მოახმაროს. წარმატებული ქალიც, თუ მას ოჯახი

და შვილები არ ჰყავს, საზოგადოების მხრიდან არასრულფასოვნად აღიქმება. მარტოხელა ქალების სტიგმატიზებულობის მეორე მიზეზი ის არის, რომ პარტნიორის გარეშე მცხოვრებ ქალს უპატრონოდ მიიჩნევენ, უპატრონო კი ქართულ კულტურაში უარყოფითი სემანტიკური მნიშვნელობის სიტყვაა.

როგორი ვითარებაა საქართველოში მარტოხელა ქალებთან დაკავშირებით, რა ადგილი უკავიათ მარტოხელა ქალებს საზოგადოებაში, თუ მათ საერთოდ არ ექცევათ ყურადღება და რატომ? როგორი გრძნობები აწუხებთ მათ ამ ვითარებაში? რას ნიშნავს არსებული მდგომარეობა ქალებისთვის? საინტერესოა, როგორია მარტოხელა ქალისადმი თანამედროვე ქართული საზოგადოების დამოკიდებულება, რას ფიქრობს საზოგადოება მარტოხელა ქალებზე და როგორ აისახება საზოგადოების დამოკიდებულება ამ ადამიანების პირად ცხოვრებაზე? რა სახის თვითშეფასებით ხასიათდებიან მარტოხელა ქალები და როგორია ქართულ საზოგადოებაში არსებული მარტოხელა ქალის სახე, იმიჯი.

მარტოხელა ქალის განსაზღვრების ჩამოყალიბება საკამოდ რთულია. ავირჩიევან საზღვრება, რომელიც მარტოხელა ქალების პიტერ შტაინისეულ კლასიფიკაციას ეყრდნობა. პიტერ შტაინი მარტოხელათა ტიპოლოგიას პერმანენტულობისა და არჩევანის საფუძველზე აგებს.

“ნებაყოფლობით დროებით მარტოხელებს” მიეკუთვნებიან ახალგაზრდა ადამიანები, რომელნიც არ არიან დაქორწინებულნი, განქორწინებულნი, რომელნიც აყოვნებენ ხელახალ დაქორწინებას და ხალხი, რომელიც არასოდეს დაქორწინებულა და მაინცდამაინც აქტიურად არ ეძებს ქორწინებრივ სტატუსს.

“ნებაყოფლობით სტაბილურ მარტოხელებს” მიეკუთვნებიან ისინი, ვინც მარტოხელობა აირჩია და ის დაუქორწინებელი და განქორწინებული ხალხი, ვინც აქტიურად არ ეძებს ქორწინებას.

“არანებაყოფლობითი დროებითი მარტოხელები”

ის ხალხია, ვინც აქტიურად ეძებს ქორწინებას და ის განქორწინებულები, რომელთაც სურთ ხელახლა დაქორწინება.

“არანებაყოფლობით მარტოხელებს” მიეკუთვნებიან განქორწინებულნი, დაქვრივებულნი და ისინი, რომელნიც არასოდეს დაქორწინებულან, მაგრამ სურდათ, რომ ეს მოეხერხებინათ.

საქართველოში მისაბადი მოდელი ქალი-დედაა, რომელსაც ოჯახი ჰყავს. ”არანებაყოფლობითი დროებითი მარტოხელები”, რადგან ამ კრიტერიუმებს ვერ აკმაყოფილებენ, მუდამ განიცდიან დისკომფორტს, შინაგან წინააღმდეგობებს, ზეწოლას საზოგადოების მხრიდან. “არანებაყოფლობითი დროებითი მარტოხელები” და “არანებაყოფლობითი მარტოხელები” საკუთარ გაუთხოვრობას ნანობენ, ოჯახის არქონის გამო თავი უბედურად მიაჩნიათ. მარტოხელები, ხშირად საუბრობენ საზოგადოების მხრიდან ზეწოლაზე. მათ გამუდმებით ეკითხებიან, თუ რატომ არ თხოვდებიან. “გაუთხოვარი” ქალების შემთხვევაში ხშირია საკუთარი მარტოხელობის რაციონალიზაცია პასუხისმგებლობის მოხსნითა და ოჯახზე ან მიძიმე დროებაზე გადაბრალებით. მათ დისკურსში ხშირია ფრაზა – “დედის ბრალია”. დედაზე ამხვილებენ ყურადღებას შვილიანი მარტოხელა ქალებიც: ”იქედან მოდის ის უხეშობა და ისეთ გარემოში გავიზარდე. აი, მშობელს იმის საშუალება არ ჰქონდა, რომ მეფიქრა მე ამაზე. რო ვინმე გამოჩნდებოდა, “ის არ ვარგა”, იტყოდა დედაჩემი. იმიტომ, რომ დედაჩემს მე ვჭირდებოდი. ახლა ჩემი და ყველა, დედაჩემმა რა შინაბერა გაგხადაო? არ გამხადა, მარა არ შემეწყო ხელი ჩემთვის მეფიქრა. მაგი ოჯახზე ფიქრობდა და ჩამითრია. ყველა ვერ გაგიგებს ეხლა, ეს რომ თქვა, ვერ გაგიგებს. ჩამითრია და მერე მე, იმის შემდეგ რამე თუ არსებობდა, არ მეგონა. აი, ოჯახი, მუშაობა, პაეტომუ წავიდა ყველაფერი”.

მარტოხელა ქალები განცდებზე თითქმის არ საუბრობენ და საკუთარ დადებით თვისებებზე ამხვილებენ ყურადღებას, ამით თითქოს რაღაცის კომპენსირებას ახდენენ. სურთ დაადასტურონ, რომ ისინიც ჩვეულებრივი ქალები არიან, მათაც შეუძლიათ იყვნენ ძალიან კარგი დედები და მეუღლეები. თუმცა, შეიძლება ითქვას, რომ “გაუთხოვარი” ქალები მარტოხელობის მიზეზად იმ ოჯახებს ასახელებენ, რომლებშიც გაიზარდნენ. მათი საუბრებიდან ხშირად იკვეთება, რომ ოჯახში მამაკაცებთან ურთიერთობას უშლიდნენ, ვინაიდან “პატიოსანი გოგოები” ასე არ იქცევიან, ამ შემთხვევაში მამაკაცებთან ურთიერთობაში მოზარდობისას ბიჭთან ერთად კინოში ან პაემანზე წასვლა იგულისხმება. “ნებაყოფლობითი სტაბილური მარტოხელები” კი ამბობენ, რომ

მათთვის მეორედ ოჯახის შექმნა ან პარტნიორთან ერთად ცხოვრება წარმოუდგენელია და ეს მათ ღირსებას ლახავს. ქალის სიცოცხლე მამაკაცს ეძღვნება, ის მსხვერპლია. ქალის სიყვარულსაც პატრიარქატი აკონტროლებს. საზოგადოება, როცა საჭიროდ მიიჩნევს, ქალს სიყვარულსაც უკრძალავს, იდეოლოგიურადაც ზემოქმედებს მის ცნობიერებაზე, ანუ თავად ქალები ვერ ხვდებიან, რომ მათ თავს ახვევენ “სიყვარულის მსხვერპლობას” და რომ მსხვერპლის როლი საკუთარი ნების შესაბამისად არ აურჩევიათ, მაგრამ ჰგონიათ, რომ ეს მათი თავისუფალი მაღალზნეობრივი არჩევანია. მოქმედებს წარმოდგენა, რომ ქალი მით უფრო დადებითია, რაც უფრო ნაკლებადაა ეროტიული და მით უფრო მეტად არის მისაბადი, რაც უფრო უკარებაა. “არანებაყოფლობითი დროებითი მარტოხელები” ქალთა ის კატეგორიაა, რომელიც ყველაზე მეტად განიცდის პირად ცხოვრებაზე საზოგადოებრივი აზრის გავლენას. საქართველოში “გაუთხოვარი” ქალები და ისინი, რომლებსაც არასოდეს ჰყოლიათ პარტნიორი, განსაკუთრებით განიცდიან საკუთარ “გაუთხოვრობას” და ფიქრობენ, რომ რაღაც აკლიათ. “არანებაყოფლობითი დროებითი მარტოხელებს” გათხოვება უნდათ არა იმიტომ, რომ ვიღაც უყვართ, არამედ იმიტომ, რომ გათხოვილი ქალის სტატუსი სჭირდებათ. ხშირ შემთხვევაში, ამის მიზეზი საზოგადოების მხრიდან ზეწოლაა.

“აი, იცი რა ძალიან კარგ შეკითხვას მაძლევს ზოგი, რომ შემხვდება, ვგიჟდება. აი, იცი, მეზობელი მყავს კვირაში ორჯერ რომ მნახავს, კვირაში ორჯერ მეკითხება, შენ კიდევ არ გათხოვდი? ავდექი და ვუთხარი, ხო-მეთქი, გავთხოვდი და გამოვთხოვდი და საიდან მოასწარიო? მოვასწარი მეთქი, წარმოიდგინე. ვეუბნები, აქამდე ამომივიდა, რატომ არ თხოვდები, აი ეს გადასარევი კითხვაა. აი კითხვაა, მოკლედ ხუთიანი. რომ ვიცოდე, რატომ არ ვთხოვდები, ალბათ ისე ვიზამდი, რომ გავთხოვდებოდი.”

როგორია ქართულ საზოგადოებაში არსებული მარტოხელა ქალის სახე, იმიჯი?

საქართველოში გავრცელებულია სტეროტიპები, რომ მარტოხელა ქალი სახლში მარტო ცხოვრობს, ის ბედნიერი არ არის და უფრო მეტიც – არასრულფასოვანია. “ესიამოვნა მისი “მე”-ს დანახვა, მაგრამ მაინც არ გაუღიმა, მაინც არასრულფასოვანი ეჩვენა და შეეცოდა კიდევ. მას მარტოხელობა ნებაყოფლობით არ აურჩევია. ახლა უფრო აღიზიანებს ეს ერთჯერადი ყურადღება საპირისპირო სქესის მხრიდან. მხოლოდ შეხედვით მთავრდება ყველაფერი”. მარტოხელა ეკონომიკურად დამოუკიდებელი და განათლებულია, ის ცხოვრებით უკამყოფილოა, რადგან მისი ცხოვრება უინტერესო

და მოსაწყენია. მარტოხელა ქალი მდიდარი არ არის და სახლისა და სამსახურის გარდა არსად დადის.

მარტოხელა ქალების სტიგმატიზების უმთავრესი მიზეზი გენდერული განსხვავებებია, რომელიც ქალებისა და მამაკაცების მიერ გათამაშებული განსხვავებული როლებითაა განპირობებული. როლების განსხვავებულობა სქესის მიხედვით შრომის განაწილების შედეგია. ქალები ასრულებენ მეუღლის, დედის, დიასახლისის ფუნქციას, ისინი მიჯაჭვულნი არიან ოჯახს. ქალთა საქმიანობა უმეტესად კერძო, პრივატულ სფეროსთან არის დაკავშირებული, მაშინ როდესაც, მამაკაცები პრივილეგირებული, საჯარო სფეროსკენ ისწრაფვიან. ქალის მოღვაწეობის მიჯაჭვა კერძო სექტორისადმი საზოგადოებრივ სფეროში ქალებისაგან დამატებითი და არაადეკვატურად ანაზღაურებადი სამუშაოს შესრულების მოლოდინს იწვევს. სწორედ ამიტომ, საზოგადოების პატრიარქალური მოდელი ეკონომიური რისკის სიტუაციაში ტოვებს მარტოხელა დედას, ქალს, რომელიც ხელფასის შემომტანი მამაკაცის დახმარების გარეშე ცდილობს ბავშვის დაცვას. ეს “სიღარიბის ფემინიზაციის” მიზეზად იქცა. თანამედროვე ვითარებაში მარტოხელა დედის მდგომარეობა, სწორედ ამიტომ, მეტად ძვირია.

ქართულ და ევროპულ კონტექსტებს თუ შევადარებთ, შემდეგ სურათს მივიღებთ: ევროპული კონტექსტის თავისებურება ისაა, რომ ქალები განსაკუთრებით ბევრს საუბრობენ ეკონომიკურ ავტონომიაზე და პიროვნულ დამოუკიდებლობაზე, რომელიც კონტროლის სათავეში ყოფნას ნიშნავს. შენი გადასაწყვეტია, რა უნდა ჩაიცვა, რა ჭამო, როგორ გაატარო დრო. კონტროლის სათავეში ყოფნა ნიშნავს ქალზე მომართული კულტურული მოლოდინების დეკონსტრუირებას და ტრადიციული ქალურობის წინეხზე უარის თქმას. ასევე უნდა გავითვალისწინოთ ისიც, რომ ეს დამოუკიდებლობა ცალმხრივი არ არის, რაც იმას ნიშნავს, რომ ისევე როგორც საკუთარ თავზე ზრუნვა და კონტროლირება ყოველდღიურ ცხოვრებასა და პრაქტიკაში, თავდაჯერებულობა და დამოუკიდებლობა სოციალური ურთიერთობების დროსაც მნიშვნელოვანია. მათ ასევე ახასიათებთ მენტალური დამოუკიდებლობა, რომელიც საკუთარი ბედის გამგებლად მყოფ ინდივიდს გულისხმობს, მაშინ როცა, საქართველოში მარტოხელა ქალები ძირითადად საკუთარ მარტოხელობას და ზოგადად ცხოვრებას სხვა ადამიანებისა და სტრუქტურების ზეგავლენის შედეგად დეფორმირებულ მოცემულობებებზე მიიჩნევენ. მსგავსება ქართულ და ევროპულ კონტექსტებს შორის არის ის, რომ

ორივე შემთხვევაში მარტოხელა ქალები მარგინალიზებულნი არიან.

მარტოხელა ქალების “მარიან”, “გულქვა” არსებობად სტიგმატიზების ერთერთი წყარო პატრიარქალური ოჯახის სტრუქტურაცაა. ოჯახის ფუნქციებია ბავშვების სოციალიზაცია და ოჯახის წევრების ემოციურად დადებითად დამუხტვა. ქალი ოჯახში ყველა ამ ფუნქციის ძირითადი შემსრულებელია. ის უნდა იყოს ექსპრესიული, კეთილგანწყობილი ნათესავების მიმართ. მარტოხელა ქალს არ უწევს ოჯახის სხვა წევრების, ასე ვთქვათ, “გამხიარულება”, რაც საფუძვლად უდევს მათი პიროვნული თვისებების შესახებ სტერეოტიპების ჩამოყალიბებას.

რატომ აგრძელებენ ეს სტერეოტიპები ჩვენს თანამედროვეობაშიც არსებობას? პატრიარქალურ სამყაროში ქალები ზრუნავენ ბავშვებზე, შესაბამისად, მომავალი თაობის კულტურულ, ღირებულ, ზრდასრულ პიროვნებებზე ჩამოყალიბებულნი არიან. პატრიარქალური კულტურისა და ინსტიტუტების მიერ კი აღიარებულია, რომ ქალი სუსტია, ქმრისადმი დამყოლი. მისი სისუსტე მამაკაცთა მაღალი ეკონომიური კონკურენტუნარიანობით არის გამოწვეული. ეს უკანასკნელი კი კაცებს საშუალებას აძლევს საკუთარი ოჯახის ეკონომიურ უსაფრთხოებას მიაღწიოს.

ბავშვებისთვის ქალი “სუსტი მეუღლის” როლის შემსრულებელია, ამიტომ ისინი პატივცემულ დამოკიდებულებას ითვისებენ პატრიარქატის მიმართ. მამაკაცების ინსტრუმენტალურობა უფრო მნიშვნელოვანი ჩანს, ვიდრე ქალის ექსპანსიურობა და კულტურაში სწორედ ამ გზით აღწევს მამაკაცის უნარების ქალების უნარებთან შედარებით უფრო ეფექტურად შეფასების პატერნი. საბოლოოდ, ეს ხელს უწყობს მარტოხელა ქალების შესახებ პატრიარქალური სტერეოტიპების განმტკიცებას.

ქალების მიმართ არსებობს სოციალური მოლოდინი, რომ მათ ოჯახი უნდა შექმნან და ისინიც აცნობიერებენ “პასუხისმგებლობას” გენდერული როლის შესრულებაზე. ამის გამო, “გაუთხოვარი” ქალები ხშირად განიცდიან სოციალურ სირცხვილს. მარტოხელა ქალების სტიგმატიზების მიზეზად, ნაწილობრივ, თავად ეს ქალებიც შეიძლება მივიჩნიოთ. ხშირად ორივე მხარე ეთანხმება გენდერული როლების განაწილებას და აღიარებს, რომ ეს ნორმატიული მოთხოვნებს შეესაბამება. ამის მაგალითია ის, რომ საოჯახო მეურნეობაში შრომის არაპროპორციული დანაწილება ქალებისა და მამაკაცების მიერ განიხილება, როგორც თანასწორი და სამართლიანი. ასევე, უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენს

კულტურაში ქორწინება იდეალიზებულია, ის ქალისათვის ბედისა და თვითრეალიზაციის წყაროა. ამას ემატება სტერეოტიპები მამაკაცის სექსუალური უპირატესობისა და მამაკაცური ძალის განსაკუთრებულობის შესახებ. ქალებს ევალემათ იყვნენ დამთმობნი, მორჩილნი, თავდადებისათვის მუდამ მზადმყოფნი და უშუალოდ საოჯახო სინამდვილეზე კონცენტრირებულნი.

”გაუთხოვარი” ქალის ზედმეტ, სხვის ტვირთად აღქმას საფუძვლად უდევს, რომ კაპიტალიზმის პირობებში ინდივიდები ზედმეტი ღირებულების ქმნადობის პროცესში შესრულებული როლების მიხედვით განიხილებიან. ქალები, ძირითადად, საოჯახო მეურნეობასა და არაფორმალურ ეკონომიკაში არიან დასაქმებული. საოჯახო მეურნეობა გულისხმობს ყოველგვარ საქმიანობას სახლში, რომელიც “მუშაკთა წარმოებასა და მათზე ზრუნვას” ემსახურება. უშვილო ქალები “მუშაკთა წარმოებას” ვერ ახორციელებენ, შესაბამისად, ისინი “უვარგისებად” აღიქმებიან.

და მაინც რატომ ემორჩილებიან ქალები სტერეოტიპებს?

გოგონა, მას შემდეგ, რაც აღმოაჩენს კულტურაში, სადაც გაუფერულებულია ქალის როლი, საკუთარ იდენტურობას ქალთან, ზრდასრულობისას ცდილობს სექსუალურად მიმზიდველი მამაკაცის მიერ აღიარება გააძლიეროს და თანახმაა მორჩილი იყოს.

ქართული საზოგადოებრივი დისკურსი ქალების მარტოხელობასთან დაკავშირებით სექსიზმის

შემცველი სტერეოტიპებითაა გაჟღენთილი. სტერეოტიპი განზოგადებული აზრია გარკვეული ჯგუფის ადამიანების პიროვნული თვისებების შესახებ. მარტოხელა ქალს ახასიათებენ როგორც არასრულფასოვან, შარიან, გულქვა, მკაცრ, ახირებულ არსებას, რომელიც ზედმეტ ტვირთს წარმოადენს საზოგადოებისათვის, ვინაიდან ორ უმთავრეს ფუნქციას ვერ ასრულებს – რეპროდუქციისა და ოჯახზე ზრუნვის ფუნქციას.

საზოგადოების დამოკიდებულება გავლენას ახდენს მარტოხელა ქალების პირად ცხოვრებაზე. სწორედ გენდერული სტერეოტიპების გამოა, რომ მარტოხელა ქალების თვითშეფასება უფრო დაბალია, ვიდრე მარტოხელა მამაკაცების. მთელი ცხოვრების განმავლობაში მარტოხელა ქალები ამ “ტვირთის” სხვაზე გადაბრალებით საკუთარი მარტოხელობის რაციონალიზებას ცდილობენ, საკუთარი დისკურსით არწმუნებენ საზოგადოებას, რომ ისინიც ჩვეულებრივი ქალები არიან, საუბრისას პირდაპირ აცხადებენ, რომ საშუალება რომ ჰქონოდათ, ისინიც შესანიშნავი დედები და მეუღლეები იქნებოდნენ, მარტოხელობა მათი ბრალი კი არ არის, არამედ მშობლების, მძიმე დროების და ა.შ.

შენიშვნა

ესეში გამოყენებულია ნაწყვეტები ჩემს მიერ ჩატარებული თვისებრივი კვლევიდან “ქალების მარტოხელობა და საზოგადოებრივი აზრი”. რესპოდენტთა ანონიმურობა დაცულია, ტექსტების გამოქვეყნების ნებართვა მათგან მივიღე.

ნიწო კობერიძე

საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის
სახელმწიფო მართვის სკოლის აღმომბრძივი
თვითმმართველობის სამაგისტრო პროგრამის
სტუდენტი

ქალის კულტი – ქალთა მდგომარეობა და გენდერული პრობლემები

ქალთა მდგომარეობა, სოციალური უთანასწორობა და გენდერული პრობლემები ყოველთვის აქტუალურ თემად ითვლებოდა. ამ თემებზე არსებობს არაერთი მეცნიერული და ისტორიული გამოკვლევები, ფილოსოფიური ნაშრომები, სტატიები და წიგნები.

გავაკეთოთ ქალთა მდგომარეობის ისტორიულ-გეოგრაფიული მიმოხილვა, დაწყებული პირველყოფილი თემური წყობილებიდან დღემდე.

პირველყოფილი თემური წყობილების საზოგადოებაში ქალებს მამაკაცებთან შედარებით წამყვანი პოზიციები ეკავათ. ოჯახის, გვარის უფროსად და გამგრძელებლად ითვლებოდა ქალი, ანუ დედისეული ინსტიტუტი წინ უსწრებდა მამისას. ამ დასკვნების გაკეთების საფუძველს გვაძლევს მატრიარქალური კულტურების კრეტის, არაბეთის ნახევარკუნძულზე და აფრიკის რიგ ქვეყნებში აღმოჩენილი არქეოლოგიური მასალები. მეცნიერთა მიერ შესწავლილია მებრძოლი ამორძალების კულტურის არსებობა კავკასიასა და შუა აზიის ქვეყნებში. ქალები უდიდეს როლს თამაშობდნენ ძველ ეგვიპტურ კულტურაში. ცნობილია, რომ დედოფლების (თუთმოს I ქალიშვილის ჰათმეფსუთის და მოგვიანებით კლეოპატრას) მეფობა მრავალ ათეულ წლებს ითვლის.

მატრიარქალურ ძველ იაპონურ და ინდურ კულტურებში დაფიქსირებულია ქორწინების ინსტიტუტი, რომლის მიხედვითაც ცოლი და ქმარი ცხოვრობდნენ ცალ-ცალკე და ქალი უფრო დამოუკიდებელი იყო ვიდრე მამაკაცი. ბავშვები იზრდებოდნენ დედასთან. მემკვიდრეობა გადადიოდა დედიდან ქალიშვილზე. ქალი განაგებდა ოჯახის ფუნქციებს და ხშირად მართავდა გვაროვნულ კავშირებსაც.

ცხოვრების წესმა და პირობებმა ნელ-ნელა მოიტანა ქალის სოციალური უპირატესობის გადასვლა მამაკაცზე. პატრიარქატმა კი თავისთავად შეცვალა ურთიერთობები საზოგადოებასა და ოჯახში, გაძლიერდა მამაკაცის მიერ ქალების სოციალური კონტროლი.

სოციალური კონტროლის განხორციელება კი შესაძლებელი გახდა შრომის დანაწილების გარკვეული ფორმების, კერძო საკუთრების ინსტიტუტისა და განსაზღვრული იდეოლოგიური სისტემის საშუალებით.

შრომის დანაწილების თავისებურებანი განსხვავდებოდა გეოგრაფიული რეგიონების მიხედვით და ხშირად, ის პირობით ხასიათს ატარებდა. მაგალითად, ადრეულ შუა საუკუნეებში ხვნა-თესვა სკანდინავიის ქვეყნებში ქალის საქმიანობად ითვლებოდა, მამაკაცები სატყეო მეურნეობას და მონადირეობას მისდევდნენ. ფილიპინებზე კი ეს პირიქით იყო.

ოჯახი არის ის უმნიშვნელოვანესი სოციალური ინსტიტუტი, რომელშიც ყველაზე კარგად გამოიხატა პატრიარქალურ საზოგადოებაში არსებული უთანასწორო დამოკიდებულება ქალის მიმართ. პატრიარქალური ოჯახის სამართლებრივი პრინციპები ბაბილონის მეფის ჰამურაბის კანონებშია ჩამოყალიბებული. მასში წერია, რომ ქმარს შეეძლო დაუმორჩილებლობის შემთხვევაში გამოეყენებინა თავისი კანონიერი უფლება – ეცემა, მოეჭრა ყური, თმა, ცხვირი, შუბლზე დაღი დაესვა ან გაეგდო ცოლი. ქმრისადმი ღალატის გამო ქალი სიკვდილით ისჯებოდა. ქალის მთავარ მოვალეობად ითვლებოდა ბავშვების შობა. უშვილობის შემთხვევაში მას თვითონ მოჰყავდა სხვა ქალი, რომელიც ქმართან შვილს გააჩენდა. აგრეთვე საინტერესოა ფილოსოფოსთა აზრები ქალთა უფლებების შესახებ. ანტიკურ ფილოსოფიაში პატრიარქალური ტრადიციების საფუძველები ათენის სკოლიდან მოდის. მათ ფილოსოფიაში აზროვნება ასოცირებულია მამაკაცურ საწყისთან, რომელიც უმაღლესი სრულყოფილებაა არა მარტო ადამიანის სუბიექტურობის სტრუქტურაში, არამედ მთლიანად სამყაროში. უმაღლესი გონი გაიგივებულია უმაღლეს შემოქმედთან და უმაღლეს მშვენიერებასთან. პლატონის ფილოსოფია დიდი ქალთმობუღეობით გამოირჩეოდა, იგი ქალურ საწყისს გონის საფრთხედ თვლიდა სამართლიანი სახელმწიფოს შემოღების საქმეში. პლატონი მოითხოვდა ქალთა

დებრივატიზაციას, კერძოდ, სახლებიდან მათ გამოდევნას, საერთო ცოლების ინსტიტუტის შექმნას, რითაც ის მმართველობის მესაკუთრულ ინტერესებს იცავდა ქალების გავლენისაგან.

ქალურ საწყისს არისტოტელეს ფილოსოფიაშიც აქვს თავისი ფუნქცია. ქალი უნდა იმყოფებოდეს რაციონალური საწყისის კონტროლის ქვეშ. ქალის დანიშნულება არის მოემსახუროს მამაკაცს, მოუტანოს სარგებლობა ოჯახს და სახელმწიფოს. იგი გამოყოფს ქალურ სფეროს – საოჯახო მეურნეობას, სადაც ქალს განიხილავს მამაკაცთან ბუნებრივი უთანასწორობის და არასრულფასოვნების კონტექსტში.

ძველი აღთქმის დროინდელი ებრაული საზოგადოება ჭეშმარიტად პატრიარქალური იყო. მოსეს ხუთწიგნულში გადმოცემულია ოჯახის სურათი სამყაროს გაჩენის დროიდან და განსაზღვრულია ოჯახში ქალის ადგილი და როლი. ამ წყაროს მიხედვით, არ შეიძლებოდა დედაკაცი ყოფილიყო არათუ მამაკაცზე მალლა მდგომი, არამედ მისი თანასწორიც კი, რადგან ის უფალმა შექმნა მამაკაცის სხეულიდან ამოღებული ერთი ნეკნიდან. ცოლები ემორჩილებოდნენ ქმრებს, ხშირად მათ საკუთრებადაც ითვლებოდნენ. ქორწინება ოჯახთა გარიგებით ხდებოდა, გოგონა ეკუთვნოდა მამას, სანამ მას საქმროს მიყიდდნენ. ქალის მთავარ დანიშნულებად ითვლებოდა რეპროდუქცია. დიდი ოჯახი ღვთის წყალობის ნიშანი იყო.

ქალი მოკლებული იყო სამოქალაქო უფლებებს ანტიკურ საბერძნეთშიც. ქალთა უფლებები იზღუდებოდა არა მარტო საზოგადოებაში, არამედ ოჯახშიც. ქალისადმი დამოკიდებულება ძველ საბერძნეთში სოკრატეს ცნობილი სიტყვებით შეიძლება შეფასდეს: “სამი რამ ითვლება ბედნიერებად, რომ არ ხარ გარეული ცხოველი, ხარ ბრძენი და შენ ხარ მამაკაცი და არა ქალი.”

ებრაული და ბერძნული კულტურისაგან განსხვავებით ძველ რომში ქალებს ჰქონდათ სამოქალაქო უფლება. ქალები აქ შედარებით თავისუფალნი და უფრო განათლებულნიც იყვნენ. რომში არსებობდა გათხოვილ ქალთა ორგანიზაციები, მაგალითად “კონვენტურ მატრონარიუმ”, რომელიც იმპერიის პერიოდში გადაკეთდა “პატარა სენატად”, სენატი მონაწილეობას იღებდა ქვეყნის სოციალურ და პოლიტიკურ საქმეებში. განათლებული ქალები დიდად დაფასებულნი იყვნენ, მაგრამ ქალში მაინც დედობის ფუნქცია ფასობდა ყველაზე მეტად. ამგვარად, ქორწინება პატრიარქალურ საზოგადოებაში – ესაა მამაკაცის ბატონობის საშუალება ქალზე. ფული, რესურსები, საკუთ-

რება – თავმოყრილია მამაკაცის ხელში. ქალი სოციალურ სტატუსს იღებს ან მამისგან ან ქმრისგან, ამას ყველაფერს ხელს უწყობს არსებული სამართლებრივი ბაზა. სამართალი უძველესი დროიდან იყო იმის საშუალება, რომ მამაკაცს ებატონა ქალზე. გენდერული ასიმეტრია სამართლებრივ სფეროში მონათმფლობელური საზოგადოებიდან მოდის. ქალები არ ითვლებოდნენ მოქალაქეებად, არ ფლობდნენ ქონებას, არ ჰქონდათ გაყრის უფლება და მორალური თავისუფლება, რაც გამოიხატებოდა ჩაცმაში, ჭამის მანერაში და ოჯახიდან გასვლის თუ სხვა უფლებებზე შეზღუდვებში. მათი უფლებების დისკრიმინაცია უფრო გაძლიერდა შუა საუკუნეებში, როდესაც საერთო კანონმდებლობასთან ერთად ფუნქციონირება დაიწყო საეკლესიო სამართალი.

ქრისტიანობის მიერ ქალის დაქვემდებარებითი და მორჩილებითი მდგომარეობის გამართლება მოდის ძველი აღთქმის ორი ბიბლიური მითიდან: ქალი წარმოიშვა მამაკაცის ნეკნიდან და მან შეაცდინა მამაკაცი, აქედან დაწყებული ქრისტიანობაში დოგმატური შეხედულებები ამცირებს ქალის ბუნებას, ზრდის ეჭვებს და უნდობლობას მის მიმართ და ყველაფერ ამას აძლევს დოგმატურ სანქციას. უკვე აღრეულ ქრისტიანულ ეპოქაში ყალიბდება საზოგადოებაში ქალის იდეალი, რომლის საფუძველშიც დევს მორჩილების კულტი. ქალის ადგილი განსაზღვრულია ოჯახში, სადაც ის ასრულებს ღირსეული ცოლის როლს. ქალის უფლებების შეზღუდვა კარგად ჩანს ქართულ ჰაგიოგრაფიულ ნაწარმოებში – იაკობ ხუცესის “შუმანიკის წამება”, როდესაც შუმანიკი ამბობს: “ოდეს ყოფილ არს აქამომდე თუმცა მამათა და დედათა ერთად ეჭამა პური?!” ქრისტიანული დოქტრინის მიხედვით ქალისთვის განსაკუთრებით ფასობს შემდეგი თვისებები: თავდადება, თანაგრძნობა, თავმდაბლობა, მორჩილება, უბიწოება და უმანკოება. აღრეული ქრისტიანული ეპოქის ძველები გვამცნობენ, რომ ქრისტიანული ეკლესია მხარს უჭერს მონოგამურ ოჯახს, ქორწინებამდე და ოჯახის შიდა სიწმინდეს და სასტიკად კიცხავს ღალატს.

ეკლესიის მსახურნი ამბივალენტურად აფასებდნენ ქალებს, ხშირად აღიღებდნენ მათ როგორც წმინდა მარიამის განსახიერებას, მეორე მხრივ კი მამაკაცისათვის ყოველგვარი ცოდვის საწყისად მიიჩნევდნენ. ეკლესია გმობდა ხორციელ სიამოვნებას. თვით გადაკონცნაც კი, რომელიც მისალმების ჩვეულებრივი რიტუალი იყო, ცოდვად მიიჩნეოდა.

კლიმენტი ალექსანდრიელი წერდა – “ყოველი ქალი სირცხვილით უნდა იწვოდეს იმის გაფიქრებისას, რომ ის ქალია.”

ადრეულ შუასაუკუნეებში ქალთა მდგომარეობაზე გავლენას ახდენდა შემდეგი სამართლებრივი ფაქტორები: ქრისტიანობა და მის საფუძველზე განვითარებული დასავლეთის კათოლიკური ეკლესიის კანონიკური სამართალი, რომელიც კოდიფიცირებული იყო იუსტინიანეს და რატიფიცირებული იყო “ახალი ერების” მიერ; გერმანელი ტომების სამართალი, რომელმაც დასავლეთ ევროპის სახელმწიფოებრიობას დაუდო სათავე.

შუა საუკუნეებში ქალთა ინტერესების დამცველად მოგვევლინენ რაინდები. ქალი განიცდიდა ზეწოლას ერთი მხრივ ოჯახური დესპოტიზმისგან და ფეოდალურ-გვაროვნული წესებისგან, მეორე მხრივ კი კათოლიციზმის იდეოლოგიისგან. ზოგიერთი მეცნიერი ფიქრობს, რომ რაინდობა და რაინდული სიყვარული არის აჯანყება ფეოდალური საზოგადოების სექსუალური მორალის და ქალის ძალზე დამამცირებელი მდგომარეობის წინააღმდეგ და რომ რაინდობა ქალის მიმართ კათოლიკური ასკეტიზმის შეხედულებების საწინააღმდეგოდ შეიქმნა. რაინდობის დამახასიათებლად უნდა ჩაითვალოს ქალის პიროვნული თავისუფლების იდეის განვითარება. სარაინდო ეპოსი ევროპულ ლიტერატურაში XI-XII საუკუნეებში შემოდის. რაინდულ ანუ “კურტუაზულ სიყვარულს” თანამედროვეები ფაქიზ, ნატიფ სიყვარულს უწოდებენ. ფრანგული ლიტერატურის ისტორიაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს სიყვარულის ამ მოდელს, რომელიც შემოინახა იმდროინდელმა პოეტურმა ტექსტებმა. ეს მოდელი გულისხმობდა შემდეგს: ცენტრში იმყოფება გათხოვილი ქალი, ხოლო უცოლო მამაკაცი ცდილობს მისი ყურადღების მიქცევას და იწვიოს სიყვარულით. მამაკაცი იქცევა ისე, როგორც მისი რჩეული ისურვებს. იგი სატრფოს მონა-მორჩილია. რაინდები მიიჩნეოდნენ, რომ “არც ქალბატონს, არც ქალიშვილს არ შეიძლება უარი უთხრა დახმარებაზე, საჭიროა მისი პატივისცემა და მთელი ძალისხმევით მათი უფლებების დაცვა.” “კურტუაზულ ლირიკაში” პირველად ხდება ხელოვნების საგანი ქალის პიროვნება და მისი ინდივიდუალური ცხოვრება. ამ პოზიციაში ქალი პირველად თავისუფლდება გვაროვნული ტრადიციებისგან და გამოდის როგორც პიროვნება.

შემდგომი პერიოდის გვიან შუასაუკუნეებს ევროპელები უწოდებდნენ “ბნელ ხანას”. ამ პერიოდში ძალზედ გაძლიერებულია ეკლესიის გავლენა სამართლის სფეროში, სოციალურ და ინდივიდუალურ ცხოვრებაში, ეკლესია აკონტროლებს ქორწინებას. XI საუკუნეში შემოდებულ იქნა გვარები და გვარის გაგრძელება მამის ხაზით. ამან გამოიწვია საგვარეულო

ჯგუფების განმტკიცება, გაძლიერდა კლანობრივი სისტემა, გამკაცრდა ოჯახის ერთგულებისადმი დამოკიდებულება. ეკლესია არ უშვებდა ქალის დომინირების საკითხს არცერთ დონეზე. მიუხედავად ამისა, შუასაუკუნეების სინამდვილეში ქალები დიდ როლს თამაშობდნენ რელიგიურ მოძრაობაში. არის წყაროები, რომლებიც მიგვითითებენ ქალთა როლზე ჯვაროსნულ ომებში. ადრე შუასაუკუნეებში სულიერი კულტურის ადგილებად ითვლებოდა მონასტრები, აქვე იყო საგანმანათლებლო ცენტრები, ისტორიაში ცნობილია განთქმული მეცნიერი ქალი-მონაზვნები. შუასაუკუნეების მეორე ნახევარში ქალთა განათლება ისეთ როლს აღარ თამაშობს, რაც დაკავშირებულია სოციალური ცხოვრების შეცვლასთან. მეცნიერება თანდათან ეკლესიიდან უნივერსიტეტებში ინაცვლებს და იცვლის სქესს. სქოლასტიკურ სიბრძნის-მეტყველებაში ქალი საკმაოდ იგნორირებულია.

შუა საუკუნეებში ქალის როლის წინა პლანზე წამოწევა და მისი სოციალური მდგომარეობის გაძლიერება საქართველოშიც შეიმჩნევა. საქართველოს ისტორიაში პირველად XII საუკუნეში სამეფო ტახტზე ადის ქალი-მეფე თამარი (1184-1213წ.წ.). თამარ მეფემ არაერთი გამარჯვება მოუტანა საქართველოს. მან გაძლიერა და ააყვავა სამშობლო. თამარის მეფობის პერიოდი “ოქროს ხანად” არის შესული ისტორიაში. ამ პერიოდში აგრეთვე აღსანიშნავია შოთა რუსთაველის “ვეფხისტყაოსანი”, სადაც მეფე როსტევანი ქალიშვილის, თინათინის თანამოსაყდრედ დასმას ქალისა და მამაკაცის თანასწორუფლებიანობით ხსნის – “ლეკვი ლომისა სწორია, ძუ იყოს თუნდა ხვადია”.

ქალის როლი საზოგადოებაში ნელ-ნელა წინ მიიწევა. რენესანსის ეპოქაში ქალს უკვე მიეცა მოღვაწეობის საშუალება ლიტერატურაში, მეცნიერებაში, ხელოვნებაში და გამოჩნდა “ფიგაროს” ტიპის ქალი. ეს არის ქალი, რომელიც ცხოვრობს მეცნიერებისა და ხელოვნებისთვის. საინტერესოა სხვადასხვა ფილოსოფოსის აზრი ამის შესახებ.

ვოლტერი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ქალთა განათლებას და აღნიშნავდა, რომ ქალს, ისევე როგორც მამაკაცს, შეუძლია ღირსეული არჩევანი გააკეთოს და მას ხელი არ უნდა შევეშალოთ ბუნებრივი ნიჭის გამოვლენაში. დიდროს აზრით, აუცილებელი იყო ქალის დამამტკიცებელი კანონების და წეს-ჩვეულებების შეცვლა. მონტესკიე აღნიშნავდა, რომ ქალმა აუცილებლად უნდა მიიღოს მონაწილეობა საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

პელვეციუსი ამბობდა, რომ ქალის სამოქალაქო

საქმეებში გაუნათლებლობა მისი აღზრდის ნაკლია. განმანათლებლებმა კი სააშკარაოზე გამოიტანეს "მითი" ქალზე, როგორც მცირეხარისხოვან არსებაზე, მაგრამ მის მოქალაქეობრივ სტატუსზე მაინც არაფერი თქვეს, მათ არ აღიარეს ქალი ისტორიის სუბიექტად.

ქალები ეკონომიკაშიც დიდ როლს თამაშობდნენ. XIV-XVII საუკუნეებში გერმანიაში არსებობდა ქალთა გილდიები. ქალები მისდევდნენ ხალიჩების, ქსოვილების წარმოებას. ამ პერიოდის ხელოვნების ნიმუშების დიდი ნაწილი ქალის ხელითაა შექმნილი. აღსანიშნავია გერმანელი კლასიკოსი ფილოსოფოსების აზრები. კანტი შემეცნების სფეროში უპირატესობას ანიჭებდა მამაკაცური სუბიექტის ინტელექტუალურ თავისებურებებს და ქალს, როგორც სუბიექტს, ფილოსოფიურ შემეცნების სფეროსთან არ უშვებდა. მისი აზრით, ქალი წარმოადგენდა დაბალი მორალური ღირსების მქონე არსებას. ჰეგელი ქალს არ მიიჩნევდა საზოგადოების წევრად. მისი აზრით, ფემინიზმი იყო საფრთხე სამოქალაქო საზოგადოებისთვის. მეორე მხრივ, ქალთა სამყაროს არსებობა აუცილებელია, რადგანაც იგი ხელს უწყობს მამაკაცებს განვითარდნენ თვითშეგნების მქონე ეთიკურ არსებებად. მიუხედავად განმანათლებლების და ფილოსოფოსების მიერ არასრულყოფილი ანალიზისა, მოხდა ქალთა ინდივიდუალურობისა და უფლებების აღიარება. XVIII საუკუნის მეორე ნახევარი თვით ქალთა აქტიურობით ხასიათდება. ქალები აარსებენ სალონებს, სადაც საზოგადოებას კარნახობენ არა მარტო მოდას, არამედ იდეებსაც. დაარსდა უამრავი ქალთა გაზეთი და ჟურნალი. საფრანგეთის რევოლუციის მიერ მიღებულ დეკლარაციაში ქალი არ იყო გათვალისწინებული, რამაც ფემინიზმის წარმოშობა განაპირობა. პირველ ფემინისტად ითვლებოდა ფრანგი ოლიმპია დე გუჟი, ინგლისელი მერი უოლსტენკრაფტი და ამერიკელი მერი ადამსი. ქალთა უფლებების დაცვაზე ერთ-ერთმა პირველმა გამოთქვა აზრი მერი უოლსტენკრაფტმა თავის წიგნში "ქალის უფლებების დაცვა". იგი ეყრდნობოდა ინგლისელი ფილოსოფოსის ჯ. ლოკის თეორიას, რომლის ძირითადი იდეა მდგომარეობდა სრულფასოვანი მოქალაქეებისათვის თანასწორი უფლებების მინიჭებაში. მერი უოლსტენკრაფტი უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა ფილოსოფიურ თეზისს ქალის, როგორც რაციონალური სუბიექტის აღიარების შესახებ. იგი ცნობდა იმ ფაქტს, რომ ქალთა უმრავლესობა არ იყო მომზადებული ემოქმედა საზოგადოებრივ სფეროში, მაგრამ ამას ხსნიდა არა იმით, რომ ქალი გონებრივად ჩამორჩენილია, არამედ განათლებისა და აღზრდის სისტემის შეზღუდულობით.

კაპიტალიზმის პერიოდში სოციალურ-ეკონომიკური პროგრესის მიუხედავად ქალთა მდგომარეობა საზოგადოებასა თუ ოჯახში კვლავაც დისკრიმინირებული იყო. ქალი ოჯახზე უფრო მეტად აღმოჩნდა დამაგრებული, რადგან ბიზნესის წარმოება მამაკაცმა აიღო თავის თავზე. პატრიარქალურმა საზოგადოებამ წარმოშვა სხვადასხვა საყოფაცხოვრებო ადათ-წესი, რომლებიც გვეკლინებოდნენ და დღესაც გვეკლინებიან ქალთა სოციალური კონტროლის საშუალებად. აქ იგულისხმება როგორც ფიზიკური ძალადობა, ასევე იდეოლოგიური კონტროლი. ფიზიკური ძალადობა გამოიხატება საზოგადოების მიერ ქალთა სიცოცხლის, სხეულის და სექსუალობის კონტროლში.

აღსანიშნავია ფროიდის თეორია, რამაც უდიდესი გავლენა იქონია ქალისა და მამაკაცის სექსუალობის შესახებ წარმოდგენების განვითარებაში და ხელი შეუწყო ფემინიზმის განვითარებას. ფროიდის აზრი ქალის შესახებ ემყარება მისი ბიოლოგიური არასრულფასოვნების პოსტულატს, საიდანაც გამომდინარეობს ქალის ფსიქოლოგიური თვისებების ფორმების ძირითადი მექანიზმი – შური მამაკაცის მიმართ.

ქალთა სხეულზე კონტროლი ხორციელდებოდა სხვადასხვა შეზღუდვების საშუალებითა და კულტურული ნორმებით. ამ მხრივ განსაკუთრებით კონსერვატიული ისლამი აღმოჩნდა. ეს რელიგია მონოგამიის საპირისპიროდ ქადაგებს პოლიგამიას, განსაკუთრებით ქალის სხეულზე აწესებს კონტროლს. ისლამურ სამყაროში დღეს აუცილებელია ჩადრის ტარება. ჩადრი არა მარტო ზღუდავს პიროვნების თავისუფლებას, არამედ ხელს უშლის მას გადაადგილებაშიც კი. XX საუკუნის 40-იან წლებამდე ქალი სპორტზე არ დაიშვებოდა. დისკრიმინაციის საშუალება იყო მოდაც, ქალის ტანსაცმელი ზღუდავდა მის მოძრაობას და ფიზიკური სისუსტის დემონსტრირებას ახდენდა. გათხოვილ ქალს ქრისტიანულ სამყაროშიც თავსაფარი უნდა ეტარებინა. დღეს ცივილიზებულ სამყაროში ქალის სხეულზე კონტროლი შენიღბულია, თუმცა დახვეწილია სილამაზის ტექნოლოგიები.

ამჟამად, რასაკვირველია, ცივილიზებულ ქვეყანაში ქალებს დალატის გამო არ კლავენ, თუმცა ასეთი დარღვევების მიმართ განსაკუთრებით მაღალია აკრძალვის ძალა და ნეგატიური სოციალური სანქციები.

დღეისათვის, საქართველოს კონსტიტუცია და საჯარო სამართალი კრძალავს ოჯახურ ძალადობას და მისი უფლებების შეზღუდვას. ოჯახის წევრებს განურჩევლად სქესისა, აქვთ

თანაბარი პირადი და ქონებრივი უფლებამოვალეობები. დღესდღეისობით, მეფე ჰამურაბის კანონებისაგან განსხვავებით, სრულად იკრძალება ქმრის მიერ ცოლის ჩაგვრა და მასზე ფიზიკური ძალადობის განხორციელება. გენდერული თანასწორობა დაცულია არაერთი კანონით და საერთაშორისო კონვენციით. შექმნილია არაერთი არასამთავრობო, გენდერული ორგანიზაცია, რომელიც ცდილობს დაიცვას ქალის უფლებები და წინა პლანზე წამოსწიოს ქალის მნიშვნელობა საზოგადოებაში.

დღეს, საქართველოში ქალის წვლილის არასათანადო შეფასება საზოგადოებრივ ცხოვრებაში მის სტატუსზე და სოციალურ აქტივობაზე აირეკლება. ცნობილია, რომ ინდივიდის საქმიანობა მხოლოდ იმ შემთხვევაში არის ეკონომიკურად შეფასებული, თუ მას საბაზრო ღირებულება აქვს. ამიტომაც ქალის რეპროდუქციული საქმიანობის არასათანადო შეფასებამ და ქალის შრომის არახელსაყრელმა პირობებმა მნიშვნელოვნად შეაფერხა მისი მწარმოებლური შრომის ეფექტიანობა საზოგადოებაში. ქალის სტატუსი საზოგადოებაში, მისი სოციალური მდგომარეობა ძირითადად მისი მწარმოებლური, ეკონომიკური საქმიანობით განისაზღვრება. ქალის ეკონომიკური აქტიურობა კი მის სოციალურ სტატუსს განსაზღვრავს და მეორადაა რეპროდუქციული ფუნქციის შემდეგ. თეზისი – ქალისათვის უპირველესი ოჯახური მოვალეობებია და მერე სხვა საქმიანობა, დღის წესრიგიდან არასოდეს მოხსნილა. ხელფასი ანუ შემოსავლები ის მაჩვენებელია, რომელიც განსაზღვრავს ინდივიდების, ჯგუფების და საერთოდ საზოგადოების მატერიალური კეთილდღეობის დონეს. ეკონომიკური შესაძლებლობები განსაზღვრავენ ადამიანური განვითარების პოტენციალს. შემოსავლების დონე ხშირად განსაზღვრავს ადამიანური კაპიტალის ეკონომიკური უკუგების ეფექტურობას. ქალისა და მამაკაცის ეკონომიკური შესაძლებლობები არის საფუძველი პრიორიტეტული ურთიერთობების დონისა საზოგადოებასა და ოჯახში.

განათლების სპეციფიკური ორიენტაცია, პროფესიის არჩევა ყალიბდება სქესობრივი ნიშნის

მიხედვით, რომელიც შემდგომ განსაზღვრავს შრომის ბაზრის ხელმისაწვდომობის შესაძლებლობებს. ამიტომაცაა, რომ ქალთა ყველაზე მეტი კონცენტრირება ხდება ისეთ პროფესიულ დარგებში, როგორცაა ჯანმრთელობა და განათლება, სოციალური უზრუნველყოფა, კულტურა და ხელოვნება. ქალები განსაკუთრებით დომინირებენ მომსახურების სფეროში, სადაც მომუშავე ქალთა რიცხვი 60%-ზე მეტია. ამ დარგის გაზრდამ ბევრ ქვეყანაში გამოიწვია ქალთა სამუშაო ძალის დიდი რაოდენობით ჩართვა შრომის ბაზარზე. ქალთა ეკონომიკური როლის გაზრდა დამოუკიდებლობის და უფრო მაღალი სტატუსის მოპოვების საშუალებას იძლევა. მეორე მხრივ, უფრო მაღალი სტატუსი სამეწარმეო საქმიანობაში წარმატების მიღწევის საწინდარია.

ქალის სოციალური მდგომარეობის ამგვარი გაუმჯობესების მიუხედავად, ყველგან და ყოველთვის არსებობს ორი გენდერული ტიპი, აქედან ერთი თავისი როლით, სტატუსით და მიზნებით არის მეორადი (ამ ჯგუფში უპირატესად იგულისხმება ქალები). მთელ მსოფლიოში, განსაკუთრებით კი საქართველოში, მიუხედავად ქალების მიერ მოპოვებული გენდერული უფლებებისა, მაინც არსებობს კაცობრიობის უძველესი საკანონმდებლო კოდექსი ანუ ტაბუ, რომელიც არის მორალური შეზღუდვა. ეს, ალბათ, განპირობებულია ქართული ტრადიციებითა და აღზრდით. აქედან გამომდინარე, გენდერული თანასწორობა არ არის ბოლომდე დარეგულირებული და მაინც, ყველა ქალი ყველა მამაკაცთან ყველანაირ ურთიერთობაში იჩაგრება.

გამოყენებული ლიტერატურა

1. კონფლიქტი, გენდერი და მშვიდობის მშენებლობა – სტატიების კრებული. თბილისი, 2003.
2. ა. ყულიჯანიშვილი. კულტუროლოგია. თბილისი, 2004.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის,
სოციალურ მეცნიერებათა სპეციალური
მაგისტრანტი

ტრადიციით გაპართლახული დისკრიმინაცია აზერბაიჯანელი მოგონას მახალითა

დღესდღეობით, ყველაზე მტკივნეულად შეიძლება ვიმსჯელოთ „კერძო“ ანუ საოჯახო სფეროში არსებულ დისკრიმინაციასზე. გავრცელებულია აზრი, რომ კერძო სფერო ხელშეუხებელია და ამ გაგებით, კაცს შეატოვებს ხელში ქალი, რომლის უფლებებიც დაუცველია. მამაკაცები ძალაუფლებას ბოროტად იყენებენ და ქალებზე სხვადასხვა სახის ძალადობას ახდენენ.

ოჯახში ძალადობა ერთი მხრივ, ძნელად იდენტიფიცირებადი, დამალული, უხილავი და ძნელად დასჯადია. მეორე მხრივ, ეს ხდება საგანგებოდ იერარქიზებულ შემთხვევაში, რაც მთავარია, საზოგადოებრივად არ არის სტიგმატიზებული და სოციალურად მისაღებია.

წიგნში „დავძლიოთ გენდერული ძალადობა საქართველოში“ ვკითხულობთ: „ძალადობა შეიძლება იყოს ქმედება ან სიტყვა, ძალადობა ანგრევს, აზიანებს და შეურაცხყოფს ადამიანს. ძალადობის დროს ითრგუნება ადამიანის ნება, შელახულია მისი ხელშეუხებლობა, ღირსება და თავისუფლება. ესენი კი ადამიანის განუყოფელი უფლებებია.“ აქედან გამომდინარე, ფიზიკურ და ფსიქოლოგიურ ძალადობას ერთნაირი კვალიფიკაცია უნდა მიენიჭოს, ორივე შემთხვევაში ირღვევა ქალის უფლება.

„ჯერ კიდევ გვიანია შუა საუკუნეებიდან ევროპულ საზოგადოებას და მოაზროვნეებს გაცხარებული კამათი ჰქონდათ სქესთა რაობაზე, საზოგადოებაში ქალისა და მამაკაცის ადგილსა და როლზე. ჯოვანი პიკომ თავისი ეპოქის უმნიშვნელოვანეს ნაშრომში „მამაკაცის ღირსების შესახებ“ 1486 წელს აღნიშნა, რომ ღმერთი ესაუბრებოდა მხოლოდ ადამს, ამიტომ მამაკაცებს უფლება ეძლეოდათ თავისუფლად განესაზღვრათ თავიანთი ბუნება და ეცხოვრათ საკუთარი სურვილების შესაბამისად. თუ არისტოტელე ქალებს ბუნების

შეცდომას უწოდებს, თომა აქვინელი მათ დაუსრულებელ, მოუშთავრებელ მამრებად იხსენიებს. ამგვარი მოაზროვნეები სქესთა საკითხზე წერისას აღიარებდნენ, რომ ქალებს დიდი როლი აქვთ საოჯახო საქმეებში, თუმცა დაოჯახის თავი და მეურვე მამაკაცია და ქალებს საერთოდ არაფერი ესაქმებათ საზოგადოებრივ ცხოვრებაში. მონარქიული წყობისას სამართლის წყაროები ემსახურებოდა არსებული წყობის შენარჩუნებასა და განმტკიცებას, მაგრამ ასევე არეგულირებდა საზოგადოებრივ ურთიერთობებს, სადაც ხშირად ქალი მამაკაცის საკუთრებად ცხადდებოდა, რომელსაც მხოლოდ გამონაკლის შემთხვევაში ეძლეოდა ქმართან გაყრის უფლება, ეკრძალებოდა განათლების მიღება და აქტიური მონაწილეობა საზოგადოებრივ ცხოვრებაში“².

ამ და ბევრმა სხვა მოაზროვნემაც, რომლებიც ცდილობდნენ თეორიულად დაესაბუთებინათ კაცის უპირატესობა, აენსნათ ვინ იყო ქალი, სოციალური აზრის ჩამოყალიბებაში საკმაო წვლილი შეიტანეს. არადა, ამ დროს, ქალს წერაკითხვის შესწავლის უფლება არ ჰქონდა, რომ როგორმე მასაც დაეწერა საპასუხო ნაშრომი და დაეცვა საკუთარი ღირსება.

ოჯახში ჩამოყალიბდა გენდერული როლები. ქალმა მიიღო დაბალი სტატუსი. დაწესდა ორმაგი მორალი – რაც ეპატიება კაცს, არ ეპატიება ქალს.

ქალის მიმართ დაწესებულ შეზღუდვებს ხშირად ტრადიციით, კულტურით ან რელიგიით ამართლებენ და ვერ აცნობიერებენ, რომ ტრადიციას და კულტურას ძალადობაა ამოფარებული და რომელ რელიგიას უნდა უნდოდეს ქალის ცემა, ნერვიულობა და მორჩილება.

1. ნ. ბერეკაშვილი, თ. ასათიანი, შ. ლორთქიფანიძე, რ. გოცირიძე. დავძლიოთ გენდერული ძალადობა საქართველოში. თბილისი. გვ. 22. 2009.
2. თ. საბედაშვილი, ქალთა უფლებების ისტორიული ასპექტები. თბილისი. სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი. გვ.16 2006.

„ოჯახში ქალებისა და მამაკაცების გენდერული როლები საკმაოდ განსხვავებულია სხვადასხვა კულტურაში და ასევე, ერთი კულტურის (საზოგადოების) სხვადასხვა სოციალურ ჯგუფში. საინტერესოა, რომ მიუხედავად კულტურათა განსხვავებისა, უძრავლესობაში გაბატონებულია მამაკაცთა დომინირების სისტემები (პატრიარქალური წყობა), ამიტომ გენდერული როლები არათანასწორი და მამაკაცთა პრივილეგიებული, ხოლო ქალების მეორეხარისხოვანი პოზიციების გამოხატულება“.³

ოჯახებში ქალების მიმართ განხორციელებული დისკრიმინაცია განსაკუთრებით საგრძნობია მუსულმანურ (აზერბაიჯანულ) ტრადიციებში. თუ როგორ არის მუსულმანურ რელიგიაში წარმოდგენილი ქალი და კაცი, ყურადღებას ამახვილებს მკვლევარი თამარ კიკნაძე თავის სტატიაში „კულტურა, სქესი, რელიგია“: „ქმრები ცოლებზე მალლა დგანან იმიტომ, რომ ალაჰმა უბოძა უპირატესობა პირველთა მეორეებზე“ – გვიმტკიცებს ყურანი.⁴

მკაცრად განსაზღვრულია ქალის საკითხი შარიათში. მთავარი, რაც მუსულმანური (აზერბაიჯანული) ტრადიციით ქალს მოეთხოვება, გათხოვებაა. მნიშვნელოვანია აღრეული გათხოვების წესიც. ოჯახში მამაკაცს ქალთან შედარებით პრივილეგიებული მდგომარეობა უკავია. ქალიშვილს არ აქვს უფლება შეეპასუხოს უფროსებს ან გამოხატოს რაიმე უკმაყოფილება, განსაკუთრებითკი, მამისა და პაპის თანდასწრებით. მიუღებელია ქალის ხმამაღალი საუბარი. ახალგაზრდა ქალს არ აქვს უფლება, ქმრის ნებართვის გარეშე წავიდეს მშობლიურ სახლში ან მეზობელთან სტუმრად. ბავშვების მოვლა მთლიანად ქალის მოვალეობას წარმოადგენს, მამა განსაკუთრებულ გრძნობებს ავლენს ვაჟიშვილის, როგორც მემკვიდრისა და გვარის გამგრძელებლის მიმართ. გოგონების მომავალი ქორწინების გადაწყვეტილებას მშობლები იღებენ.

ოჯახებში ქალების მიმართ ტრადიციით გამართლებული დისკრიმინაცია მარნეულშიც გვხვდება.

მარნეულის ერთ-ერთ სოფელში მცხოვრებ 22 წლის თურაჯ იბრაგიმოვასთან ინტერვიუს ჩაწერა იმიტომ გადაწყვიტე, რომ გოგონა უკვე 5 წელია ჟურნალისტად მუშაობს და ჰყავს შეყვარებული, ის არ ელოდება გარიგებულ საქმროს, ქორწილის დღეს რომ დაანახვებენ. მას აქვს საკუთარი შემოსავალი, ინტეგრირებულია

ქართულ საზოგადოებასთან, სრულყოფილად ფლობს ქართულ ენას და ქართული დისკურსიდან გამომდინარე კარგად აქვს გაცნობიერებული, რისი უფლება აქვს ქალს. თურაჯი მუდმივად გრძნობს მამისა და ბაბუისგან დისკრიმინაციას.

მართალია, ოჯახში ტრადიციული დისკრიმინაციის ფორმები ქართველებშიც გვხვდება, მაგრამ მე მაინტერესებდა, ერთი მხრივ, აზერბაიჯანელი ქალის თვალთ დანახული დისკრიმინაციის ფორმები და ქართული დისკურსიდან გამომდინარე, გოგონას მიერ ამის შეფასება. მეორე მხრივ, ვფიქრობ, რომ აუცილებელია ეთნიკური უმცირესობის ქალების ხმის გაგება, მათი ცოდნის გახმოვანება, რადგან მათ მიმართ განხორციელებულ დისკრიმინაციაში გვხვდება სპეციფიკური ფორმებიც.

გოგონასთვის კითხვა თითქმის არ დამისვამს, მხოლოდ ჩემი თემის სათაური დაეუსახელე და მანაც პირადი ინიციატივით დაიწყო თხრობა.

თურაჯ იბრაგიმოვასთან ინტერვიუ ორჯერ ჩავწერე. ზოგადი მონათხრობიდან გამომდინარე, დავასკვნენ, რომ მარნეულის აზერბაიჯანელთა ოჯახებში მამაკაცი დომინირებს, ძალაუფლება არის მის მხარეს. ძალადობის ობიექტია ახალგაზრდა ქალი, გასათხოვარიც და გათხოვილიც. ასაკში შესული ქალი კი, შვილებისა და შვილიშვილების ყოლის შემდეგ, სტატუსს იძენს და შემდეგ ის ხდება მოძალადე-მოძალადეები ქალთან დაკავშირებულ შეზღუდვებს ხშირად საზოგადოებაში დამკვიდრებული წესებით ხსნიან, რომლის დარღვევის შემთხვევაშიც მამაკაცი მის გვერდზე მყოფებისგან განკითხვას იმსახურებს.

თურაჯ იბრაგიმოვამ მარნეულის ტელევიზიაში მუშაობა მოულოდნელად დაიწყო. მანამდე მასწავლებლად მუშაობდა და თან ესწრებოდა კომპიუტერის შემსწავლელ კურსებს. იმის გამო, რომ მაშინ ქართული ენა კარგად არ ესმოდა, ტელევიზიით მოისმინა ვაკანსიის თაობაზე და ვერ გაიგო, რომ ჟურნალისტი ესაჭიროებოდათ (თორემ ვერც გაბედავდა კონკურსზე მისვლას). კონკურსზე, როგორც კომპიუტერული პროგრამების მცოდნე ისე მივიდა, გასაუბრების დროს კი გაიგო, რომ ჟურნალისტად მიიღეს და განარებული, მეორე დღესვე ჩაერთო სემინარების კურსში. მას შემდეგ, მამა სულ ეჩხუბებოდა, რადგან არ მოსწონდა შვილისთვის ჟურნალისტის პროფესია:

„ტრენინგები ბოლნისში გვქონდა, გვიან მოვდიოდი და მამა მეჩხუბებოდა. მეშინოდა, ტელევიზიაში ის

3. ნ. ბერეკაშვილი, თ. ასათიანი, შ. ლორთქიფანიძე, რ. გოცირიძე. დავძლიოთ გენდერული ძალადობა საქართველოში. თბილისი, გვ. 16, 2009.

4. თ. კიკნაძე. გენდერი, კულტურა, თანამედროვეობა. დობედა. გვ. 49, 2005.

აღარ გამიშვებდა, არადა ჟურნალისტად მუშაობა ძალიან მინდოდა. მასხენდება ტრენინგების ბოლო დღე. მოგვიწია სემინარზე 7-8 საათამდე დარჩენა. სახლში მამაჩემმა დაიწყო: გოგო ხარ, როგორ შეიძლება ასე გვიანობამდე ქუჩაში ყოფნა. მე ვტიროდი, ვეხვეწებოდი, რომ ამის მერე ისე გავაკეთებდი, რომ სახლში აღრე მივიდოდი. მამაჩემი სულ მეჩხუბებოდა, ბევრჯერ მიტირია, მაგრამ... მერე ძლივს შეეგუა, ეს შეგუება კი ნერვების ფასად დამიჯდა” – აღნიშნავს გოგონა და განმარტავს, რომ შეგუების მიუხედავად, მამა დღემდე საყვედურობს.

გოგონას განმარტებით, მამაზე ხალხის აზრი ახდენდა გავლენას. იგი გოგონას მიმართ დაწესებულ აკრძალვებს ხსნის იმით, რომ რცხვენია, რას იფიქრებენ მეზობლები, ახლობლები და დაწესებულ შეზღუდვებს ტრადიციას აბრალებს. თურაჯიც აღნიშნავს, რომ მისი ოჯახი რელიგიური არ არის და მიიჩნევს, რომ ის აკრძალვები, რაც მის მიმართ ხორციელდება, ტრადიციულ ხასიათს ატარებს.

„სოფელში დაიწყეს ჭორაობა, რადგან ხშირად ფეხით სიარული მიწვეს. განსაკუთრებით, არ შეიძლება გასათხოვარი გოგო მარტო დადიოდეს. როცა სახლიდან გავდივარ, დეიდაჩემიც სულ მეჩხუბება, არ შეიძლება, სკოლაშიც ჭორაობენ შენზეო, მარტო გოგო ქალაქიდან სოფელში როგორ დადისო. სხვების აზრი სულ არ მაინტერესებს, მაგრამ მამაჩემი როცა მეჩხუბება, მაშინ ვტირი ხოლმე. ფიზიკურად არ შემხებია, სიტყვით მეჩხუბება. მამაჩემი ისეთი ადამიანია, ერთს რომ მეტყვის, აუცილებლად უნდა შევასრულო. სანამ შეეგუებოდა, სამსახურში სულ იმაზე ვფიქრობდი, როგორ გავაკეთო, რომ ხალხის აზრზე არ ინერვიულოს-მეთქი. ეუბნებოდნენ, მარტო რას უშვებ, არ შეიძლება, აღარავინ მოვა ხელის სათხოვნელადო”.

ფიზიკურად გოგონა დაბალი და გამხდარია, სწორედ ასეთ ფიზიკურ მონაცემებს მიიჩნევს მიზეზად იმისა, რომ აღრეულ ასაკში არ გაათხოვეს:

„როცა 15 წლის ვიყავი, მამიდაჩემი მოვიდა მამაჩემთან და თავისი ბიჭისთვის ჩემი ხელი სთხოვა, მაგრამ მამაჩემს შევეცოდე, ძალიან სუსტი აღნაგობის ვიყავი და არ გამათხოვა, თან დედაჩემს ძალიან უნდოდა, რომ მესწავლა, რადგან თვითონ აღრე გაათხოვეს და უსწავლელი დარჩა, მართალია სწავლაში ხელი არ შემშლია, მაგრამ ახლა მეუბნებიან, რომ ღროა გავთხოვდე”

გოგონას გაეცინა, როცა ვკითხე, რატომ აირჩია მასწავლებლობა პროფესიად:

„არ შეიძლებოდა, აუცილებლად ან მასწავლებელი, ან ფარმაცევტი უნდა ვყოფილიყავი, ჩემს სოფელში მიღებულია ასე, დღემდე ვმუშაობ მასწავლებლად, რადგან დედაჩემს და ბებიანაცვალს ასე უნდათ. სახელია, როცა სკოლაში ასწავლი”.

როგორც თურაჯმა აღნიშნა, დღემდე მამა, ბაბუა და ბებიანაცვალი აკონტროლებენ. მართალია, გოგონას ოჯახში დომინირებს მამაკაცი, ძალაუფლება არის ბაბუასა და მამის მხარეს, მაგრამ მნიშვნელოვანია ბებიანაცვალიც. მას აქვს უფლება გოგონას დაუწესოს შეზღუდვები. ეს მოწმობს იმ ფაქტს, რომ როცა აზერბაიჯანელი ქალი ასაკში შედის, ოდესღაც ძალადობის მსხვერპლი, უკვე თავად ხდება მოძალადე. აკრძალვებში დედას არც თუ ისე მნიშვნელოვანი როლი აკისრია, ის მხოლოდ ახმოვანებს ბაბუას, მამის და ბებიანაცვლის სურვილს და ეშინია, რადგან გოგონას „არატრადიციული” ქცევის გამო მას დაადანაშაულებენ.

თურაჯი შეზღუდვებს გრძნობს შეყვარებულთან ურთიერთობაშიც: „არ შეიძლება ველაპარაკო, ვესაუბრო, თავისუფლად დავსხდეთ სადმე, იმის გამო, რომ ჩემი სოფელები დამინახავენ და ჭორაობას დაიწყებენ. თვითონაც აქვს კომპლექსები. მეუბნება ხოლმე, რომ გარეთ არ შევხვდეთ, შენთვის ცუდია, არ მინდა შენზე ცუდი თქვანო. თვეში ერთხელ ვხვდებით, ისიც ჩუმად. სამსახურში ვხვდებით, რადგან აქ ქართველები არიან და არ მრცხვენია”.

გოგონა ძალიან განიცდის და ეშინია შეყვარებულთან დაშორების. მას ცრემლი მოადგა, როცა მითხრა, რომ თუ შეყვარებულს დაშორდა, მარტო იცხოვრებდა, გათხოვებაზე აღარ იფიქრებდა. როცა ვკითხე, რატომ ვერ შეიყვარებდა სხვას, მიპასუხა:

„ჩემს სოფელში უკვე სახლში დარჩენილად ვითვლები, ხანდახან ვნანობ, რატომ გავიჩინე შეყვარებული, რადგან არ შეიძლება ტრადიციის გამო. მგონია, რომ შეცდომა დაეუშვი.”

ბარიერი და შეზღუდვები გოგონამ დასძლია, თუმცა აქვს კომპლექსი იმისა, რომ რასაც აკეთებს, მის გარშემომყოფთ არ მოსწონთ.

მოყვანილი მაგალითებიდან ცხადად ჩანს, რომ აზერბაიჯანულ ოჯახში ტრადიციის სახელს ამოფარებულია ქალების დისკრიმინაცია. დაწესებული შეზღუდვებით თურაჯის მიმართ ხორციელდება ფსიქოლოგიური ძალადობა, რაც მის ფსიქიკაზე ახდენს გავლენას.

ხშირად ახსენებს შიშს, რომ მომავლის ეშინია.

გამოყენებული ლიტერატურა

როცა განცდებზე და ემოციებზე ვესაუბრებოდი, უჭირდა, ალბათ იმიტომ, რომ აქამდე არავისთან უსაუბრია. დიალოგის დროს აღნიშნა კიდევ, რომ პირველი ვიყავი, ვისაც ასეთ თემებზე ესაუბრებოდა. მან ისიც განმარტა, რომ ვერავის ელაპარაკება, რადგან თანამოაზრე არ ჰყავს.

ძნელი სათქმელია, კარგია თუ არა, რომ გოგონას ტრადიციას ამოფარებული დისკრიმინაციის ფორმები გაცნობიერებული აქვს. თავად აღნიშნავს, რომ ურჩევნია იცხოვროს ისე, როგორც თავად უნდა, მაგრამ იმასაც დასძენს, რომ ეს ძალიან უჭირს.

თურაჯმა მიიღო განათლება და გენდერულ თანასწორობაზე არაერთი სემინარის კურსი გაიარა, მას სურვილიც კი გაუჩნდა, ამ თემაზე ხმამაღლა ილაპარაკოს.

აუცილებელია ქალების დამოკიდებულების შეცვლა. ქალების მიმართ ძალადობის დასაძლევად საჭიროა მოსახლეობისთვის გენდერული ძალადობის საკითხებზე ინფორმაციის მიწოდება და ახალი ცოდნის გადაცემა, მათ ეჭვი უნდა შეიტანონ არსებულ სტერეოტიპებში და მოხდეს მათი რღვევა.

1. ნ. ბერეკაშვილი, თ. ასათიანი, შ. ლორთქიფანიძე, რ. გოცირიძე. დავძლიოთ გენდერული ძალადობა საქართველოში. თბილისი. 2009
2. ი. კიკნაძე. გენდერი, კულტურა, თანამედროვეობა. თბილისი. 2005.
3. თ. საბედაშვილი. ქალთა უფლებების ისტორიული ასპექტები. სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი. თბილისი. 2006.

გენდერული თანასწორობა

ქალთა თანასწორობის შესახებ უდიდესი მითი
იმაში მდგომარეობს, რომ ჩვენ მისთვის ბრძოლა
ღარ გვჭირდება
ფოსტის საზოგადოება

გენდერული თანასწორობის ცნება და არსი

გენდერი არის ცნება, რომელიც გულისხმობს კულტურით განპირობებულ შეხედულებებს ქალისა და კაცის ინტელექტუალური შესაძლებლობების, მათი პიროვნული თვისებებისა და ქცევის შესახებ. გენდერი, როგორც საზოგადოების მიერ შექმნილი კონსტრუქტი, განსაზღვრავს ქალისა და მამაკაცის სოციალურ მოდელს, რაც განაპირობებს მათ როლსა და მდგომარეობას საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში.

თანასწორობა ადამიანის უღებათა დაცვის მთავარი პრინციპია, რომელსაც ეფუძნება უფლებათა დაცვის ნებისმიერი ინსტრუმენტი.

სწორედ ამ დატვირთვის მატარებელია გენდერული თანასწორობაც, რომელიც ქვეყნისა და საზოგადოების განვითარების ერთ-ერთ აუცილებელ პირობას წარმოადგენს. იგი გულისხმობს ქალისა და მამაკაცის თანაბარ მონაწილეობას როგორც საზოგადოებრივ, ასევე პოლიტიკურ ცხოვრებაში; ყველა ფორმის დისკრიმინაციის აღმოფხვრას; ორივე სქესის წარმომადგენელთათვის სოციალური პირობების გაუმჯობესებასა და დასაქმებისათვის თანაბარი პირობების შექმნას. თვითონ ტერმინი, გენდერული თანასწორობა, გულისხმობს ქალისა და მამაკაცის თანაბარ წარმოჩენას, უფლებამოსილებას, პასუხისმგებლობასა და თანასწორ მონაწილეობას პირადი და საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში.

ამის საპირისპიროდ, გენდერული თანასწორობა სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ქალები და მამაკაცები ერთნაირები უნდა გახდნენ. არამედ ეს ნიშნავს, რომ ქალთა და მამაკაცთა უფლებები,

მოვალეობები და შესაძლებლობები არ იქნება დამოკიდებული იმაზე, ადამიანი ქალად დაიბადა თუ მამაკაცად.

მიმაჩნია, რომ ძალზედ მნიშვნელოვანია აღნიშნული ინსტიტუტის სწორად გაგება, რადგან ხშირად საზოგადოებაში არასწორი მიდგომა აქვთ აღნიშნულთან დაკავშირებით. არცთუ ისე იშვიათად, გენდერული თანასწორობის ცნების ქვეშ მოიაზრებენ ქალისა და მამაკაცის ავტომატურ, ტექნიკურ გათანასწორებას, რაც, რა თქმა უნდა, არასწორია. როგორც უკვე აღვნიშნე, ქალისა და მამაკაცის თანასწორობა, ანუ გენდერული თანასწორობა გულისხმობს ორთავე სქესის წარმომადგენელთათვის თანაბარი პირობების შექმნას და თანაბარი შესაძლებლობების მიცემას და არავითარ შემთხვევაში, მათ ტოტალურ და ტექნიკურ გათანასწორებას.

სიტყვა “გენდერი” ინგლისური ენიდან გავრცელებული ტერმინია და მას ორმაგი დატვირთვა აქვს. ერთი მხრივ, იგი აღნიშნავს ქალებისა და მამაკაცების სოციალურად კონსტრუირებულ როლებს, რომელიც მიეწერებათ მათ სქესობრივი ნიშნის მიხედვით; და ასევე, სქესის სოციალურ მნიშვნელობას, რომელიც განიხილება, როგორც საზოგადოების სოციალური სტრუქტურის ერთ-ერთი განზომილება და რომლისთვისაც, შესაბამისად, დამანასიათებელია ცვლილებები დროსა და სივრცეში.

მიმაჩნია, რომ გენდერული თანასწორობის ინსტიტუტის და მასთან დაკავშირებული საკითხების განხილვა უპრიანია სწორედ “გენდერის” მეორე მნიშვნელობიდან გამომდინარე. ამიტომ, ჩემს ესეიში ყურადღებას გავამახვილებ

გენდერულ თანასწორობაზე, როგორც საზოგადოების სოციალური სტრუქტურის განმსაზღვრელ ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ინსტიტუტზე.

გენდერული თანასწორობა წარმოადგენს საყოველთაო ღირებულებას, რომელიც საფუძვლად უდევს ადამიანის უფლებებს და დემოკრატიული ქვეყნების კონსტიტუციებს. მასთან დაკავშირებული მოთხოვნები ხაზგასმულია სხვადასხვა საერთაშორისო აქტებში. ამიტომ, სანამ უშუალოდ აღნიშნულ ინსტიტუტთან დაკავშირებულ საზოგადოებაში არსებულ პრაქტიკის მიმოხილვას მოვახდენდე, მიმაჩნია, რომ უმჯობესია თავდაპირველად, მის საკანონმდებლო რეგლამენტაციაზე გავამახვილო ყურადღება.

**ქალთა უფლებების მარკაბულირებელი
საკანონმდებლო აქტები და
აღნიშნული უფლებების
რეალიზაციისათვის შიშვენიერული
სახელმწიფო პროგრამები**

საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლის თანახმად, “ყველა ადამიანი დაბადებით თავისუფალი და თანასწორია კანონის წინაშე, მიუხედავად რასისა, კანის ფერის, ენის, სქესის, აღმსარებლობის, პოლიტიკური ან სხვა შეხედულებების, ეროვნული, ეთნიკური ან სოციალური წარმოშობის, საკუთრების, წარმომავლობის ან საცხოვრებელი ადგილისა”. ამ ნორმით საქართველოს კონსტიტუცია იძლევა იმ ძირითად გარანტიებს, რაც დაკავშირებულია სქესთა შორის თანასწორობასთან. იგი პრინციპის დონეზე განამტკიცებს საყოველთაო თანასწორობას და დაუშვებლად აცხადებს რაიმე ნიშნით, მათ შორის სქესის, პირთათვის უპირატესობის მინიჭებას, ან არათანასწორ მდგომარეობაში ჩაყენებას.

აღნიშნულიდან გამომდინარე, შეგვიძლია ვთქვათ, რომ საქართველოში გენდერული თანასწორობის საკანონმდებლო საფუძველი არსებობს თვით ქვეყნის უზენაეს კანონში, რაც თავის მხრივ უზრუნველყოფს იმ ფაქტს, რომ ნებისმიერი სხვა შიდა საკანონმდებლო აქტიც შესაბამისი უნდა იყოს ქვეყნის უზენაეს კანონთან. შესაბამისობა კი უნდა გამოიხატებოდეს თითოეულ მათგანში გენდერული თანასწორობის პრინციპის ცალსახა უზრუნველყოფაში. ქვემოთ მოყვანილი მაგალითებიდან გამომდინარე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ საკანონმდებლო თვალსაზრისით, პრობლემა საქართველოში ნამდვილად არ არსებობს.

ქალთა უფლებების და ინტერესების დაცვას საქართველოში არეგულირებენ შემდეგი სამართლებრივი დოკუმენტები:

1. საქართველოს კონსტიტუცია.
2. საქართველოს შრომის კოდექსი.
3. საქართველოს კანონი „ოჯახში ძალადობის აღკვეთის შესახებ“.
4. საქართველოს კანონი „გენდერული თანასწორობის შესახებ“.
5. საქართველოს პრეზიდენტის განკარგულება „ქალთა განვითარების სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავებელი კომისიის შექმნის შესახებ“.
6. საქართველოს პრეზიდენტის განკარგულება 1998-2000 წლებში ქალთა მდგომარეობის გაუმჯობესების მოქმედებათა გეგმის დამტკიცების შესახებ.
7. საქართველოს პრეზიდენტის განკარგულება ქალთა და ბავშვთა მდგომარეობათა გაუმჯობესების პროგრამის შემუშავებელი სახელმწიფო კომისიის შექმნის შესახებ.

აქვე მინდა აღვნიშნო, რომ გარდა შიდა რეგულირებისა, საქართველო საკმაოდ აქტიურად არის ჩართული საერთაშორისო ასპარეზზე გენდერულ თანასწორობასთან დაკავშირებული საკითხების მოგვარებაში, რაც გამოიხატება, პირველ რიგში იმით, რომ საქართველო უამრავი საერთაშორისო სამართლებრივი აქტის ხელმოწერი მხარეა, რომლის შესაბამისად იგი კისრულობს ვალდებულებას, ხელი შეუწყოს გენდერული თანასწორობის პრაქტიკულ რეალიზაციას სახელმწიფოში სხვადასხვა პროგრამებისა და საკანონმდებლო აქტების შემუშავებით.

შეიძლება ითქვას, რომ გენდერი მსოფლიო ფენომენს წარმოადგენს, რომელსაც ძალზე სპეციფიკური ეროვნული მახასიათებლების მიუხედავად, საერთო განმაზოგადებელი თავისებურებები გააჩნია, რაც ხაზგასმულია იმ ძირითად საპროგრამო დოკუმენტებში, რომელიც აღიარებულია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიერ და მსოფლიო სამოქმედო გეგმას წამოადგენს.

გენდერული თანასწორობის მარეგულირებელი საერთაშორისო აქტებიდან, რომელთა უმრავლესობის ხელშემკვრელ მხარეს საქართველოს სახელმწიფოც წარმოადგენს, აღსანიშნავია შემდეგი დოკუმენტები:

- 1945 წ. გაეროს წესდება, რომელშიც პირველად აისახა, როგორც საერთაშორისო აქტში, ქალთა უფლებების საკითხი;

- 1952 წ. საერთაშორისო კონვენცია „ქალის პოლიტიკური უფლებების შესახებ“;
- 1948 წ. ადამიანის უფლებათა დაცვის საყოველთაო დეკლარაცია;
- 1951 წ. შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ მიღებული კონვენცია “მამაკაცთა და ქალთა შრომის თანაბარი ანაზღაურების შესახებ“;
- 1995 წ. კონვენცია „დედობის დაცვის შესახებ“;
- 1960 წ. შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ შემუშავებული კონვენცია “სამსახურში აყვანასა და დასაქმებასთან დაკავშირებული დისკრიმინაციის აკრძალვის შესახებ“;
- 1962 წ. გაეროს განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაცია SCO-ს ფარგლებში მიღებული კონვენცია „განათლების სფეროში ქალთა დისკრიმინაციის წინააღმდეგ“;
- 1962 წ. კონვენცია „ქორწინებაზე თანხმობის, ქორწინების მინიმალური ასაკისა და ქორწინების რეგისტრაციის შესახებ“;
- 1966 წ. „სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა საერთაშორისო პაქტი“;
- 1979 წ. კონვენცია „ქალის დისკრიმინაციის ყველა ფორმის ლიკვიდაციის შესახებ“ (CEDAW).

აღნიშნული საერთაშორისო-სამართლებრივი აქტები მნიშვნელოვან გარანტიებს ქმნიან და საყოველთაო პრინციპებს აყალიბებენ გენდერული თანასწორობის დაცვის უზრუნველსაყოფად.

გარდა ამისა, არსებობს არაერთი საერთაშორისო, სახელმწიფოთაშორისო თუ არასამთავრობო ორგანიზაცია, რომელთა ძირითად მიზანს სწორედ გენდერული თანასწორობის თვალსაზრისით მუშაობა წარმოადგენს. გარდა საერთაშორისო ორგანიზაციებისა, ჩვენს ქვეყანაშიც არაერთი არასამთავრობო ორგანიზაცია მუშაობს აღნიშნულ საკითხზე და ძირითადად საქართველოს ხელისუფლებასთან თანამშრომლობით, საკმაოდ მნიშვნელოვან რეკომენდაციებს შეიმუშავებენ პრობლემის მოგვარების თვალსაზრისით.

უკანასკნელ პერიოდში, მსოფლიოში დღის წესრიგში დადგა არა უბრალოდ ქალთა მდგომარეობის გაუმჯობესების, არამედ საზოგადოებრივი საქმიანობის ყველა სფეროში ქალებისა და მამაკაცების ფაქტიური თანასწორობის მიღწევის ამოცანა. სწორედ ამ საკითხს მიეძღვნა 1995 წლის ქალთა IV მსოფლიო კონფერენცია, რომელზეც შემუშავებულ იქნა პეკინის სამოქმედო გეგმის პლატფორმა. აღნიშნული დოკუმენტი მოუწოდებს მსოფლიო ქვეყნების მთავრობებსა და საერთაშორისო ორგანიზაციებს ხელი შეუწყონ განვითარების ძირითადი მიმართულებების მიხედვით მონაცემთა

გავრცელებასა და ინფორმაციის სფეროში მეცნიერული კვლევების სრულყოფას. საქართველო იზიარებს ამ კონფერენციაზე შემუშავებულ სამოქმედო გეგმას და მზადაა აქტიური ღონისძიებები განახორციელოს ამ თვალსაზრისით. ამაზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ 1998 წლის თებერვალში საქართველოს პრეზიდენტის განკარგულებით შეიქმნა „ქალთა განვითარების სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავებელი სახელმწიფო კომისია“, რომელსაც დაევალია სამოქმედო გეგმის შემუშავება საქართველოში ქალთა მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის. კომისიამ მოამზადა გეგმის პროექტი და საქართველოს პრეზიდენტის განკარგულებით დამტკიცდა ქვეყანაში ქალთა მდგომარეობის გაუმჯობესების ღონისძიებათა გეგმა (1998-2000 წ.წ.), რომელშიც პეკინის პლატფორმის 12 პრიორიტეტიდან არჩეულია თითქმის ყველა.

გენდერული თანასწორობის პრობლემის გადასაჭრელად გადადგმული მნიშვნელოვანი ნაბიჯებიდან აღსანიშნავია ასევე, საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 18 ივნისის 308 ბრძანებულება “ქალთა მდგომარეობის გაუმჯობესების ღონისძიებათა გეგმის შესახებ”, რომლის ძირითადი მუხლებია

- ქალთა ტრენინგი ლიდერობისა და პოლიტიკური უნარჩვევების გამოსამუშავებლად;
- ქალთა მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების ხელშეწყობი მექანიზმების ჩამოყალიბება;
- სოფლად მცხოვრები ქალების შემოსავლების ზრდის სპეციალური პროგრამების შემუშავება;
- ქალთა საოჯახო შემოსავლების ზრდის ხელშეწყობი სპეციალური პროექტების შემუშავება;
- ქალთა საკითხების დეპარტამენტის შექმნა;
- ქალთა მონაწილეობის გაფართოება დიპლომატიურ სამსახურში;
- მარტოხელა დედების, მრავალშვილიანი ოჯახების, პენსიონერი, ინვალიდი ქალების სოციალური დახმარების პროექტების შემუშავება.

აუცილებლად უნდა აღინიშნოს ისიც, რომ გენდერული თანასწორობის საკითხებს განსაკუთრებული ყურადღება აქვს დათმობილი საქართველოს “ეკონომიკური განვითარებისა და სიღარიბის დაძლევის საპროგრამო დოკუმენტში”, სადაც ხაზგასმულია, რომ პროგრამის განხორციელებისას ყურადღება დაეთმობა გენდერული პრობლემების დარეგულირებას, თანმიმდევრული და ეფექტური გენდერული პოლიტიკის შემუშავებასა და განხორციელებას, ქალთა ეკონომიკური და სოციალური სტატუსის

გადლიერებისკენ მიმართულ ღონისძიებებს, გენდერული ფაქტორის სათანადო გათვალისწინებას, რაც გამოიხატება შემდეგში:

- გენდერული ასპექტების საბიუჯეტო სახსრების დაგეგმვისა და განაწილების პროცესში, შრომის ბაზრის რეგულირებაში, სოციალურ პოლიტიკაში;
- გენდერული ფაქტორების გათვალისწინებით შრომის საკანონმდებლო ბაზის დახვეწაში;
- ეკონომიკური აქტიურობის პროცესში სოციალური უსაფრთხოების უზრუნველყოფაში;
- ქალთა ეკონომიკური აქტიურობის გაზრდის, პროფესიული კვალიფიკაციის ამაღლების სხვადასხვა ხელშემწყობი პროგრამების განხორციელებაში;
- საგანმანათლებლო და პრევენციული ღონისძიებების გატარებაში, რათა შეიცვალოს ტრადიციული გენდერული როლები, რომლებიც არათანაბარ, დაქვემდებარებულ მდგომარეობაში აყენებენ ქალებს;
- ქალის შრომითი და სოციალური დისკრიმინაციის, ქალის მიმართ შეურაცხყოფილი ქცევისა და ოჯახური ძალადობის შემცირებაში.

1999 წლის 28 აგვისტოს დამტკიცდა საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება „საქართველოში ქალთა უფლებების დაცვის განმტკიცების შესახებ“, ხოლო საქართველოს პრეზიდენტის 2000 წლის 25 თებერვლის 64 ბრძანებულებით დამტკიცდა „ქალთა მიმართ ძალადობასთან ბრძოლის გეგმა“. ამ ბრძანებულებებმა სერიოზული საკანონმდებლო ბაზა შექმნა მოქმედებათა გეგმის განხორციელების ხელშესაწყობად.

„ვარდების“ რევოლუციის შემდეგ განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო აღნიშნულ საკითხს. 2004 წელს ქვეყანაში ჩამოყალიბდა პარლამენტის თავმჯდომარესთან არსებული გენდერული თანასწორობის საკონსულტაციო საბჭო, 2005 წლის ივნისში კი გენდერული თანასწორობის დროებითი სახელმწიფო კომისია. ქალთა არასამთავრობო ორგანიზაციათა კოალიციის ინიციატივით, შემუშავდა გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფის სახელმწიფო სამოქმედო გეგმის პროექტი, რომლის განხილვაში აქტიურად იყო ჩართული როგორც სამთავრობო, ასევე ამ საკითხით დაინტერესებული არასამთავრობო ორგანიზაციები. აღნიშნულმა კომისიამ დაასრულა მუშაობა კანონპროექტზე და 2010 წლის 26 მარტს მიღებულ იქნა საქართველოს კანონი „გენდერული თანასწორობის შესახებ“, რომელიც უფრო დეტალურად და სპეციალიზირებულად აწესრიგებს გენდერულ თანასწორობასთან დაკავშირებულ საკითხებს.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ საქართველოში საკანონმდებლო რეგლამენტაციის თვალსაზრისით პრობლემები არ აღინიშნება. ამასთანავე, საკმაოდ ეფექტური ნაბიჯებია ქვეყნის ხელისუფლების მხრიდან გადადგმული გენდერული თანასწორობის პრაქტიკაში რეალიზაციის თვალსაზრისით, რაზეც ზემოთ მოყვანილი პროგრამები მეტყველებს. შეიძლება ითქვას, რომ პეკინის კონფერენციაზე შემუშავებული სამოქმედო გეგმის რეალიზაცია საფუძველს შექმნის ქვეყანაში გენდერული წონასწორობის ჩამოყალიბებისა და დემოკრატიული პროცესების შემდგომი განვითარებისათვის, რაც წინ გადადგმულ ნაბიჯს წარმოადგენს საქართველოს ევროპროცესებში ინტეგრაციის გაღრმავებაში.

საზოგადოებაში არსებული ხელვა ქალისა და მამაკაცის თანასწორობასთან მიმართებაში

როგორც უკვე აღვნიშნეთ, საქართველოს კანონმდებლობა ითვალისწინებს ქალისა და მამაკაცის თანასწორობას, თუმცა პრობლემები ამ საკითხთან დაკავშირებით რეალურად სხვა კუთხით შეიძლება არსებობდეს. შეიძლება ითქვას, რომ თვითონ საზოგადოების ცნობიერებაში არსებობს პრობლემა, რადგან ქალის სტატუსს საქართველოში, ობიექტურ პირობებზე მეტად, განაპირობებს საზოგადოების ცნობიერების მდგომარეობა გამომდინარე იქედან, რომ საზოგადოებაში სერიოზულად დგას ქალთა და მამაკაცთა თანაბარი უფლებების გაცნობიერების პრობლემა.

მიუხედავად ქალთა ზოგადი განათლების მაღალი მაჩვენებლებისა, სამოქალაქო და უფლებრივი ცნობიერება მნიშვნელოვნად დაბალია. რაც, ახლა უკვე იშვიათად, მაგრამ მაინც იძლევა ქალების გამოყენების საშუალებას სხვადასხვა დესტრუქციული, პოლიტიკური, რელიგიური და სხვა ინიციატივების მყარ საყრდენ იარაღად. ის, რომ კანონი არ ზღუდავს ქალის უფლებას იმუშავოს, შექმნას ოჯახი, განსაზღვროს შვილების რაოდენობა, აირჩიოს საქმიანობა, დაიკავოს მმართველი თანამდებობა, გამოვიდეს საჯაროდ, შევიდეს ან არ შევიდეს სქესობრივ ურთიერთობაში და საერთოდ, გააკეთოს თავისუფალი არჩევანი, აპრიორი იმაზე არ მიუთითებს, რომ მას ამის უფლებას მისცემს ოჯახი, საზოგადოება ან თავად საკუთარ ფსიქიკაში ჩაბეჭდილი სტერეოტიპები. საზოგადოებაში სხვადასხვა ფაქტორი განაპირობებს ქალის დაბალ როლს მამაკაცებთან მიმართებაში; მაგალითად, როგორცაა სიღარიბე, დიდი პასუხისმგებლობა ოჯახის, მამაკაცის მიმართ, ტრადიციული შეხედულებები ქალის როლსა თუ

შესაძლებლობებზე, პოლიტიკური კულტურის ნაკლოვანებები. ხშირად, მსგავსი ფაქტორები ხელისშემშლელი ხდება ქალისთვის კარიერის შექმნისა და დასაქმების თვალსაზრისითაც.

სტატისტიკური მონაცემები ადასტურებს, რომ საქართველოს შინამეურნეობებში ოჯახის უფროსებად უმეტესად კაცები მოიაზრებიან და ასეთი ოჯახების რაოდენობა თითქმის ორჯერ აღემატება იმ ოჯახებს, სადაც ოჯახის უფროსებს ქალები წარმოადგენენ. ეს ტენდენცია კი თითქმის უცვლელია წლების განმავლობაში. ქართული რეალობიდან გამომდინარე, ოჯახის უფროსობა მხოლოდ კაცის პრეროგატივაა, ხოლო ის შინამეურნეობები, რომლის მეთაურიც ქალია, სავარაუდოდ მიეკუთვნება ისეთ ოჯახთა რიცხვს, სადაც ოჯახის უფროსი კაცები სახეზე არ იმყოფებიან.

თუმცა ამის საპირისპიროდ, გავრცელებული შეხედულების შესაბამისად, ოჯახის შიგნით არსებული საქმიანობა მთლიანად ქალის მოვალეობაა. თანამედროვე პერიოდში შრომის თანაბარი განაწილება, რომელიც გენდერულ საფუძველზეა დამყარებული, წარმოადგენს გენდერული თანასწორობისა და გენდერული როლების ცივილიზაციის გაგრძელებას, რაც ასე თუ ისე, შეინიშნება დღევანდელ თანამედროვეობაში.

მიუხედავად ზემოთ მოყვანილი ფაქტებისა, დღეს უკვე ქალის ჩაგვრის ფაქტებმა საგრძნობლად იკლო, რადგან საქართველოში მომრავლდა განათლებული ქალების და საერთოდაც, სამოქალაქო შეგნებააძაღლებული ადამიანების რაოდენობა, რომლებმაც ძალიან კარგად იციან თავიანთი უფლებები და დისკრიმინაციული მოპყრობის უფლებას არავის მისცემენ.

თუმცა, არც იმის უარყოფა შეიძლება, რომ დღესდღეობითაც შეინიშნება ოჯახში ქალის წინააღმდეგ განხორციელებული ძალადობის ფაქტები. მაგრამ საყურადღებოა ისიც, რომ ხელისუფლების შესაბამისი ორგანოები ასეთი ფაქტის შეტყობისთანავე მყისიერ რეაგირებას ახდენს, რის საშუალებასაც იძლევა ჩვენს მიერ ზემოთ აღნიშნული საკანონმდებლო ბაზა.

დასკვნა

დასკვნის სახით შეგვიძლია დავადგინოთ, რომ საკანონმდებლო თვალსაზრისით საქართველოში გენდერულ თანასწორობასთან დაკავშირებით პრობლემები არ აღინიშნება. თუმცა, შეიძლება, საზოგადოების ცნობიერებაში გარკვეულწილად მაინც არსებობს პრობლემა. მაგრამ მიმაჩნია, რომ აღნიშნულის სრულფასოვნად მოგვარებისთვის

გარკვეული დროა საჭირო; დროა საჭირო იმისთვის, რომ ხალხი თვითონ მივიდეს იმ დასკვნამდე, რომ ქალი და მამაკაცი ბუნებით თანასწორია და ზედმეტი დამცავი მექანიზმები არ სჭირდებათ ქალბატონებს.

ამ საკითხზე მუშაობისას განხორციელებული ჩემული კვლევის შედეგად დავადგინე, რომ ერთადერთი პრობლემა ქალისა და მამაკაცის თანასწორობასთან დაკავშირებით, საზოგადოების გარკვეული ნაწილის დაბალი ცნობიერებაა. იმისათვის, რომ საზოგადოების სამოქალაქო ცნობიერება უფრო ამაღლდეს, საჭიროა აღნიშნულ საკითხზე გამუდმებული აპელირება და ყურადღების გამახვილება. ხელისუფლების მხრიდან საჭიროა ისეთი პროგრამების შემუშავება, რომლებიც ხელს შეუწყობს საზოგადოებაში არსებული არასწორი სტერეოტიპების მსხვერველსა და ცნობიერების ამაღლებას.

სწორედ ამ მიზნით ვიწყებ ჩემს ესეის ფოსეტის საზოგადოების ცნობილი ფრაზით, რასაც მეც აბსოლუტურად ვეთანხმები – “ქალთა თანასწორობის შესახებ უდიდესი მითი იმაში მდგომარეობს, რომ ჩვენ მისთვის ბრძოლა ადარ გვჭირდება”. მიმაჩნია, რომ ეს მოსაზრება აბსოლუტურად შეესაბამება 21-ე საუკუნეში არსებულ რეალურ მდგომარეობას გენდერული თანასწორობის თვალსაზრისით. საუკუნეებისა და წლების წინ, როდესაც უფრო მწვავედ იდგა ქალის, როგორც მამაკაცის თანასწორუფლებიანი სუბიექტის, არსებობის პრობლემა, აღნიშნული საკითხი უფრო მეტად ითხოვდა გამაღებულ ბრძოლას ზოგადად გენდერული თანასწორობის ინსტიტუტის შემუშავებისთვისაც კი. მაგრამ რეალობას რომ მივყვით, ეს საკითხი მთელი თავისი სიმწვავეით დღესდღეობით ადარ შეინიშნება. თუმცა, ეს იმას არ ნიშნავს, რომ საკითხმა აქტუალობა დაკარგა.

ჩვენი ქვეყნის მაგალითიდან გამომდინარე შეიძლება ვთქვათ, რომ გარკვეულწილად პრობლემის ტრანსფორმაცია მოხდა. ამჟამად, ხელისუფლების დამოკიდებულების და საკანონმდებლო რეგლამენტაციის თვალსაზრისით პრობლემა უკვე ნაკლებად შეინიშნება. ახლა, უბრალოდ, საზოგადოების ცნობიერება და თვითონ ქალების მენტალიტეტის ამაღლება უნდა მოხდეს იმისათვის, რომ საბოლოოდ მოგვარებადი გახდეს აღნიშნული საკითხი. აღიარება იმისა, რომ არსებობდა არასწორი წარმოდგენები, არათანაბარი დამოკიდებულება, განსაკუთრებით ქალისადმი, ნელ-ნელა უნდა დაიმსხვრეს. ჩვენს საზოგადოებაში, მართალია ცოტა რთულად, მაგრამ მაინც საკმაოდ პროგრესულად მივიწვევთ წინ.

